21

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 5-6 მაისი—ივნისი № 5-6

ქართ. წიგნი
23.75

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი“
1942

სოფელი ჩოხატაური

ბოლშევიკი

№ 5-6

საძ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოველთვიური თეორიული
და პოლიტიკური ჟურნალი

13350

შ ი ნ ა ა რ ს ი

83

დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცება 1

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1942 წლის 19 ივნისს 14

გ. სტურუა—სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 22

საინფორმაციო ცნობა 27

მოწინავე—გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ მტერს! 29

ი. თავაძე—საზოგადოებრივი მეცნიერებანი და მათი ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში 38

პროფ. კ. კაპანელი—გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურის უბოროტესი მტრებია 59

კ. გოგიავა—ფაშისტური გერმანია და მისი არმია კატასტროფის წინაშე 67

მარტა დოდი—საელჩოს ფანჯრიდან 75

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ი. კაჭარავა—აკად. ე. ტარლე—1812 წლის სამამულო ომი და ნაპოლეონის იმპერიის განადგურება 100

დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ყოფნა ლონდონსა და ვაშინგტონში

ხელშეკრულების ხელმოწერა სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე

ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ლონდონში ყოფნის შესახებ

იმ მოლაპარაკების განსაგრძობად, რომელიც 1941 წლის დეკემბერში გაიმართა მოსკოვში, ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვს და, მეორე მხრივ, საგარეო საქმეთა

მინისტრ ბატონ ანტონი იდენს შორის ომის წარმოებისა და ევროპაში მშვიდობიანობისა და უშიშროების ომისშემდგომი ორგანიზების საკითხზე, ლონდონს გაიმართა შემდგომი მოლაპარაკება, ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრ და თავდაცვის მინისტრ ბ-ნ უინსტონ ს. ჩერჩილს და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ანტონი იდენსა და, მეორე მხრივ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვს შორის. ეს მოლაპარაკება, რომელიც გულწრფელობისა და გულახდილობის ატმოსფეროში სწარმოებდა, 26 მაისს დამთავრდა იმით, რომ ხელმოწერილ იქნა „სსრ კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე“. ამ ხელშეკრულებას, რომლის ტექსტიც დღეს ქვეყნდება, ხელი მოაწერეს სსრ კავშირის სახელით ვ. მ. მოლოტოვმა და შეერთებული სამეფოს სახელით ბ-ნმა ა. იდენმა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის ელჩი ლონდონში ი. მ. მაისკი და საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი.

ორივე მთავრობა დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ხელშეკრულება მტკიცე საფუძველი იქნება ორივე ქვეყნის კეთილი ურთიერთობისათვის მომავალში და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მჭიდრო და გულწრფელ ურთიერთგაგებას, ოომელიც უკვე არსებობს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის, აგრეთვე ორივე ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, რომლებიც ინფორმირებული იყვნენ მოლაპარაკების მიმდინარეობისა და ხელშეკრულების დადების შესახებ. ორივე მხარე დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ხელშეკრულება ახალი მძლავრი იარაღი იქნება ჰიტლერის გერმანიაზე და მის ევროპელ თანამზრახველებზე სრულ გამარჯვებამდე ბრძოლაში და უზრუნველჰყოფს ორივე ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობას ძლევამოსილი ომის შემდეგ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილთან ვ. მ. მოლოტოვის მოლაპარაკების დროს ორივე ქვეყანას შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების გამო. ამ საკითხზე მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. მ. მოლოტოვი, ი. მ. მაისკი, გენერალ-მაიორი ისაევი და კონტრ-ადმირალი ხარლამოვი და ბ-ნი ჩერჩილი, ბ-ნი ეტლი, ბ-ნი იდენი და ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო, სამხედრო და საჰაერო შტაბების უფროსები. განხილულ იქნა აგრეთვე დიდი ბრიტანეთიდან საბჭოთა კავშირში თვითმფრინავების, ტანკებისა და სხვა საომარი მასალის გამოგზავნის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები. ორივე მხარე მოხარული იყო აღენიშნათ ყველა ხსენებულ საკითხზე შეხედულებათა ერთიანობა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომუნიკე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ვაშინგტონში ყოფნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ფ. რუზველტის მიწვევით ვაშინგტონს ჩავიდა 29 მაისს და პრეზიდენტის სტუმარი იყო რამდენიმე დღის განმავლობაში. ვაშინგტონში მისმა ყოფნამ შესაძლებლობა შეჰქმნა აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლა მომხდარიყო, ერთი მხრივ, პრეზიდენტსა და მის მრჩევლებს და, მეორე მხრივ, ვ. მოლოტოვსა და მის თანაშემწეთა შორის. მოლაპარაკების მონაწილეთა შორის იყვნენ: საბჭოთა ელჩი ა. შ. შტატებში მაქსიმე ლიტვინოვი, ბ-ნი ჰარი ჰოპკინსი, ა. შ. შტატების არმიის შტაბის უფროსი გენერალი ჯორჯ კ. მარშალი და ა. შ. შტატების

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი ერნსტ დ. კინგი. საბელმწიფო მდივანი ბ-ნი კორდელ ჰელი მონაწილეობას იღებდა შემდგომს მოლაპარაკებაში არასამხედრო საკითხებზე. მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა სრული თანხმობა ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების გამო. გარდა ამისა, განხილულ იქნა ა. შ. შტატებიდან საბჭოთა კავშირისათვის თვითმფრინავების, ტანკებისა და სხვა სახის საჭურვლის მიწოდების გადიდებისა და დაჩქარების ღონისძიებანი. შემდეგ განხილულ იქნა ომის შემდგომ თავისუფლებისმოყვარე ხალხთათვის მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობის ძირითადი პრობლემები. ორივე მხარემ კმაყოფილებით დააფასტურა ყველა ამ საკითხზე შეხედულებათა ერთიანობა.

დარბაზობის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტმა ვ. მოლოტოვს სთხოვა გადასცეს მისი სახელით ი. ბ. სტალინს მისი აზრი, რომ ამ საუბრებმა დიდი სარგებლობა მოიტანეს იმ მხრივ, რომ საფუძველი ჩაეყარა მთავრობებს შორის უფრო მახლობელ და ნაყოფიერ ურთიერთობას გაერთიანებული ერების საერთო მიზნების მისაღწევად.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამოკავშირეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და

მისმა უდიდებულესობამ დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და ბრიტანეთის ზღვებსიმიერ სამფლობელოების მეფემ, ინდოეთის იმპერატორმა,

სურთ რა დაადასტურონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობას შორის გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ დადებული შეთანხმების პირობები, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1941 წლის 12 ივლისს, და შესცვალონ იგი ფორმალური ხელშეკრულებით;

სურთ რა ხელი შეუწყონ ომის შემდეგ მშვიდობიანობის დაცვას და გერმანიის ან იმ სახელმწიფოების მხრივ შემდგომი აგრესიის თავიდან აცილებას, რომლებიც დაკავშირებული არიან გერმანიასთან ევროპაში აგრესიის აქტებით;

შემდეგ, სურთ რა გამოხატულება მისცენ თავიანთ განზრახვას ერთმანეთთან, აგრეთვე სხვა გაერთიანებულ ერებთან მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ საზავო ხელშეკრულების შემუშავებისას და რეკონსტრუქციის შემდგომი პერიოდის დროს იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც აღიარებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის 1941 წლის 14 აგვისტოს დეკლარაციით, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობაც შეუერთდა;

ბოლოს, სურთ რა უზრუნველჰყონ ურთიერთ დახმარება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთერთ მაღალ მხარეს თავს დაესხმის გერმანია ან რომელიმე სხვა სახელმწიფო, რომელიც მასთან დაკავშირებულია ევროპაში აგრესიის აქტებით,

ამ მიზნით გადასწყვიტეს დასდონ ხელშეკრულება და თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებად დანიშნეს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა—ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

მისმა უდიდებულესობამ დიდი ბრიტანეთის, ირლანდიისა და ბრიტანეთის

ზღვებსიმიერი სამფლობელოების მეფემ, ინდოეთის იმპერატორმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს სახელით—დიდად პატივცემული ანტონი იდენი, პარლამენტის წევრი, მისი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა მინისტრი,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა წარდგენის შემდეგ, რაც სათანადო ფორმით შედგენილი აღმოჩნდა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I.

მუხლი 1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის დამყარებული კავშირის საფუძველზე ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ურთიერთკისრულობენ სამხედრო და სხვა დახმარება გაუწიონ და ყოველნაირად შეუწყონ ხელი ერთმანეთს გერმანიისა და ყველა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში, რომლებიც დაკავშირებული არიან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით,

მუხლი 2. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კისრულობენ არავითარი მოლაპარაკება არ დაიწყონ ჰიტლერის მთავრობასთან ან გერმანიის ყველა სხვა მთავრობასთან, რომელიც აშკარად არ აიღებს ხელს ყოველგვარ აგრესიულ ზრახვებზე, და არ აწარმოონ მოლაპარაკება ან არ დასდონ დროებითი ზავი ან საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან, რომელიც დაკავშირებულია მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით, თუ არ ურთიერთ თანხმობით.

ნაწილი II.

მუხლი 3.

1. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ მათ სურვილი აქვთ გაერთიანდნენ სხვა თანამოაზრე სახელმწიფოებთან ომის შემდგომ პერიოდში საერთო მოქმედების შესახებ წინადადებათა მიღებაში მშვიდობიანობის დაცვისა და აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

2. ვიდრე ასეთი წინადადებანი მოწონებული იქნებოდეს, ისინი საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ მიიღებენ მათს უფლებაში არსებულ ყოველგვარ ზომებს, რათა შეუძლებელი გახადონ აგრესიის განმეორება და მშვიდობიანობის დარღვევა გერმანიის ან მასთან ევროპაში აგრესიის აქტებით დაკავშირებული რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 4. თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ომის შემდგომ პერიოდში კვლავ აღმოჩნდება გერმანიასთან ან მე-3 მუხლში (პუნქტი 2) მოხსენებულ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან საომარ მოქმედებაში ჩაბმული, ამა თუ იმ მხარეზე ამ სახელმწიფოს თავდასხმის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარე ამგვარად საომარ მოქმედებაში ჩაბმულ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს მაშინვე აღმოუჩენს ყოველგვარ სამხედრო და სხვა დახმარებას და ხელს შეუწყობს მას, როგორც კი ეს მას ძალუძს.

ეს მუხლი ძალაში რჩება მანამ, სანამ ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით ზედმეტად არ იქნება ცნობილი, მათ მიერ მე-3 მუხლში (პუნქტი 1) მოხსენებულ წინადადებათა მიღების გამო. თუ ასეთი წინადადებანი მიღებული არ იქნა, იგი ძალაში რჩება 20 წლის განმავლობაში და მის შემდეგ, ვიდრე ამაზე უარს არ განაცხადებს ხელშეკრულების დამდები რომელიმე მაღალი მხარე მე-8 მუხლის პირობების შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები თითოეული მათგანის უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით შეთანხმდნენ მშვიდობიანობის აღდგენის შემდეგ მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობით ერთობლივად იმუშაონ ევროპის უშიშროებისა და ეკონომიური აყვავების ორგანიზების მიზნებით. ისინი მხედველობაში მიიღებენ გაერთიანებული ერების ინტერესებს აღნიშნული მიზნების განხორციელებაში და აგრეთვე იმოქმედებენ ორი პრინ-

ციპის შესაბამისად—არ მიისწრაფოდნენ თავისთვის ტერიტორიული შეძენისაკენ და არ ჩაერიონ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

მუხლი 6. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთდახმარება გაუწიონ ერთმანეთს ომის შემდეგ.

მუხლი 7. ხელშეკრულების დამდები თითოეული მაღალი მხარე ვალდებულებას კისრულობს არავითარი კავშირი არ შეჰკრას და მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 8. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში და სარატიფიკაციო სიგელთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოხდეს მოსკოვში რაც შეიძლება მალე.

იგი ძალაში შედის დაუყოვნებლივ სარატიფიკაციო სიგელთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ და ამის შემდეგ შესცვლის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობის შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1941 წლის 12 ივლისს.

ამ ხელშეკრულების 1-ლი ნაწილი ძალაში რჩება მშვიდობიანობის აღდგენამდე ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეთა და გერმანიასა და იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან გერმანიასთან ევროპაში აგრესიის აქტებით.

ამ ხელშეკრულების მე-2 ნაწილი ძალაში რჩება 20 წლის პერიოდში მის შემდეგ, უკეთუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე აღნიშნული 20 წლის პერიოდის დასასრულს ვადამდე 12 თვით ადრე განცხადებას არ გააკეთებს, რომ მას სურს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე, იგი კვლავაც ძალაში დარჩება მანამდე, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე 12 თვით წინასწარ წერილობითს გაფრთხილებას არ გააკეთებს, რომ მას განზრახვა აქვს შესწყვიტოს მისი მოქმედება.

რის დასამოწმებლად ზემოაღნიშნულმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და თავიანთი ბეჭდები დაუსვეს.

შედგენილია ლონდონში 2 ცალად რუსულ და ინგლისურ ენაზე 1942 წლის 26 მაისს.

ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

ვ. მოლოტოვი **ანთონი იდენი**

ბ-ნ ჩერჩილის წერილი ი. ბ. სტალინისადმი

„ჩვენ ერთობ მადლიერნი ვართ თქვენი იმისათვის, რომ ესოდენ შეგვიწყეთ ხელი ჩვენს დაბრკოლებათა გამო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უხვად იქნება ანაზღაურებული ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამიერიდან ჩვენი სამი დიდი სახელმწიფო შესძლებს შეთანხმებულად და ერთად იაროს წინ, რაც უნდა მოგველოდეს. მე დიდი კმაყოფილება განმაცდევინა ბატონ მოლოტოვთან შეხვედრამ, და ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, რათა აღმოგვეფხვრა დაბრკოლებანი ჩვენს ორ ქვეყანას შორის. მე მეტად მოხარული ვარ, რომ იგი ამ გზით ბრუნდება, რადგან დარჩა კიდევ ხელსაყრელი სამუშაო, რაც უნდა შესრულდეს.

რადგან ჩვენ ურთიერთ ვიკისრეთ მოკავშირენი და მეგობრები ვიყოთ 20 წლის განმავლობაში, ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს გულწრფელ კეთილ სურვილებს გითვლით და გატყობინებთ ჩემს რწმენას, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

ი. ბ. სტალინის პასუხი ბ-ნ ჩერჩილისადმი

„დიდად მადლობელი ვარ მეგობრული გრძნობებისა და კეთილი სურვილებისათვის, რაც თქვენ გამოსთქვით ჩვენ მიერ ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის გამო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ექნება მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის, აგრეთვე ჩვენს ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას ომის ძლევამოსილი დამთავრების შემდეგ.

მე ვიმედოვნებ აგრეთვე. რომ თქვენი შეხვედრა მოლოტოვთან ამერიკის შეერთებულ შტატებიდან მისი დაბრუნებისას შესაძლებელს გახდის შესრულებულ იქნას სამუშაო, რომელიც ჯერ კიდევ შეუსრულებელი დარჩა.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი კეთილი სურვილები და ჩვენი საერთო სრული გამარჯვების მტკიცე რწმენის გამოთქმა“.

დეპეშების გაცვლა-გამოცვლა გეორგ VI-სა და მ. ი. კალინინს შორის სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო

სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე დადებული ხელშეკრულების ხელმოწერის გამო დიდი ბრიტანეთის მეფემ გეორგ VI და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა შემდეგი მისასალმებელი დეპეშებით მიმართეს ერთმანეთს:

გეორგ VI-ის დეპეშა მ. ი. კალინინისადმი

„არ შემიძლია ეს ამბავი ისე დავტოვო, რომ არ გამოგიცხადოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემი კმაყოფილება იმ თანამშრომლობის გამო, რომელიც კავშირის შესახებ დადებული ჩვენი ხელშეკრულების დღეს ხდება.

ეს ხელშეკრულება კეთილჰყოფს ჩვენი ორი ქვეყნის ღონისძიებებს იმ ძნელსა და სასტიკ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ, და ვალდებულს ხდის მათ გულწრფელად ითანამშრომლონ და დახმარება გაუწიონ ერთმანეთს ჩვენი გამარჯვების შემდგომ წლებში.

მე მსურს დარწმუნებული ვიყო, რომ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ჩემსავით გულწრფელად მიესალმებით ამ ხელშეკრულებას და იზიარებთ ჩემს რწმენას, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედება ხელსაყრელი იქნება არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც“.

მ. ი. კალინინის დეპეშა გეორგ VI-სადმი

„სავსებით ვიზიარებ თქვენი უდიდებულესობის მიერ გამოთქმულ კმაყოფილებას ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირის შესახებ დადებული ხელშეკრულების ხელმოწერის გამო.

დარწმუნებული ვარ, რომ ახლახან ხელმოწერილი ხელშეკრულება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების საბრძოლო კავშირს საერთო მტრის წინააღმდეგ შეურიგებელ და სასტიკ ბრძოლაში და უზრუნველჰყოფს გულწრფელ

თანამშრომლობასა და ურთიერთ დახმარებას ჩვენი გამარჯვების შემდგომ წლებში.

მე, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენსავით გულწრფელად მივესალმები ხელშეკრულებას და გამოვთქვამ რწმენას, რომ ეს ხელშეკრულება საკეთილდღეო იქნება არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც".

ბ-ნ ა. იდენის სიტყვა

ხელშეკრულების ხელმოწერის დროს 1942 წლის 26 მაისს

შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით მოგესალმებით თქვენ, ბატონო მოლოტოვ, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს. ჩვენ ერთმანეთს ვხდებით ომის ხანძარმოდებულ სამყაროში, როდესაც ორივე ჩვენი ქვეყანა საერთო მტერს ებრძვის. ომის ზეგავლენით ჩვენ ვიპოვნეთ ის ურთიერთგაგება, რომლის მიღწევასაც მშვიდობიანი დროის რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ ვახერხებდით.

ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ ეს-ეს არის ხელი მოვაწერეთ, გამოხატავს ჩვენს ვალდებულებებს შეერთებული ძალით განვაგრძოთ ბრძოლა, ვიდრე მოპოვებულ არ იქნება გამარჯვება.

ჩემი კოლეგების სახელით სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენი კუნძულის მთავრობა და ხალხი არ გამოიჩენენ მერყეობას ამ საქმეში. ასეთია, მაშასადამე, ჩვენი ამოცანის პირველი ნაწილი—ჰიტლერის დამხობა და ყოველივე იმის მოსპობა, რაც მის რეჟიმს მოასწავებს. მაგრამ ჩვენი ხელშეკრულება მეორე თავსაც შეიცავს. დადგება დრო, როდესაც ომი დამთავრდება. დადგება დრო, როდესაც ჩვენი საერთო მტერი დამარცხებულ იქნება და კვლავ გამეფდება მშვიდობიანობა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ამჯერად მშვიდობიანობა მტკიცე იყოს. ჩვენ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით ჩვენ ვკისრულობთ ერთად ვიმუშაოთ ამ მიზნის მისაღწევად. ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაში ჩვენი ასოციაცია ჯერ კიდევ არასოდეს არა ყოფილა ესოდენ მჭიდრო, არასოდეს არა ყოფილა ესოდენ სრულყოფილი ჩვენი ურთიერთვალდებულებანი მომავლის მიმართ. ეს უსათუოდ ბედნიერების მომასწავებელია. ჩვენს შეთანხმებაში არაფერი არ არის რისამე გამომრიცხველი. ჩვენ მშვიდობიანობისა და უშიშროებისაკენ მივისწრაფვით არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ ყველა გაერთიანებული ერისთვისაც. მაგრამ ჩვენს შორის არსებული ურთიერთგაგება წარმოადგენს მშვიდობიანობის ერთ-ერთ საფუძველს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

ჩვენ ხელი მოვაწერეთ ჩვენს ხელშეკრულებას და სამუშაოს ნაწილი უკვე შესრულებულია.

ახლა მე მინდოდა მეთქვა, ბატონო მოლოტოვ, თუ რამდენად დიდად ვაფასებთ ჩვენ იმ სახელმწიფოებრივ სიბრძნესა და გაგებას, რაც თქვენ ჩვენი მოლაპარაკების დროს გამოიჩინეთ.

მე აგრეთვე მინდოდა მადლობა გადამეხადა ბატონ მაისკისათვის, თქვენი ელჩისათვის, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა დიდ ბრიტანეთში ყოფნის დროს, რათა გაეღრმავებინა ჩვენს ორ ქვეყანას შორის. სამუშაოს ნაწილი უკვე შესრულებულია, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი წინ გვიძევს. უნდა მოვიგოთ ომი, უნდა დავამყაროთ მშვიდობიანობა. ვერც ერთ ამ ამოცანას ჩვენ მარტონი ვერ გადავჭრით. თქვენ, ბატონო მოლოტოვ, ჩვენს ნაპირებს სტოვებთ და შეერთებულ შტატებში მიემგზავრებით. კაცობრიობის მომავალი ძალიან დიდად იქნება დამოკიდებული საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთე-

ბული შტატებისა და ერთა ბრიტანული თანასაზოგადოების თანამშრომლობაზე.

მადლობას გწირავთ ჩვენთან ერთად მუშაობისათვის და გისურვებთ კეთილ მგზავრობას.

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ხელშეკრულების ხელმოწერის დროს 1942 წლის 26 მაისს

ბატონო ჩერჩილო, ბატონებო!

ჰიტლერის გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში კავშირის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელზედაც მე პატივი მქონდა ეს-ეს არის ხელი მომეწერა სსრ კავშირის მთავრობის სახელით, დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ნიშანსვეტს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში. ჩვენი ხელშეკრულება ესაჭიროება არა მარტო სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხებს, არამედ სხვა ქვეყნების ხალხებსაც. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ყველა ხალხი, რომლებმაც თავის თავზე განიცადეს გერმანელი ფაშისტი იმპერიალისტების თავდასხმა ან რომელთა თავისუფლებასა და ღირსებას ემუქრებოდა ან შეიძლება ჯერ კიდევ ემუქრებოდეს ყაჩაღთა, მჩაგვრელთა და მოძალადეთა ჰიტლერული ბანდა,—ყველა ისინი კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ ამ ისტორიულმა ხელშეკრულებამ იხილა მზის სინათლე. მთელს მსოფლიოში ჩვენი მოკავშირენი ჩვენთან ერთად გაიზიარებენ კმაყოფილების მხურვალე გრძნობას. ჩვენი ხელშეკრულება საჭიროა იმისათვის, რომ უფრო მალე უზრუნველვყოთ ჰიტლერის გერმანიის განადგურება, რომ უფრო მალე მივაღწიოთ სასურველ მიზანს—გამარჯვებას.

ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოქმედების საერთო ხაზს განსაზღვრავს ომის შემდეგაც. 20 წლის ვადა ამ ხელშეკრულების მოქმედებისა ომის დამთავრების შემდეგ,—მოქმედებისა გერმანიის მხრივ მოსალოდნელი ახალი აგრესიის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიური ურთიერთდახმარების საფუძველზე და ევროპის ხალხთა უშიშროებისა და ეკონომიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის გულისათვის, თავისთავად მეტყველებს; ჰიტლერი და ევროპის სისხლიანი ძარცვის საქმეში მისი თანამონაწილენი ახლა კიდევ უფრო მეტად იგრძობენ, თუ როგორ მტკიცდებიან და ირაზმებიან მათი მოწინააღმდეგეების გაერთიანებული ძალები. მით უკეთესი ჩვენთვის, ჩვენი ხალხებისათვის, ჩვენი საერთო საქმისათვის.

ეს ხელშეკრულება მეტ რამეს მეტყველებს და შეიცავს, ვიდრე ინგლის-საბჭოთა კავშირის შარშანდელი წლის ცნობილი ხელშეკრულება. 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულება ახალ, დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ევროპაში ჩვენი საერთო და შეურიგებელი მტრის წინააღმდეგ კავშირისა და სახედრო ურთიერთდახმარების საფუძველზე ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში, როგორც ახლა, ისე მომავალშიც. იგი საიმედო საფუძველს იძლევა ერთობლივი ბრძოლისათვის ომის შემდეგაც, რაც ბევრად აძლიერებს მის მნიშვნელობას.

კიდევ უფრო მეტად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ის, რაც ამ ხელშეკრულებაში დღევანდელ დღეს ეხება, უკვე ხორციელდება წარმატებით, საქმით ხორციელდება. ასეთ ხელშეკრულებას დიდი კმაყოფილებით მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა მასები, სადაც დიდი ბელადისა და სარდლის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით წითელი არმია გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ურყევად სწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი სამართლიანი საქმე სრულ გამარჯვებას მოიპოვებს.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ ჩერჩილსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ იდენს, რომლებმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთეს ამ ხელშეკრულებისათვის, მათი აქტიური მონაწილეობისათვის მთელს მუშაობაში.

მე გამოვთქვამ უაღრესად გულწრფელ მადლობას დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გამიწიეს მე, როგორც სსრ კავშირის მთავრობის წარმომადგენელს.

დასასრულ მე მსურს მტკიცე რწმენა გამოვთქვა, რომ ხელშეკრულება, რომელსაც დღეს მოვაწერეთ ხელი, ღირსეულად გაუწევს სამსახურს ჩვენი გამარჯვების საქმეს, ჩვენი ხალხების დიადი მომავლის საქმეს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის დეპეშა ბ-ნ უ. ჩერჩილისა და ბ-ნ ა. იდენისადმი

ბ-ნ უინსტონ ჩერჩილს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს,

ლონდონი.

ვტოვებ რა დიდი ბრიტანეთის საზღვრებს, ჩემს მოვალეობად ვთვლი გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბრიტანეთის მთავრობას და პირადად თქვენ იმ გულითადი მიღებისა და გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც თქვენს ქვეყანაში გამიწიეთ.

გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული მოკავშირეობის ხელშეკრულება და იმ საკითხებზე მიღწეული შეთანხმება, რომლებიც 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნას შეეხება, მნიშვნელოვნად დააჩქარებს ჰიტლერის გერმანიის სრულ განადგურებას და გამოხატავს ჩვენი ხალხების ღრმა მისწრაფებას მჭიდრო მეგობრობისა და ფართო თანამშრომლობისაკენ.

მიიღეთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენდამი და დიდი ბრიტანეთის ხალხებისადმი.

ვ. მოლოტოვი.

ბნ-ანტონი იდენს,

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს,

ლონდონი.

ვიდრე დიდ ბრიტანეთს დავტოვებდე, ვსარგებლობ შემთხვევით გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მეგობრული თანამშრომლობისათვის ლონდონში გამართული მოლაპარაკების დროს, რომელიც ესოდენ წარმატებით დამთავრდა სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის მოკავშირეობისა და სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ხელშეკრულების ხელმოწერით.

ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ხელშეკრულება მტკიცე ბაზა გახდება ჩვენს ქვეყნებს შორის მოკავშირეობის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს თავისუფლებისმოყვარე ხალხების საერთო საქმეს როგორც ჰიტლერის გერმანიასთან ომის დროს, ისე ომისშემდგომ პერიოდშიც.

ვ. მოლოტოვი.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმებას იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარების გაწევისას

1942 წლის 11 ივნისს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის შეთანხმებას იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარების გაწევისას. სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. მ. ლიტვინოვმა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით—ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა კორდელ ჰელმა.

ხელმოწერილი შეთანხმება, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ადასტურებს, რომ იგი საბჭოთა კავშირს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავაც გაუწევს თავდაცვითს დახმარებას საჭურველითა და სხვა საომარი მასალებით, ამ დახმარების ალმოჩენის წესის მთელ რიგ დაზუსტებას შეიცავს. შეთანხმებას საფუძვლად დაედო იმ დახმარების ურთიერთ სარგებლობის პრინციპი, რომელსაც ორივე ქვეყანა უწევს ერთმანეთს. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, მიზანშეწონილად მიიჩნიეს რა გადასდონ იმ საკითხების საბოლოო მოწესრიგება, რომლებიც გაწეული ურთიერთდახმარებიდან გამომდინარეობენ, დასდეს ეს წინასწარი შეთანხმება თავდაცვითი დახმარების გაწევის შესახებ და აღნიშნეს მასში ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც მხედველობაში იქნება მიღებული მომავალი საბოლოო შეთანხმების დადებისას, ორივე ქვეყნის ინტერესების, მსოფლიო ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებისა და მშვიდობიანობის დაცვის ინტერესების შესაბამისად.

როგორც ცნობილია, ასეთივე შინაარსის შეთანხმება დადებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის 1942 წლის 23 თებერვალს.

შეთანხმების ხელმოწერასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა კორდელ ჰელმა და სსრ კავშირის ელჩმა მ. მ. ლიტვინოვმა ერთმანეთს მიმართეს ნოტებით, რომლებითაც დასტურდება ორივე მთავრობის ურთიერთთანხმობა იმის შესახებ, რომ ამ შეთანხმების დადებით უკანასკნელი სცვლის და აბათილებს ორ წინანდელ შეთანხმებას ამავე საკითხზე. ქვემოთ ქვეყნდება შეთანხმების ტექსტი:

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები აცხადებენ, რომ ისინი, ყველა სხვა ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოებთან და ხალხებთან ერთად, ეწევიან საერთო საქმეს, მიმართულს ისეთი სამართლიანი და მტკიცე საერთო მშვიდობიანობის საფუძველთა შექმნისაკენ, რომელიც უზრუნველჰყოფს კანონიერ წესრიგს თვითონ მათთვის და ყველა სხვა ხალხისათვის;

და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, როგორც გაერთიანებული ერების 1942 წლის 1 იანვრის დეკლარაციის მონაწილეებმა, ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის მიერ 1941 წლის 14 აგვისტოს გაკეთებულ ერთობლივ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული მიზნებისა და პრინციპების საერთო პროგრამას, ატლანტიკის ქარტიის სახელით ცნობილს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობაც შეუერთდა;

და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტმა, კონგრესის 1941 წლის 11 მარტის აქტის განსაკუთრებლად, გადასწყვიტა, რომ აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავდაცვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვისათვის;

და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უწევდნენ და კვლავ უწევენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს დახმარებას აგრესიისადმი წინააღმდეგობის გაწევის საქმეში;

და ვიღებთ რა მხედველობაში იმის მიზანშეწონილობას, რომ საბოლოო განსაზღვრა იმ პირობებისა, რომლებითაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა იღებს აღნიშნულ დახმარებას, და იმ სარგებლობისა, რომელიც სამაგიეროდ უნდა მიიღონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გადადებული იყო მანამდე, სანამ არ გამოირკვევოდა თავდაცვითი დახმარების მოცულობა და სანამ მოვლენათა მსვლელობა უფრო ნათელს არ გახდიდა იმ საბოლოო პირობებსა და სარგებლობას, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო ინტერესთა შესაბამისი იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მშვიდობიანობის შექმნასა და დაცვას მთელ მსოფლიოში;

და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს საერთო სურვილი აქვთ დასდონ ახალი წინასწარი შეთანხმება თავდაცვითი დახმარების გაწევისა და ზოგიერთი მოსაზრების შესახებ, რომლებიც მიღებული იქნება მხედველობაში ზემოხსენებული პირობების დადგენისას და რამდენადაც ასეთი შეთანხმების დადება ყოველმხრივ სათანადოდ იქნა გადაჭრილი და ყველა აქტი, პირობა და ფორმალობა, რომლებიც უნდა შესრულებულიყო ასეთი შეთანხმების დადებამდე როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების კანონების შესაბამისად, სათანადოდ იქნა შესრულებული;

ქვემორე ამისა ხელმომწერლები, რომლებსაც ამ მიზნისათვის ჯეროვანი რწმუნებულება გვაქვს სათანადო მთავრობების მხრივ, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი I.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შემდეგშიაც განაგრძობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მომარაგებას იმ თავდაცვითი მასალებით, იმ თავდაცვითი მომსახურების გაწევას და იმ თავდაცვითი ინფორმაციის მიწოდებას, რომელთა გადაცემის ან მიწოდების ნება დართო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

მუხლი II.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა კვლავაც შეუწყობს ხელს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვას და მის განმტკიცებას

და მიაწვდის მასალებს, გაუწევს მომსახურებას, მისცემს შეღავათებსა და მიაწვდის ინფორმაციას, რამდენადაც მას შეეძლება.

მუხლი III.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანხმობის გარეშე არ გადასცემს, ფორმალურად ან ფაქტიურად, მის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 1941 წლის 11 მარტის აქტის შესაბამისად მიღებულ რაიმე თავდაცვითს მასალებს ან თავდაცვითს ინფორმაციას ან ამ მასალებითა და ინფორმაციით სარგებლობის ნებას არ დართავს არავის, გარდა საბჭოთა სიციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის თანამდებობის პირებისა, მოსამსახურეებისა ან აგენტებისა.

მუხლი IV.

თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისათვის რაიმე თავდაცვითი მასალის ან თავდაცვითი ინფორმაციის გადაცემის შედეგად საჭირო გახდება ამ მთავრობისათვის მიიღოს ზომები ან გადაიხადოს ღირებულება იმ მიზნით, რომ საესებით იქნას უზრუნველყოფილი ყოველგვარი უფლება ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე მოქალაქისა, რომელსაც ზემოხსენებულ თავდაცვითს მასალებთან ან ინფორმაციასთან დაკავშირებით საპატენტო უფლებები აქვს, მაშინ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მიიღებს ამ ზომებს და გადაიხდის ამ ღირებულებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადებით.

მუხლი V.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, არსებული საგანგებო მდგომარეობის დამთავრების შემდეგ, დაუბრუნებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განსაზღვრით, ამ შეთანხმებით მიღებულ იმ თავდაცვითს მასალებს, რომლებიც მოუსპობელი, დაუხარჯავი ან მოუხმარებელი აღმოჩნდება და რომლებიც, პრეზიდენტის განსაზღვრით, შეიძლება გამოდგეს ამერიკის შეერთებული შტატების ან დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვისათვის, ან შეიძლება რამენაირად გამოყენებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ.

მუხლი VI

იმ სარგებლობის საბოლოოდ გამორკვევისას, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მისცემს ამერიკის შეერთებულ შტატებს, საესებით იქნება მიღებული მხედველობაში მთელი ქონება, მომსახურება, ინფორმაცია, შეღავათები და სხვა სარგებლობა, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ მისცა 1941 წლის 11 მარტის შემდეგ და რაც პრეზიდენტმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელით.

მუხლი VII.

იმ სარგებლობის საბოლოოდ გამორკვევისას, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა მისცემს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას კონგრესის 1941 წლის 11 მარტის აქტის შესაბამისად გაწეული დახმარების სამაგიეროდ, ამ სარგებლობის პირობები ისეთი

უნდა იყოს, რომ არამც თუ არ გააძნელოს ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის, არამედ, პირიქით, ხელი შეუწყოს მათს ურთიერთხელსაყრელ ეკონომიურ ურთიერთობას და მსოფლიო ეკონომიური ერთობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით მათ უნდა გაითვალისწინონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის იმ შეთანხმებული მოქმედების შესაძლებლობა, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს მათნაირათ მოაზროვნე ყველა სხვა სახელმწიფო და რომელიც მიმართული იქნება, სათანადო საერთაშორისო და შინასახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გზით, წარმოების, მუშა-ხელის გამოყენების, აგრეთვე საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და მოხმარების გაფართოებისაკენ, რაც ყველა ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის მატერიალურ საფუძველს შეადგენს; საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობისაკენ და ბაჟებისა და სხვა სავაჭრო დაბრკოლებათა შემცირებისაკენ და საერთოდ ყველა იმ ეკონომიური მიზნის მიღწევისაკენ, რომლებიც აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის 1941 წლის 14 აგვისტოს ერთობლივს დეკლარაციაში, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობაც შეუერთდა.

რაც შეიძლება მოკლე ხანში დაიწყება მოლაპარაკება ამ ორ მთავრობას შორის იმ მიზნით, რომ გაბატონებული ეკონომიური პირობების საფუძველზე გამოირკვეს საუკეთესო საშუალება ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისა მათი საკუთარი შეთანხმებული მოქმედებით, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას შეთანხმებული მოქმედება მათნაირად მოაზროვნე მთავრობების მხრივ.

მუხლი VIII.

ეს შეთანხმება ძალაში შევა დღეის რიცხვიდან. იგი ძალაში დარჩება იმ ვადამდე, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნას ამ ორ მთავრობას შორის.

ხელმოწერილია ბეჭდების დასმით ვაშინგტონში ორ ცალად 1942 წლის 11 ივნისს.

მაქსიმე ლიტვინოვი
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ელჩი ვაშინგტონში

კორდელ ჰელი
ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი

ბ-ნ ფ. დ. რუზველტის მიმართვა ი. ბ. სტალინისადმი

დიდად გმადლობთ ჩემ სანახავად ბატონ მოლოტოვის გამოგზავნისათვის და მოუთმენლად ველი ცნობას საბჭოთა კავშირში მისი მშვიდობით დაბრუნების შესახებ. ჩვენთან ვიზიტმა მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი მოიტანა.

ი. ბ. სტალინის პასუხი ბ-ნ ფ. დ. რუზველტისადმი

საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, სთვლის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვ. მ. მოლოტოვის ვიზიტის შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა საბჭოთა მთავრობის სახელით გულწრფელი მადლობა გამოგიცხადოთ, ბ-ნო პრეზიდენტო, იმ გულითადი მიღებისათვის, რომელიც თქვენ გაუმართეთ ვ. მ. მოლოტოვს და მის თანამგზავრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში.

ვ. მ. მოლოტოვი დღეს დაბრუნდა მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

რატიფიკაცია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულებისა ჰიტლერის გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე“

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის — ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1942 წლის 18 ივნისს

ამხანაგო დეპუტატებო!

მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია წარედგინა უმაღლესი საბჭოსათვის განსახილველად და სარატიფიკაციოდ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა 26 მაისს ლონდონში. ეს გაკეთდა ამ ხელშეკრულების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გამო. ხელშეკრულება ანმტკიცებს საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის შექმნილ მეგობრულ ურთიერთობას და ურთიერთ საომარ დახმარებას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მტკიცე კავშირად აქცევს ამ ურთიერთობას. ხელშეკრულება განსაზღვრავს აგრეთვე ჩვენი მოქმედების საერთო ხაზს ინგლისთან ერთად ომისშემდგომ პერიოდში. ხელშეკრულება მთელი თავისი შინაარსით ხაზს უსვამს მის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას არა მარტო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში, არამედ ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის მთელი ერთობლიობის შემდგომ განვითარებაშიც.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, ისევე როგორც იმ მოლაპარაკების შედეგები, რომლის წარმოებაც საბჭოთა მთავრობის დავალებით მომიხდა ლონდონსა და ვაშინგტონში, მოწმობს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული ურთიერთობის სერიოზულ განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, რომლებსაც ჰიტლერის გერმანიასთან ბრძოლის მთავარი სიმძიმის გადატანა უხდებათ, ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო აჩჭარებს ეს ჩვენს გამარჯვებას გერმანელ დამპყრობლებზე. ხელშეკრულებამ, ისევე როგორც ლონდონსა და ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების სხვა შედეგებმა, უნდა დააჩქაროს ჰიტლერის ვერმანიისა და ევროპაში აგრესიის მხრივ მის თანამონაწილეთა განადგურება და, ამასთან ერთად, გადაიქცევა სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის, აგრეთვე ორივე ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საიმედო ბაზად. ხელშეკრულება და თანხმობა, რომელიც როგორც საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის, ისე

საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულია ახლანდელი ომის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და ომის შემდეგ ერთობლივი მუშაობის საკითხზე, იმას ნიშნავს, რომ განმტკიცდა საბრძოლო თანამეგობრობა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებისა, რომელთაც დღეს სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი, ინგლისი და შეერთებული შტატები.

მოგაგონებთ ამბებს, რომლებიც წინ უძღოდა ინგლის-საბჭოთა კავშირის 26 მაისის ხელშეკრულების დადებას და რომლებიც საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ახალი, მეგობრული ურთიერთობის განვითარების მთავარ ეტაპებს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ გასული წლის 22 ივნისს—იმავე დღეს, რა დღესაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს—დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ჩერჩილი გამოვიდა მტკიცე განცხადებით, რომ ინგლისი დახმარებას აღმოუჩენს საბჭოთა კავშირს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში, რადგან ინგლისელ ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხებთან საერთო ამოცანად მიაჩნია ჰიტლერის გერმანიის განადგურება. **(ტაში).** ინგლისის მოსკოველ ელჩ ბ-ნ კრიპსთან მოლაპარაკებამ, რომელიც ამას მოჰყვა და რომელშიც უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა სტალინმა, შედეგად მოიტანა 1941 წლის 12 ივლისის ცნობილი ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმების ხელმოწერა. ამ შეთანხმებაში სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა იკისრეს ურთიერთ ვალდებულება დაეხმარონ და ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ერთმანეთს ახლანდელ ომში ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ, აგრეთვე არ აწარმოონ მოლაპარაკება და არ შეჰკრან არც დროებითი და არც საბოლოო ზავი ურთიერთთანხმობის გარეშე.

ამ შეთანხმებამ ჩაშალა ჰიტლერის გეგმა—გაეთიშა თავისი მოწინააღმდეგენი და ჰიტლერის ვარაუდი—ცალცალკე ებრძოლნა თითოეულ მათგანის წინააღმდეგ. გასული წლის 12 ივლისს შემობრუნება მოხდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში. მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნების მეგობრობასა და საბრძოლო თანამშრომლობას საერთო მოსისხლე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩვენი ხალხების დიადი მომავლის ინტერესებისათვის.

ინგლის-საბჭოთა კავშირის, ხოლო ამასთან ერთად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო სამი სახელმწიფოს ცნობილი კონფერენცია, რომელიც მოსკოვში შესდგა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ბ-ნ ბივერბრუკის და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ ბ-ნ ჰარიმანის მონაწილეობით და რომელმაც გასული წლის 1-ლ ოქტომბერს დაამთავრა თავისი მუშაობა. ამ კონფერენციაზე შემუშავებულ იქნა ინგლისიდან და შეერთებული შტატებიდან საბჭოთა კავშირისათვის საჭურველისა და საომარ მასალათა მიწოდების გეგმა. ამის შედეგად დაიწყო ტანკების, თვითმფრინავებისა და სხვა საჭურვლის, აგრეთვე ისეთი დეფიციტური მასალების როგორიც არის ალუმინი, ნიკელი, კაუჩუკი და სხვა, საბჭოთა კავშირში შემოზიდვა მიწოდების იმ დიდი პროგრამის შესაბამისად, რომელიც მოსკოვის კონფერენციაზე შემუშავდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირში საჭურვლისა და მასალების შემოზიდვა ცოტა სიძნელეს როდი წარმოადგენდა და წარმოადგენს. გერმანიის სამხედრო ხომალდები, გერმანიის წყალქვეშა ნავები და თვითმფრინავები, რომლებიც ყაჩაღობასა და მეკობრეობას ეწევიან ატლანტის ოკეანეში, მუდმივ თავდასხმას ახდენენ იმ გემებზე, რომლებსაც ეს საჭურ-

ველი მოაქვთ საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირისათვის განკუთვნილი ტვირთებით დატვირთული მთელი რიგი გემები, ჩვენი მოკავშირეების სამხედრო-საზღვაო ძალთა მიერ მათი ბადრაგობის მიუხედავად, გზაში დაიღუპა, როცა ისინი მურმანსკისა და არხანგელსკისაკენ მოემართებოდნენ. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან საჭურველისა და მასალების მიწოდება არამც თუ არ შემცირდა, არამედ უკანასკნელ თვეებში კიდევაც გაძლიერდა. ეს მიწოდება საჭირო და დიდმნიშვნელოვანი დამატებაა იმ საჭურველისა და მომარაგებისა, რომლის უდიდეს რაოდენობას წითელი არმია ჩვენი შინაგანი რესურსებიდან იღებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ვიზრუნოთ ამ მიწოდების გადიდებისა და გაუმჯობესებისათვის როგორც ახლა, ისე შემდეგშიც. უნდა ვაღიაროთ აგრეთვე, რომ ამ მიწოდების განხორციელებამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა და შემდეგშიც შეასრულებს სსრ კავშირსა, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში ახალი დიდმნიშვნელოვანი მომენტი იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ იდენის ჩამოსვლა მოსკოვს გასული წლის დეკემბერში და ის ნაყოფიერი მოლაპარაკება, რასაც ამხანაგი სტალინი აწარმოებდა მასთან ჩემი მონაწილეობით. ამ მოლაპარაკებამ მერე თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა. ამასთან, როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, მოლაპარაკება იმედს იძლეოდა, რომ მას გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვებოდა.

მაშინ, აპრილში ბრიტანეთის მთავრობამ მოგვმართა წინადადებით, რომ საბჭოთა მთავრობას გავეგზავნე მე ლონდონში ამ მოლაპარაკების დასამთავრებლად და ხელშეკრულების საბოლოო პროექტის განსახილველად.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მიმართა ამხანაგ სტალინს წინადადებით გავეგზავნე მე ვაშინგტონში გადაუდებელი ხასიათის მქონე, დიდმნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

როგორც მოგეხსენებათ, მე, უახლოეს თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად, გავემგზავრე და ხანგრძლივი მეგობრული საუბრები მქონდა როგორც ლონდონში ბ-ნ ჩერჩილთან, ბ-ნ იდენთან და ბრიტანეთის მთავრობის სხვა მოღვაწეებთან, ისე ვაშინგტონში ბ-ნ რუზველტთან, ბ-ნ ჰოპკინსთან, ბ-ნ ჰელთან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ხელმძღვანელ წარმომადგენლებთან. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ლონდონში—საბჭოთა ელჩი ამხ. მაისკი და ვაშინგტონში—საბჭოთა ელჩი ამხ. ლიტვინოვი. გარდა ამისა, სამხედრო სტრატეგიული საკითხების განხილვაში ახლო მონაწილეობას იღებდნენ დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ყველა სამხედრო შტაბის უფროსები, აგრეთვე საბოლოო საბჭოთა სამხედრო წარმომადგენლები.

წარმატებითი მოლაპარაკების შედეგად ლონდონში 26 მაისს ხელმოწერილ იქნა „საბჭოთა სოციალისტიური რესპუბლიკებისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე“.

ხელშეკრულება ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი შეიცავს ორ მუხლს, რომლებიც განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობას ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომის პერიოდისათვის, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს მუხლებს, რომლებიც განსაზღვრავენ ორივე ქვეყნის ურთიერთობას ომისშემდგომ პერიოდში.

რაც შეეხება ხელშეკრულების პირველ ნაწილს, შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირითადად იმეორებს ინგლის-საბჭოთა კავშირის გასული წლის 12 ივლისის ცნობილი შეთანხმების შინაარს და ფორმალურ ხელშეკრულებად აქცევს ამ შეთანხმებას. აზუსტებს რა შარშანდელ შეთანხმებას, ხელშეკრულების ეს ნაწილი ლაპარაკობს ერთმანეთისათვის სამხედრო და სხვა დახმარების გაწევასა და ხელშეწყობაზე არა მარტო გერმანიის წინააღმდეგ, არამედ „ყველა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგაც, რომლებიც მასთან დაკავშირებული არიან ევროპაში აგრესიის აქტებით".

ხელშეკრულების მეორე ნაწილი შედარებით ახალია. ხელშეკრულების ამ ნაწილის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ აქ პირველად არის დადგენილი ომის შემდეგ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მეგობრული თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები. გათვალისწინებულია აგრეთვე ორივე ქვეყნის თანამშრომლობა სხვა გაერთიანებულ ერებთან ზავის დადებისას და ომისშემდგომ პერიოდში, ამასთან ეს თანამშრომლობა წარმოდგენილია ცნობილი ატლანტის ქარტიის ძირითად დებულებათა შესაბამისად, ქარტიისა, რომელსაც თავის დროზე სსრ კავშირიც შეუერთდა. ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მთელი მომავალი განვითარებისათვის.

ორივე ქვეყანა შეთანხმდა ერთად იმუშაონ მშვიდობიანობის აღდგენის შემდეგ „ევროპის უშიშროებისა და ეკონომიური აყვავების ორგანიზების მიზნით". ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ორივე მხარე „აღნიშნული მიზნების განხორციელებისას მხედველობაში მიიღებს გაერთიანებული ერების ინტერესებს და იმოქმედებს აგრეთვე ორი პრინციპის შესაბამისად—არ მიისწრაფოდნენ ტერიტორიების შეძენისაკენ და არ ჩაერიონ სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში". ხელშეკრულების ეს პრინციპები სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის—ამხანაგ სტალინის გასული წლის 6 ნოემბრის ცნობილ განცხადებას:

> „ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორიც არის სხვათა ტერიტორიების დაპყრობა, სხვა ხალხების დამონება, სულ ერთია, ევროპის ხალხებსა და ტერიტორიებს ეხება საქმე, თუ აზიის ხალხებსა და ტერიტორიებს, მათ შორის ირანსაც".

საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი არ მიისწრაფვიან ტერიტორიების შეძენისაკენ და არ ჩაერევიან სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, და აღიარებენ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მიმართ თავიანთი პოლიტიკის მეგობრულ პრინციპებს, ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ მათი პოლიტიკა ძირფესვიანად განსხვავდება იმ აგრესიული პოლიტიკისაგან, რასაც აწარმოებს ჰიტლერის გერმანია, რომელიც სხვა ხალხთა ტერიტორიების დასაპყრობად და მათ დასამონებლად ომობს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი სამამულო განმათავისუფლებელი ომის მიზნების შესახებ ამხანაგ სტალინის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომლებითაც მან ჯერ კიდევ გასული წლის 3 ივლისს მიმართა საბჭოთა კავშირის ხალხებს:

> „ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რო-

მელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ". (ტაში).

ზემოაღნიშნული მიზნებისა და ხელშეკრულების პრინციპების შესაბამისად, მასში აღიარებულია, რომ ორივე მთავრობა მიისწრაფვის „გაერთიანდეს სხვა თანამოაზრე სახელმწიფოებთან ომისშემდგომ პერიოდში საერთო მოქმედების შესახებ წინადადებათა მიღებაში მშვიდობიანობის დაცვისა და აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით", აგრეთვე იმისათვის, რომ ომის დამთავრების შემდეგ „შეუძლებელი გახადონ აგრესიის გამეორება და მშვიდობიანობის დარღვევა გერმანიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც მასთან დაკავშირებულია ევროპაში აგრესიის აქტებით".

ორივე მხარე შეთანხმდა აგრეთვე, რომ იმ შემთხვევაში, თუ ომის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთ მათგანს კვლავ დაესხმის თავს გერმანია ან სხვა აგრესიული სახელმწიფო, მეორე მხარე „აშგვარად საომარ მოქმედებაში ჩაბმულ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს მაშინვე აღმოუჩენს ყოველგვარ სამხედრო და სხვა დახმარებას და ხელს შეუწყობს მას, როგორც კი ეს მას ძალუძს". ამ ურთიერთ ვალდებულების გარკვეულობას და კატეგორიულობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნებისათვის, რომლებიც მიისწრაფვიან იმისაკენ, რომ უზრუნველჰყონ მტკიცე მშვიდობიანობა ამ ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ.

შემდეგ, ყველასათვის გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ორივე მთავრობა შეთანხმდა, რათა ყველა აღნიშნული ვალდებულება, რომლებიც ომისშემდგომ პერიოდს ეხება, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში მოქმედებდეს. ამასთან გათვალისწინებულია 20 წლის ვადა და მისი განგრძობის შესაძლებლობა.

კითხვას აყენებენ კიდევ, გარდა გამოქვეყნებული ხელშეკრულებისა ხომ არ არის დადებული რაიმე საიდუმლო შეთანხმება სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორისო? მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ასეთ ვარაუდებს არავითარი საფუძველი არა აქვს, რომ არავითარი საიდუმლო შეთანხმება არ არსებობს ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის, როგორც არ არსებობს არავითარი საიდუმლო შეთანხმება საბჭოთა კავშირ-ამერიკას შორის.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ არ შეიძლება არ შევუერთდეთ ხელშეკრულების ხელმოწერისას ბ-ნ იდენის მიერ ნათქვამ შემდეგ სიტყვებს:

„ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაში ჩვენი ასოციაცია ჯერ კიდევ არასოდეს არა ყოფილა ესოდენ მჭიდრო, არასოდეს არა ყოფილა ესოდენ სრულყოფილი ჩვენი ურთიერთვალდებულებანი მომავლის მიმართ. ეს უსათუოდ ბედნიერების მომასწავებელია".

ხელშეკრულებას თანაგრძნობით გამოეხმაურნენ როგორც სსრ კავშირში, ისე ინგლისშიც. ორივე ქვეყნის ხალხთა ფართო მასებში მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა, მოძალადეთა, მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებამ. ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც თავის დროზე იყვნენ ინფორმირებული მოლაპარაკების მსვლელობისა და ხელშეკრულების დადების შესახებ, აგრეთვე სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნები, რომლებმაც ჰიტლერელთა ურდოების მხრივ ჩაგვრა და სისხლისმღვრელი ძალადობა განიცადეს ან რომელთაც ასეთი საფრთხე ემუქრება, მოწონებით შეხვდნენ ჩვენ მიერ ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებას.

ჩვენი მტრების ბანაკში კი, გერმანელი ფაშისტებისა და მათი თანამონაწილეების ბანაკში ხელშეკრულებამ დაბნეულობა და ბრაზმორეული სისინი გამოიწვია. ჩვენი მტრების ბანაკისათვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა. მით უფრო გაუწევს სამსახურს ხელშეკრულება ჩვენს მართალ, სამართლიან, განმათავისუფლებელ საქმეს (**ხანგრძლივი ტაში**).

იმ საკითხების მთელი მნიშვნელობის მიუხედავად, რომლებისადმიც მიძღვნილია ხელშეკრულება და რომლებსაც დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ლონდონის მოლაპარაკებაში, ეს მოლაპარაკება, როგორც მოგეხსენებათ, მარტო აღნიშნული საკითხებით არ განისაზღვრებოდა. ლონდონში, ისევე როგორც ვაშინგტონში, სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხებიც იყო განხილული. საქმე უმთავრესად იმ საკითხებს ეხება, რომლებიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ჩვენი ომის აქტუალურ პრობლემებთან.

ევროპაში მეორე ფრონტის პრობლემებს, ბუნებრივია, სერიოზული ყურადღება დაეთმო როგორც ლონდონში, ისე ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების დროს. ამ მოლაპარაკების შედეგებზე ერთნაირი ფორმით ლაპარაკობს, როგორც ინგლის-საბჭოთა კავშირის, ისე საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომუნიკე. ორივე კომუნიკეში განცხადებულია, რომ მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა „სრული შეთანხმება ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ". (**ხანგრძლივი ტაში**). ასეთ განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, რადგან ევროპაში მეორე ფრონტის შექმნა გადაულახავ სიძნელეებს შეუქმნის ჰიტლერის არმიებს ჩვენს ფრონტზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი საერთო მტერი მალე იგრძნობს თავის ზურგზე სამი დიდი სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო ზრდადი საომარი თანამშრომლობის შედეგებს. (**მჟუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

გარდა ამისა, განხილულ იქნა შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან საბჭოთა კავშირისათვის საომარი მასალების მიწოდების შემდგომი გაუმჯობესებისა და გადიდების საკითხები. ამ მხრივაც შეგვიძლია აღვნიშნოთ დადებითი შედეგები. ამა წლის მეორე ნახევრიდან მოკავშირეთა მიერ სსრ კავშირისათვის საომარი მასალების მიწოდება და მისი მომარაგება გადიდებული და დაჩქარებული იქნება. (**ტაში**). ეს, უწინარეს ყოვლისა, იქიდან სჩანს, რომ მატულობს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მასალების მიწოდების ოდენობა. როგორც ცნობილია, გასული წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტეს მიეცათ საბჭოთა კავშირისათვის 1 მილიარდი დოლარი სესხი საბჭოთა კავშირისათვის მიწოდებული საომარი მასალების ღირებულების გადასახდელად. მიწოდების ახალ პროგრამაში ამერიკის შეერთებული შტატები მის საერთო თანხას 3 მილიარდი დოლარით განსაზღვრავენ. (**ტაში**). ამრიგად, ჩვენ გვაქვს შემდგომი არსებითი ზრდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო-ეკონომიური დახმარებისა, აგრეთვე ინგლისის თანხმობა საომარი მასალების მიწოდების შემდგომ გაუმჯობესებაზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვაღიაროთ ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს ვაშინგტონში ა. წ. 11 იკნისს ხელმოწერილ „შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შორის იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას", ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის დადებული ამგვარივე შეთანხ-

მების მაგალითისამებრ. ამ შეთანხმებას წინასწარი ხასიათი აქვს; იგი ითვალისწინებს ამ საკითხზე ორი მთავრობის მომავალი შეთანხმების მხოლოდ საფუძვლებს. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ამ შეთანხმების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არამც თუ გამომდინარეობს ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ახლანდელ ომში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის დამყარებული საბრძოლო თანამშრომლობის ფაქტის აღიარებიდან, არამედ ამყარებს აგრეთვე ორივე ქვეყნის მოქმედების შეთანხმებულობას ომისშემდგომ პერიოდში. შეთანხმება ნიშნავს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობას მშვიდობიანობის სიმტკიცის ინტერესებისათვის საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხში. ამიტომ ვაშინგტონის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირისათვის, ისე სხვა ხალხებისთვისაც.

დასასრულ, ვაშინგტონში, ისევე როგორც ლონდონში განხილულ იქნა აგრეთვე ყველა ძირითადი პრობლემა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობისა თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის ომის შემდეგ მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ამაშიც, ისევე როგორც ჩვენი ურთიერთაგაგების სხვა ძირითად საკითხებში, მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ ურთიერთაგაგებას და შეხედულებათა ერთიანობას.

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჩემს, როგორც სსრ კავშირის წარმომადგენლის მიმართ გულითადობა და განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს როგორც ლონდონში, ისე ვაშინგტონში. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიო პირადი ყურადღება და საუბრებში უაღრესად აქტიური მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ რუზველტისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილისა, რომლებსაც გულწრფელ მადლობას ვუძღვნი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყოველივე ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. ახალი და ახალი ფაქტებით დასტურდება ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების სიტყვები:

„რაც შეეხება ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო კავშირურთიერთობას, იგი ამ უკანასკნელ დროს ისე განმტკიცდა და გაიზარდა, როგორც არასოდეს. გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. მათი თვალი საბჭოთა კავშირისაკენ არის მოპყრობილი. გმირული ბრძოლა, რასაც ჩვენი ქვეყნის ხალხები ეწევიან თავიანთი თავისუფლებისა, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ხალხები საბჭოთა კავშირს უყურებენ, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს იხსნას მსოფლიო ჰიტლერული შავი ჭირისაგან. (ტაში). ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებთანაც ჩვენ გვაერთებს მეგობრობა და კავშირი და რომელნიც უფრო და უფრო მეტ სამხედრო დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ". (ტაში).

ხელშეკრულება, ისევე როგორც ლონდონსა და ვაშინგტონში წარმოებული მოლაპარაკების შედეგები მთლიანად, იმას მოწმობს, რომ მეგობრობა და კავშირი საბჭოთა კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მტკიცდება და სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება. ამაში ჩვენ ვხედავთ წითელი არმიის ძალისა და იმ წარმატებათა საერთაშორისო აღიარებას, რომლებიც

მან მოიპოვა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჰიტლერისა და მისი პირსისხლიანი დამჭაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამაში ჩვენ ვხედავთ აგრეთვე ჩვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკის სისწორის დადასტურებას, მთავრობისა, რომელიც განუხრელად ზრუნავს იმისათვის, რომ განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აგრეთვე ყველა სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან, რათა დააჩქაროს ჰიტლერელთა ურდოების განადგურება და ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან მათი განდევნა, რათა გაიმარჯვოს თავიანთი არსებობისა და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში გაერთიანებულ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საქმემ. (**ხანგრძლივი ტაში**).

ინგლისთან დადებული ხელშეკრულება, აგრეთვე ლონდონსა და ვაშინგტონში წარმოებული მოლაპარაკების შედეგები, ანმტკიცებენ ჩვენს რწმენას, წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის რწმენას, რომ ჰიტლერის არმიის მოწინააღმდეგეთა გაერთიანებული ძალები სულ უფრო და უფრო იზრდებიან და ირაზმებიან. ისინი ანმტკიცებენ ჩვენს რწმენას, რომ ახლოვდება გერმანელ დამპყრობთა განადგურება, რომ ახლა ყაჩაღურ გერმანულ იმპერიალიზმზე ჩვენი გამარჯვება მნიშვნელოვნად დაჩქარებულია. (**ტაში**). წითელი არმია, რომელიც მტკიცდება, ურყევი საბჭოთა ზურგი და ჩვენი მოკავშირეების ზრდადი სამხედრო დახმარება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ყველა და ყოველგვარ გეგმას დაამსხვრევს. ჩვენი ძალები მტკიცდება, ჩვენი რწმენა გამარჯვებისადმი ძლიერია ისე, როგორც არასოდეს არა ყოფილა. (**ტაში**).

მთავრობის დავალებით მივმართავ უმაღლეს საბჭოს წინადადებით რატიფიკაცია უყოს წარმოდგენილ ხელშეკრულებას, რომელიც მთლიანად შეესაბამება საბჭოთა ხალხის ინტერესებს. (**ხანგრძლივი ტაში**).

ლენინ-სტალინის დიადი დროშით ჩვენ გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ვეწევით გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ. **ლენინ-სტალინის** დიადი დროშით ჩვენ ამ ბრძოლას მივიყვანთ ძლევამოსილად დამთავრებამდე, ჩვენი სამშობლოსა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საქმის გამარჯვებამდე (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები — „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“**).

გ. სტურუა

სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე

ამხანაგო დეპუტატებო! ევროპის ხალხთა სისხლით და საფრანგეთზე, პოლონეთზე, ჩეხოსლოვაკიაზე, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებზე იოლი გამარჯვებით დამთვრალი ჰიტლერის გერმანია 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს საბჭოთა ქვეყანას.

ოთხი დღის შემდეგ სწორედ ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ეს უმაგალითო სისხლისმღვრელი ომი დაიწყო.

მთელი მსოფლიო აღტაცებულია ჩვენი წითელი არმიის უმაგალითო მამაცობით, ვაჟკაცობით, გულადობითა და გმირობით, საბჭოთა ხალხის გამარჯვების ნებისყოფით, მისი ერთობით, ორგანიზებულობითა და მედგრობით, რასაც იგი იჩენს კაცობრიობის უბოროტეს მტერთან—გერმანულ ფაშიზმთან ბრძოლაში.

კაცობრიობის დიდი გენიოსების—ლენინისა და სტალინის მიერ ორგანიზებული და აღზრდილი საბჭოთა ხალხი მამაცურად და თავდადებით იცავს თავისი სახელოვანი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

საბჭოთა ხალხი ყოველგვარი უსამართლო, დაპყრობითი, მძარცველური ომის წინააღმდეგია; მას უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი მკერდით იცავს და არასოდეს არავის არ დაამონებინებს მას.

მაგალითად მოვიყვან საქართველოს.

წარსულში საქართველო მეფის უბრალო კოლონია იყო, რომელსაც სრულიად ან თითქმის სრულიად არ გააჩნდა მრეწველობა და რომლის სოფლის მეურნეობაშიც გაბატონებული იყო მიწის დამუშავების ადამისდროინდელი წესები.

საბჭოთა წყობილების დროს საქართველომ უდიდეს წარმატებას მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

მაგალითად, სტალინური ხუთწლედების პერიოდში წარმოების ძირითადი საშუალებანი 22-ჯერ გადიდდა.

საქართველოს მრეწველობის განვითარების საფუძველზე, დაჭუცმაცებული წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა მისი წარმოების ადამისდროინდელი წესითურთ გადაყვანილია მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის რელსებზე. აღჭურვილია თანამედროვე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. საბჭოთა საქართველო ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების—ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის, ხილის, მარცვლეული კულტურებისა და სხვათა ქვეყნად იქცა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ ყველა ერი და რასა თანასწორუფლებიანია, თანმიმდევრობით და ბოლომ-

დე გადასწყვიტა ნაციონალური საკითხი, რაც ნათლად არის ასახული სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში.

დიად საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერი სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობს „სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში“ (სტალინი).

სსრ კავშირში ნაციონალური საკითხის სწორედ ლენინურ-სტალინურმა გადაწყვეტამ უზრუნველჰყო ის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები მტკიცედ და ერთსულოვნად არიან დარაზმული საბჭოთა ხალხების ერთიან დიად ოჯახად.

ხალხთა ამ დიად სტალინური მეგობრობის ძალა განსაკუთრებით ბრწყინვალედ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დღეებში.

ქართველი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მუდამ ვაჟკაცურად და მამაცურად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მას არაერთხელ დაუმარცხებია და განუდევნია უცხო დამპყრობთა ურდოები.

ქართველ ხალხს არაერთხელ განუცდია უცხოელ დამმონებლებზე თავის გამარჯვებათა ბედნიერი დღეების სიხარული. იგი იცავდა თავის მშობლიურ მთა-ბარს, მჩქეფარე მდინარეებს, სოფლებსა და ქალაქებს, თავისი ქვეყნის გულს —საქართველოს დედაქალაქს--ძველთაძველ ქალაქ თბილისს.

მტრების განუწყვეტელი შემოსევის მიუხედავად, თავისუფლებისმოყვარე ქართველმა ხალხმა შესძლო შეენარჩუნებინა თავისი თავი, თავისი ენა და კულტურა, იგი მამაცურად იცავდა თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

მაგრამ ნამდვილი გარანტირებული დამოუკიდებლობა და თავისუფლება საქართველომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო. ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა დანარჩენ ხალხს, საქართველოს თავის წარსულ ისტორიაში არასოდეს არა ჰქონია და არ შეეძლო ჰქონოდა ისეთი ბრწყინვალე და ბედნიერი დღეები, როგორიც მას აქვს საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ამიტომ არის, რომ ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, თავის უფროს ძმასთან—დიდ რუს ხალხთან ერთად, სსრ კავშირის ხალხთა და წითელი არმიის გენიალური ბელადის—ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ასეთი უდიდესი ერთსულოვნობით, ასეთი მძლავრი დარაზმულობითა და სიმტკიცით იცავს სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართ, რომლებმაც ბედნიერი, შეძლებული ცხოვრება და თავისუფლება მიანიჭეს საბჭოთა ხალხს.

ქართველი ხალხის ასიათასობით შვილი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები, გმირულად იბრძვის გამხეცებული, ყაჩაღური ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ფართოდ არიან ცნობილნი ქართველი ხალხის ერთგული შვილები—გმირები, რომლებმაც უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის მტრებთან ბრძოლაში: ესენი არიან ამხანაგები—წურწუმია, ქავთარაძე, ჭაბუკიანი, მაჩაიძე, დორეული, ინაური, ლებანიძე, შერაზადაშვილი, ჯახუა, ელიოსიძე, კიკნაძე, ჩანჩიბაძე, მელიქაძე, მუჩაიძე, ლესელიძე, ჩინჩალაძე, ფარჯიკია, ნაკაიძე, ჩხიკვიშვილი, კოკაური, პირტახია, ბაჩაკაშვილი, ობოლაძე, ავთანდილაშვილი, ჩუბინიძე და სხვები.

მათი ღვაწლი საუკუნოდ დარჩება. ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს მათ დამსახურებას საბჭოთა სამშობლოს წინაშე, კაცობრიობის წინაშე. სწორედ

ისევე, როგორც არ დაივიწყებს საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ასობით და ათასობით გმირი შვილის სახელებს.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს 1918 წელს, საქართველოში ჰიტლერელების წინამორბედთა—გერმანელ ბანდიტ ოკუპანტთა პარპაშის საძულველ პერიოდს, რომლებმაც ქართველი მენშევიკების დახმარებით ფაქტიურად მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია და პირდაპირ გაძარცვეს იგი, საშინლად აიკლეს მშვიდობიანი მოსახლეობა. „...საქართველოს დამოუკიდებლობა, —ამბობდა ლენინი 1918 წლის 29 ივლისს,—წმინდა წყლის მოტყუებად იქცა. ნამდვილად ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან..." (ლენინი, ტომი 23, გვ, 155, რუს. გამ.).

ქართველი ხალხი პირველ რიგებში იბრძვის და მომავალშიც იბრძოლებს მთელი კაცობრიობის უბოროტესი მტრების—ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ მანამდე, სანამ სრულიად და საბოლოოდ არ იქნება იგი განადგურებული და სანამ არ განთავისუფლდებიან არა მარტო სსრ კავშირის ის ტერიტორიები, რომლებიც მათ დროებით დაიპყრეს, არამედ ევროპის ის ხალხებიც, რომლებიც გერმანული ფაშიზმის საშინელ უღელქვეშ გმინავენ.

ამ უდიდეს მსოფლიო ისტორიულ საქმეში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს მსოფლიოს სამი დიდი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა.

ამ საბრძოლო თანამეგობრობის მნიშვნელობა არა მარტო ის არის, რომ უეჭველად მიგვიყვანს 1942 წელს მთელი მოწინავე კაცობრიობის უბოროტესი მტრის—ჰიტლერის გერმანიის სრულ განადგურებამდე, არამედ ისიც, რომ ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ შეიქმნება სამართლიანი მშვიდობიანობა, რომელიც შეუძლებელს გახდის განმეორდეს აგრესია ვისიმე მხრივ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებისათვის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხებისთვისაც.

ასეთია სავსებით რეალური პერსპექტივა, რომელიც უეჭველად გამომდინარეობს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებიდან და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებიდან.

სწორედ ამით აიხსნება ის უდიდესი კმაყოფილება, რომლითაც საბჭოთა ხალხი შეხვდა იმ დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომლებიც ახალ ეტაპს მოასწავებენ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

ჩვენი პარტიის და სსრ კავშირის ხალხთა ბელადის—ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებამ უაღრესად ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის მუშებში, კოლმეურნეთა მასებში და ინტელიგენციაში, რომლებმაც საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს.

საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ახლა ერთი მისწრაფებით, ერთი ნებისყოფით ცხოვრობენ—მისცენ ფრონტს ყველაფერი, რაც ესაჭიროება.

საქართველოს მრეწველობა ომამდე საჭურველსა და საომარ მასალებს არ ამზადებდა. ამჟამად იგი ამზადებს მათ და აწვდის ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

არაჩვეულებრივია ის წარმატებანი, რომლებსაც საქართველოს მშრომელე-

ბმა მიაღწიეს სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე მუშას, რომლებიც 1.000 და მეტი პროცენტით ასრულებენ საწარმოო გეგმებს.

ზეინკალი ამხ. მიხეილ გერასიმეს-ძე ჯოხაძე ომამდე საწარმოო გეგმას 200-300 პროცენტით ასრულებდა, ამჟამად იგი გეგმას 500-700 პროცენტით ასრულებს, ცალკეულ დღეებში კი—1.000 და მეტი პროცენტითაც.

ამხ. სერგი სიმონის-ძე ბაბაევი **სტალინის** სახელობის ორთლქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მუშაობს, სისტემატურად ასრულებს გეგმას 250-300 პროცენტით, ცალკეულ დღეებში კი—1.000 პროცენტით.

ზეინკალი ამხ. მიხეილ ალექსანდრეს-ძე შესტოპალოვი ომამდე გეგმას 200-მდე პროცენტით ასრულებდა, ამჟამად საშუალოდ 500-600 პროცენტით ასრულებს, ხოლო ამ წლის თებერვალში გეგმა 1.000 პროცენტით შეასრულა.

ჩვენ არა ასობით, არამედ ათასობით გვყვანან მოწინავე საწარმოო მუშაკები, რომლებიც სისტემატურად ერთიორად და მეტი გადაჭარბებითაც ასრულებენ თავიანთ საწარმოო გეგმას.

მრეწველობას არც ჩვენი სოფლის მეურნეობა ჩამორჩება.

ხორცი, რძის პროდუქტები, კონსერვები, ბოსტნეული, ხილი, შაქარი, ჩაი, ციტრუსები, თამბაქო და სხვა—აი არასრული სია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა, რომლითაც საბჭოთა საქართველო ამარაგებს ჩვენს ქვეყანასა და არმიას.

საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეებმა 4-5 ათასი ჰექტარი მარცვლეული და სხვა კულტურები დათესეს გეგმის გადამეტებით გერმანელ ფაშისტ არამზადებისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეთა ძმური დახმარების ფონდისათვის.

საქართველოს მშრომელებმა საახალწლოდ, წითელი არმიის დღისათვის და საპირველმაისოდ ფრონტზე გაუგზავნეს წითელი არმიის მებრძოლთ, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს საჩუქრების ეშელონები.

ჩვენმა ქართველმა ქალებმა, ახალგაზრდა კოლმეურნე და მუშა ქალებმა შინ მოქსოვეს და დაამზადეს ასიათასობით წყვილი მარტო ხელთათმანი, ხელჯაგი, ბეწვის საბუხარი, მატყლის წინდა და თბილი თეთრეული ჩვენი წითელი არმიისათვის.

სამამულო ომის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში შეიტანეს ნაღდ ფულად 57.065.690 მანეთი, სესხის ობლიგაციებით—52.105.000 მანეთი და ბევრი სხვა ძვირფასეული—პლატინი, ოქრო, ვერცხლი და ა. შ.

ამაში თავი იჩინა ფრონტისა და ზურგის ერთიანობამ და საქართველოს მშრომელთა მხურვალე მისწრაფებამ—დაჩქარებულ იქნას საბოლოო განადგურება ჰიტლერელ მძარცველთა არმიისა, რომელმაც უკვე გამოსცადა თავის თავზე წითელი არმიის მძლავრი დარტყმები და რომელიც ის აღარ არის, რაც ომის დასაწყისში იყო.

წითელი არმია, პირიქით, ბევრად უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ომის პირველ დღეებში იყო.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობა, უეჭველია, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ჰიტლერის გერმანიის საბოლოო განადგურების დაჩქარების საქმეში.

ჩვენ ვიცით, რომ მტერს ცოტა ძალები არ მოეპოვება, რომ ჯერ კიდევ

მოგველის სერიოზული ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში მტერი განადგურებული იქნება.

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ღრმა რწმენას გამოვთქვამ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად მოიწონებს და დაამტკიცებს დიდ ბრიტანეთთან დადებულ ხელშეკრულებას.

მხარს ვუჭერ გამოსული ამხანაგების წინადადებას იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

გაუმარჯოს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს!** (**მჭუხარე ტაში, ყველანი დგებიან**). (საკდესი).

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1942 წლის 18 ივნისის სხდომის შესახებ

გუშინ, 18 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის — ამხანაგ **ი. ბ. სტალინის**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და სსრ კავშირის მთავრობის წევრების ლოჟებში გამოჩენას დამსწრენი მიესალმებიან მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით, მისასალმებელი შეძახილებით სსრ კავშირის ხალხთა დიადი ძმური თანამეგობრობის, გმირი წითელი არმიის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მეთაურის, თავდაცვის სახალხო კომისრის — ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

თავმჯდომარის მაგიდასთან არიან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ა. ანდრეევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი და მათი მოადგილენი — ამხ. ტ. დ. ლისენკო, უ. იუსუფოვი, ჩ. ასლანოვა, მ. ვ. კულაგინი.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

დღის წესრიგშია რატიფიკაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულებისა ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხანაგი **ვ. მ. მოლოტოვი**, რომელსაც ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის — ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციაში გადადიოდა და რომელიც გამოხატავდა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის მოწონებას და რწმენას, რომ დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების საბრძოლო კავშირი გაიმარჯვებს ჰიტლერის გერმანიაზე.

ამხანაგ მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ დაიწყო კამათი. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **პ. კ. პონომარენკო** (ბელორუსიის სსრ) **ა. ს. შჩერბაკოვი** (მოსკოვი), **ლ. რ. კორნიეცი** (უკრაინის სსრ), **ა. ა. ჟდანოვი** (ლენინგრადი), **ი. ი. პალეცკისი** (ლიტვიის სსრ), **ნ. ს. პატოლიჩევი** (ჩელიაბინსკის ოლქი), **გ. თ. სტურუა** (საქართველოს სსრ), **ვ. ტ. ლაცისი** (ლატვიის სსრ), **უ. იუსუფოვი** (უზბეკეთის სსრ). **ი. ი. ვარესი** (ესტონეთის სსრ).

ვინაიდან რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა, ამხ. მოლოტოვმა საბოლოო სიტყვაზე უარი სთქვა.

დეპუტატ **პ. კ. პონომარენკოს** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი

საბჭო, პალატობრივ ცალ-ცალკე ხმის მიცემით იღებს შემდეგ დადგენილებას:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, მოისმინა რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვის** მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობაზე და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ და მთავრობის წინადადება ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე, **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

2. რატიფიცირებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთ დახმარებაზე, დადებული ქალ. ლონდონში 1942 წლის 26 მაისს".

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა.

გამანადგურებელი ღახვარი ჩავცეთ მტერს!

ერთი წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, პირსისხლიანი ჰიტლერის არმიამ ვერაგულად გადმოლახა საბჭოთა კავშირის საზღვრები და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა ჩვენი სამშობლოს ხალხებს. გერმანიის ავაზაკ იმპერიალისტებს უნდოდათ ელვისებური დარტყმით ბოლო მოეღოთ სსრ კავშირისათვის, ნაწილობრივ გაენადგურებინათ მისი ხალხი და ნაწილობრივ გერმანელ იმპერიალისტებისა და ბარონების მონებად გაეხადნათ. გერმანელი ფაშისტები თავიანთი მუხანათური გეგმის განხორციელებას ვარაუდობდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ საყოველთაო კოალიციის შეკოწიწებით და ამ კოალიციაში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმით. ისინი გადაჭარბებით აფასებდნენ თავიანთ სამხედრო მანქანას, ვარაუდობდნენ, რომ პირველსავე დარტყმით გასტეხდნენ წითელ არმიას, ხოლო სსრ კავშირის ხალხებში შეიტანდნენ არევდარევას, წაჰკიდებდნენ ერთმანეთს და ამით ძირს გამოუთხრიდნენ სსრ კავშირს. მაგრამ ყველა ეს ვარაუდები, ჰიტლერის სამხედრო ხროვის ყველა გეგმები ჩვენი სამშობლოს ხალხთა მგზნებარე პატრიოტიზმმა, წითელი არმიის გმირულმა ბრძოლებმა სამუდამოდ დაასამარეს.

მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისაგან სსრ კავშირის იზოლაციის ნაცვლად ჰიტლერელებმა მიიღეს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთიანი ფრონტი, რაც გამანადგურებლად თავს დაატყდა გერმანიის ავაზაკ იმპერიალისტთა მძარცველურ არმიას. საბჭოთა კავშირთან ომის ვითარებაში შეიქმნა მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მძლავრი ანტიჰიტლერული ფრონტი. „ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნის ხალხები საბჭოთა კავშირს უყურებენ, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს იხსნას მსოფლიო ჰიტლერული შავი ჰირისაგან. ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებთანაც ჩვენ გვაერთებს მეგობრობა და კავშირი და რომელნიც უფრო და უფრო მეტ სამხედრო დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ“ (**ი. სტალინი**).

სსრ კავშირის ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდების, მათი გათიშვის ნაცვლად გერმანელმა ფაშისტებმა მიიღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცება. ფაშიზმთან ომმა გაზარდა საბჭოთა პატრიოტიზმი, გაზარდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურთიერთ სიყვარული; ომმა კიდევ უფრო მჭიდროდ დააზმა სსრ კავშირის ხალხები, ჩვენი მუშები, გლეხები და ინტელიგენცია ჩვენი მთავრობის, ბოლშევიკური პარტიისა.

და დიდი სტალინის გარშემო. საბრძოლო შეძახილებით „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ ჩვენი მამაცი მებრძოლები გადადიან შეტევაზე, მიაქვთ იერიში და უზომოდ ხოცავენ დამპყრობლებს.

„დეე იცოდნენ მტრებმა, რომ ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირი მიუვალია, რომ უძლეველია და დღითიდღე ძლიერდება და ვითარდება სტალინური ზრუნვით გარემოსილი ჩვენი გმირული მუშურ-გლეხური წითელი არმია, უძლეველია ჩვენი ხალხი, რომელიც თავის არმიასთან ერთად შეადგენს ერთიან, განუყრელ და მრისხანე ძალას, რომელიც მზად არის გაანადგუროს და მოსპოს ყოველი მტერი, რომელიც კი გაბედავს ხელჰყოს საბჭოთა ხალხის ბედნიერება და თავისუფლება“ (**ლ. ბერია**).

ჰიტლერელი ბანდიტები წააწყდნენ ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობას, საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის ურღვევ კავშირს, მათ ერთიან მიზანსა და მისწრაფებას; ამას კი მტერი როდი ვარაუდობდა. იგი აქაც სასტიკად მოსტყუვდა. წითელი არმია, რომელიც აღზარდეს ხალხის ბელადებმა დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა, გამოხატავს ხალხის ინტერესებს, ხალხის ნება-სურვილს; იგი სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს აწარმოებს. იგი იცავს თავის სამშობლოს, ხალხის ბედნიერებასა და თავისუფლებას. წითელმა არმიამ გერმანელ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში დიდებით შეიმოსა თავი. მან მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მხურვალე სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. წითელმა არმიამ სამშობლოსათვის ბრძოლის ისტორიაში დევ-გმირობის, მამაცობისა და გაუგონარი ვაჟკაცობის მრავალი მაგალითი ჩასწერა.

„წითელი არმიის ძალა,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეწევა არა დაპყრობითს, არა იმპერიალისტურ ომს, არამედ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს. წითელი არმიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაათავისუფლოს გერმანელ დამპყრობლებისაგან ჩვენი საბჭოთა ტერიტორია, გაათავისუფლოს გერმანელი დამპყრობლების უღლისაგან ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მოქალაქენი, რომლებიც ომამდე თავისუფალნი იყვნენ და ადამიანურად ცხოვრობდნენ, ხოლო ახლა დაჩაგრულნი არიან და იტანჯებიან ძარცვისა, აკლებისა და შიმშილისაგან, დასასრულ, გაათავისუფლოს ჩვენი ქალები იმ სირცხვილისა და შეურაცხყოფისაგან, რასაც მათ გერმანელი ფაშისტი მტარვალები აყენებენ... წითელი არმიის ყოველ მებრძოლს შეუძლია სიამაყით სთქვას, რომ იგი ეწევა სამართლიან, გამათავისუფლებელ ომს, ომს თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღაფრთოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის“.

სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლის ერთი წლის შედეგები ნათლად ლაპარაკობს იმ უანგარო გმირობაზე და თავდადებაზე, რო-

მელიც წითელმა არმიამ გამოიჩინა სამამულო ომის ფრონტზე. წითელმა არმიამ ჩაშალა გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო გეგმები, საკმაოდ შებერტყა და შეანჯღრია გერმანიის სამხედრო მანქანა, მოსპო მისი კადრის ჯარისკაცები, გაანადგურა მისი ტექნიკა; ყველაფერმა ამან კი გამოიწვია გერმანიის არმიისა და მისი ზურგის გახრწნა. ომის ერთი წლის განმავლობაში წითელმა არმიამ, რომელიც გმირულად იცავდა საბჭოთა მიწა-წყალს, შესძლო დაეხოცა გერმანიის რჩეული ჯარების ძირითადი მასა. კადრის ოფიცერთა შემადგენლობა ნაწილობრივ წითელმა არმიამ გაჟლიტა, ნაწილობრივ კი იგი ოკუპირებული რაიონების სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვისა და მის მიმართ წარმოებულ ძალადობაში გაიხრწნა.

გერმანიის არმიამ ამ ერთი წლის განმავლობაში იმდენი ზარალი და მარცხი განიცადა, რომ მას არ შეუძლია აწარმოოს შეტევითი ოპერაციები შარშანდელი მასშტაბით. ამას ყველაზე უფრო დამაჯერებლად მოწმობს ციფრები გერმანელთა არმიის დანაკლისის შესახებ. ომის ერთი წლის განმავლობაში გერმანელთა დანაკლისის მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წამოყვანილთა სახით შეადგენს ათ მილიონამდე კაცს. აქედან სამ მილიონ ნახევარს მოკლულნი შეადგენენ. ადამიანთა ამ უდიდეს დანაკლისს, რომელმაც გამანადგურებელი გავლენა მოახდინა გერმანიის არმიაზე და დიდად ააფორიაქა გერმანიის მოსახლეობა, თან ერთვის ჰიტლერელთა ტექნიკის უდიდესი ნაწილის განადგურება. საბჭოთა ტექნიკამ მამაცი წითელი არმიელების ხელში ომის ერთი წლის განმავლობაში მოსპო გერმანელთა 30.500-ზე მეტი ქვემეხი, 24.000-ზე მეტი ტანკი, 20.000-ზე მეტი თვითმფრინავი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო, აჯამებს რა სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკურ და სამხედრო შედეგებს, სწერს:

„აუნაზღაურებელმა ზარალმა, რომელიც წითელმა არმიამ მიაყენა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, გამარჯვების რწმენის უქონლობა დაბადა გერმანელ ჯარისკაცში და განსაკუთრებით გერმანელ ხალხში, შეარყია რწმენა ჰიტლერიზმისადმი და ფაშისტური სარდლობისადმი. გერმანელ ჯარისკაცებსა და მოსახლეობას ახსოვთ, რომ ჰიტლერი შეჰპირდა მათ საბოლოო გამარჯვებასა და ომის დამთავრებას 1941 წელს. 1941 წელს ომი არ დამთავრდა, გამარჯვება მოპოვებული არ არის. მაშასადამე, ჰიტლერმა მოგვატყუაო—აი რას უფიქრდება სულ უფრო და უფრო ხშირად გერმანელი.

გერმანელ ჯარისკაცებსა და მოსახლეობას ახსოვს, რომ ჰიტლერმა და მისმა დამჭაშებმა 1941 წლის ოქტომბერს განაცხადეს: წითელი არმია განადგურებულია, იგი უკვე ვეღარასოდეს ვერ აღადგენს თავის ძალებს და აღმოსავლეთის ლაშქრობის საკითხი გადაწყვეტილიაო. აღმოჩნდა, რომ წითელ არმიას მთელი თავისი ძალები შეუნარჩუნებია და აღმოსავლეთის ლაშქრობა არ დამთავრებულა. მაშასადამე, ჰიტლერმა მოგვატყუაო—აი რას უფიქრდება სულ უფრო და უფრო ხშირად გერმანელი. ჰიტლერი უკანასკნელი მკვეხარას და მატყუარას სახით წარსდგა მთელი მსოფლიოს და მასთან ერთად გერმანელი ხალხის წინაშე. გერმანელებს ახლა არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ ფაშისტური პროპაგანდა თავიდან ბოლომდე მოტყუებაა, რომ ჰიტლერის არც ერთ სიტყვას, არც ერთ დაპირებას არ დაეჯერება.

ჰიტლერული ხროვის ავანტურისტული პოლიტიკა გერმანელებს მილიონობით მოკლულის ფასად დაუჯდათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გერმანელ ხალხში სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს გერმანიის დამარცხების გარდუვალობის შეგნება. გერმანიის არმიის ზურგი თანდათანობით იშლება. ის დღე, როდესაც იმპერიალისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს იმ მიზნით, რომ დაემონებინა და გაეყლიტა ჩვენი ხალხები, დაეპყრო და გაეძარცვა ჩვენი სამშობლო, ჰიტლერული გერმანიის დასასრულის დასაწყის დღედ გადაიქცა".

ჩვენი დიდი სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები ნათლად ლაპარაკობენ ფაშისტური გერმანიის მოახლოებულ კატასტროფაზე. ეს შედეგები ლაპარაკობენ ომის პერსპექტივებზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი ხდება საბჭოთა კავშირისათვის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და არა ხელსაყრელი ხდება გერმანიისათვის, მის „მოკავშირე" ფინიებისა და ვასალებისათვის.

სამამულო ომის ერთმა წელმა მასობრივად წარმოშვა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ათასები. სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო შვილებმა გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში თავიანთი გმირობითა და მამაცობით მთელი დემოკრატიული მსოფლიოს საყოველთაო სიყვარული და მოწონება დაიმსახურეს.

დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად ვაჟკაცურად იბრძვიან უკრაინელი, ბელორუსელი, ქართველი, სომეხი და სსრ კავშირის ყველა ხალხთა შვილები. მათ გააცოცხლეს თავიანთ სახელოვან წინაპართა გმირული სული და საბრძოლო ნებისყოფა. გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ყოველდღიურად იბადებიან გმირები, გმირული პოლკები და დივიზიები. ლენინის ორდენით დაჯილდოვებულმა მეასე მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც გენერალი ივანე რუსიანოვი მეთაუროობს, ბრძოლებში მინსკიდან ბერეზინამდე თავისი არტილერიის ცეცხლით, გრანატებითა და ცეცხლწამკიდი ბოთლებით, რომლებიც ამ სამამულო ომში პირველად აქ გამოიყენეს, მოსპო გერმანელების სამასამდე ტანკი და ჯავშნიანი ავტომობილი. ახლა მეასე დივიზია მისი საბრძოლო დამსახურებისათვის გვარდიის პირველ მსროლელ დივიზიადაა გარდაქმნილი. გენერალ როკოსოვსკის N მოტომექანიზებულმა შენაერთმა. მიუხედავად იმისა, რომ იგი კიევის მიმართულებით შემოჭრილი გერმანელების დაჯგუფების ზურგში აღმოჩნდა, მოახერხა თავისი ძალების გაშლა, მიადგა მტრის კომუნიკაციას, მოამწყვდია და მარშის დროს მოსპო გერმანელების მოტორიზებული დივიზია და ამის შემდეგ მთლიანად გაანადგურა ფაშისტების ორი სატანკო დივიზია.

გენერალ-მაიორ კონსტანტინე ლესელიძის არტილერისტებმა თავიანთი გმირული ბრძოლებით სამამულო ომის ფრონტებზე დიდი ყურადღება მოიპოვეს და ხალხის საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეს. არტილერისტთა ცეცხლმა ტულასთან უკუაქცია ფაშისტური დივიზიები, გზა გადაუღობა და გაანადგურა ისინი. ლესელიძის არტილერისტები შიშის ზარს სცემენ ჰიტლერელთა-

ბრბოებს. ვლადიმერ ხარაზიამ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელი მოიპოვა. მან თავისი ქვემეხის ცეცხლით მოსპო მტრის მრავალი ტანკი და გაჟლიტა ასობით ფაშისტი. „ჩემთვის ნუ შეწუხდებით,—სწერს ხარაზია მშობლებს,—მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას,—ვურტყამდი, ვურტყამ და მომავალშიაც დავარტყამ ჰიტლერელ ავაზაკებს, სანამ ჩვენი სამშობლო გაწმენდილი არ იქნება ტილიან ფაშისტებისაგან. მე გთხოვთ: კარგად იმუშაოთ კოლმეურნეობაში, დაეხმარეთ წითელ არმიას მტრის განადგურებაში“.

საბჭოთა კავშირის გმირის უმცროს პოლიტხელის მიხეილ გახოკიძის საფრონტო ცხოვრება შეიცავს ვაჟკაცობისა და გულადობის უამრავ მაგალითს. ფრონტის ერთ უბანზე ფაშისტებმა თავისი ჯარისკაცების გვამები გადმოთელეს და წინა კიდის სანგრებში შემოიჭრნენ. გეგონებოდათ, რომ მტრის მხეცური კვეთება საბოლოოდ ჩაახშობდა იმ საბჭოთა მეომრების მცირე ჯგუფის წინააღმდეგობას, რომლებიც ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში იგერიებდნენ აქ მტრის გააფთრებულ იერიშებს.

— დაჰკა ფაშისტ ქვეწარმავლებს!—დაიძახა უმცროსმა პოლიტხელმა მიხეილ გახოკიძემ, შიგ გადაეშვა გერმანელ ჯარისკაცთა წყებებში და თან გაიყოლია დანარჩენი მებრძოლები.

— სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

გერმანელებს თოფის კონდახებით სპობდნენ, ხიშტებით გმირავდნენ. ამ ხანმოკლე, მაგრამ დაძაბულ ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენი მებრძოლების მცირე ჯგუფს არც ერთი ფაშისტი აღარ გაუშვია ცოცხალი.

მტრის ასზე მეტი გვამი დარჩა ბრძოლის ველზე. სანგრები გაწმენდილ იქნა გერმანელებისაგან.

გმირობა, ვაჟკაცობა, სამშობლოსათვის თავდადება—ეს საბჭოთა ადამიანების ყოფაქცევის ნორმაა. ჰატლერული ტირანიის შესამუსრავად ბრძოლებში ლენინის ძლევამოსილი დროშა უძღვის ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, მთელს საბჭოთა ხალხს. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება, მოიპოვა მშვიდობიანი და საამური ცხოვრება, ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით იგი იბრძვის სამამულო ომის ფრონტებზე და გაიმარჯვებს, ვინაიდან იგი ეწევა სამართლიან ომს თავისუფლებისათვის, სამართლიან ომს ხალხთა ბედნიერებისათვის.

ჩვენ გავიმარჯვებთ!—ამ რწმენით ებმებიან წითელარმიელები მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ულმობლად სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. საბჭოთა მფრინავები გამარჯვების დიადი იმედით შთაგონებულნი ანადგურებენ ფაშისტთა სვავებს, არტილერისტები სპობენ მტრის კომუნიკაციებსა და საცეცხლე წერტებს. ფრონტი და ზურგი დაუცხრომლად ემსახურება

მტერზე გამარჯვების ამოცანებს. ზურგი ყოველმხრივ ეხმარება ფრონტს. იგი ურყევია, როგორც სალი კლდე. სტახანოველთა მილიონები დღეღამე მუშაობენ ფრონტისათვის და სჭედენ მტერზე გამარჯვებას.

ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენი მიზანი კეთილშობილურია. ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, ჩვენი გმირი ხალხი იბრძვის სიმართლისათვის, სამშობლოსათვის, დამოუკიდებლობისათვის. ჩვენმა მებრძოლებმა, მთელმა ჩვენმა ხალხმა ისწავლა და შეითვისა მტრისადმი სიძულვილი, გაღვივდა დაუნდობლობის გრძნობა. გერმანელ ფაშისტთა ველურობამ საბჭოთა ხალხში და მის შეიარაღებულ ძალებში შთანერგა ნამდვილი სიძულვილი მტრისადმი და ეს სიძულვილი ჩვენი გამარჯვების საწინდარია. „გაჰქრა მტრის მიმართ გულმოწყალეობა და დაუდევრობა,—ამბობს დიდი სტალინი,—რასაც ადგილი ჰქონდა მებრძოლთა შორის სამამულო ომის პირველ თვეებში. მხეცობამ ძარცვამ და ძალადობამ, რასაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები მშვიდობიან მოსახლეობასა და საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადიან, განკურნეს ჩვენი მებრძოლნი ამ სენისაგან. მებრძოლები უფრო სასტიკი და ულმობელი გახდნენ, მათ ისწავლეს ნამდვილი სიძულვილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისადმი, მათ შეიგნეს, რომ მტერზე გამარჯვება ისე არ შეიძლება, თუ არ შთაინერგე მისადმი სიძულვილი მთელი არსებით".

ერთერთ მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს აღმოაჩნდა წერილი, რომელშიც იგი თავის მშობლებს სწერდა: ჩვენ გერმანელი ჯარისკაცები მთელ მსოფლიოს ვძულვართ, ჰეშმარიტად, მსოფლიოს მშვიდობიანმა მოსახლეობამ ძლიერ შეიძულა გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც ჰიტლერმა მოსახლეობის რბევა-აწიოკებისათვის შეაიარაღა. ფაშისტური მხედრობა, როგორც ყაჩაღთა ბრბო, სძულს და ეზიზღება მთელ დემოკრატიულ მსოფლიოს; ამიტომ გასაგებია ის უდიდესი აღფრთოვანება და აღტაცება, რაც სსრ კავშირის და ინგლისის ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებამ და სსრ კავშირისა და აშშ შეთანხმებამ გამოიწვია. სსრ კავშირ-ინგლის-ამერიკის ამ საბრძოლო თანამეგობრობამ უდიდესი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია მთელი მსოფლიოს ხალხებში.

როგორც სსრ კავშირში, ისე ინგლისსა და აშშ შეიკრიბა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებმაც დიდის ენტუზიაზმით განიხილეს ეს ისტორიული ხელშეკრულება და საყოველთაო მოწონების ტალღა მძლავრად დაეძგერა ფაშისტურ გერმანიას და შეარყია იგი. ინგლისთან ხელშეკრულების დადება აღინიშნა შრომის მაღალი ნაყოფიერებით, სსრ კავშირის საწარმოებმა კიდევ უფრო გააძლიერეს საბრძოლო იარაღებისა და კვების პროდუქტების დამზადება, კოლმეურნეობებში კიდევ უფრო გაჩაღდა ბრძოლა უხვი მოსავლისათვის. როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ისე საქართველოშიც ხალხმრავალ მიტინგებზე ერთხმად აღინიშნა ხელშეკრულების დიდი ისტორიული მნიშვნელობა და მეორე ფრონტის გახსნა, რაც გამანადგურებლად დაატყდება თავს გერმანელ დამპყრობლებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიტინგზე აკადემიკოსმა ჯანაშიამ განაცხადა: „ინგლისთან ხელშეკრულების დადება და უმაღლესი საბჭოს მიერ მისი ერთსულოვანი დამტკიცება საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებაა. ჩვენ, მეცნიერ-მუშაკები, აღფრთოვანებით მივესალმებით სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დაჩქარდეს ჰიტლერის გერმანიის საბოლოო განადგურება“.

— ჰიტლერული ხროვის აღსასრული მოახლოვებულია,—განაცხადა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის ოსტატმა ამხ. ფოჩხუამ,—ავაზაკი ჰიტლერი და მისი თანამონაწილენი განადგურებული იქნებიან. მეორე ფრონტი იქნება მომაკვდინებელი ლახვარი ფაშისტურ გერმანიისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომამ ინგლისთან ხელშეკრულება მოიწონა და იგი უკვე გახდა გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი. ამ ხელშეკრულებას ასევე აღტაცებით მიესალმა ყველა ინგლისელი და ამერიკელი. მთელს დემოკრატიულ მსოფლიოში ჰპოვა მან გულთბილი მოწონება. „ინგლისთან დადებული ხელშეკრულება,—განაცხადა ანმხანაგმა მოლოტოვმა,—აგრეთვე ლონდონსა და ვაშინგტონში წარმოებული მოლაპარაკების შედეგები ანმტკიცებენ ჩვენს რწმენას, წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის რწმენას, რომ ჰიტლერის არმიის მოწინააღმდეგეთა გაერთიანებული ძალები სულ უფრო და უფრო იზრდებიან და იზრდებიან. ისინი ანმტკიცებენ ჩვენს რწმენას, რომ ახლოვდება გერმანელ დამპყრობთა განადგურება, რომ ახლა ყაჩაღურ გერმანულ იმპერიალიზმზე ჩვენი გამარჯვება მნიშვნელოვნად დაჩქარებულია. წითელი არმია, რომელიც მტკიცდება, ურყევი საბჭოთა ზურგი და ჩვენი მოკავშირეების ზრდადი სამხედრო დახმარება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ყველა და ყოველგვარ გეგმას ამსხვრევს. ჩვენი ძალები მტკიცდება, ჩვენი რწმენა გამარჯვებისადმი ძლიერია ისე, როგორც არასოდეს არ ყოფილა“.

შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ჰიტლერის გერმანია ორ ფრონტზე ომის ფოლადის მარწუხებში მოექცევა, რომელიც ასე თავზარს უბნევს „მესამე იმპერიის“ მესვეურებს. ორ ფრონტზე ომი მრავალი ათეული წლის განმავლობაში აშინებდა იმპერიალისტური გერმანიის ყველა ოდნავ მაინც გონიერ პოლიტიკოსს. მეორე ფრონტის შიშით გონებადაკარგული ჰიტლერული სარდლობა თავისი არმიის უკანასკნელ ძალებს სჭიმავს, და წინ მოიწევს.

„თითოეულმა საბჭოთა პატრიოტმა, სწერს „პრავდა“—უნდა შეიგნოს, რომ ჯერ კიდევ მთელი საბჭოთა ხალხის მედგარი, გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლაა მოსალოდნელი გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა წინააღმდეგ. საბჭოთა პატრიოტს მუდამ უნდა ახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება, რომ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, რომ მტერი უკანასკნელ ძალ-ღონეს დაძაბავს, რათა წარმატებას მიაღწიოს და თავისი ბნელი ზრახვები განახორციელოს.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი და, მით უმეტეს, მთლად განადგურებულნი. ჩვენ უნდა დავამარცხოთ საზიზღარი მტერი. „წითელ არმიას ყველაფერი მოეპოვება, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ განახორციელოს ეს დიადი მიზანი. მას მხოლოდ ერთი რამ აკლია—იმის უნარი, რომ მთლიანად გამოიყენოს მტრის წინააღმდეგ ის პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც მას ჩვენი სამშობლო აძლევს. ამიტომ წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მის მეტყვიამფრქვევეთა, მის არტილერისტთა, მის ნაღმმტყორცნელთა, მის ტანკისტთა, მის მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა ის არის, რომ ისწავლონ სამხედრო საქმე, ისწავლონ ბეჯითად, ზედმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და, ამრიგად, ისწავლონ მტრის უეჭველი განადგურება. მხოლოდ ასე შეიძლება ვისწავლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნება“ (სტალინი).

მედგრობა, უშიშრობა, რკინისებური სიმტკიცე გამარჯვების საწინდარია. თვითეული საბჭოთა პატრიოტი ფიცსა დებს სამშობლოს წინაშე, რომ ის იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ულმობლად გაჟლეტს მტრის ცოცხალ ძალასა და გაანადგურებს მის ტექნიკას. ჩვენმა მებრძოლებმა, ისწავლეს რა მტრის სიძულვილი, მათ სიკვდილი არარად მიაჩნიათ და გააფთრებით ებმებიან ბრძოლაში, რადგან იციან რომ

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია.

გერმანიის ავაზაკ იმპერიალისტების შეიარაღებულ ძალებთან გიგანტური ბრძოლა მიმდინარეობს. სერიოზული საფრთხე დასტრიალებს თავს ჩვენს სამშობლოს. მტერი დამარცხებულ უნდა იქნას და დამარცხებული იქნება კიდევაც. ახლა მთელი საბჭოთა ხალხის, მისი წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მეტყვიამფრქვევეთა, არტილერისტთა, ნაღმმტყორცნელთა, ტანკისტთა, მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გზა გადაუღობონ მტერს, შეაჩერონ იგი და ჩაჰკლან მასში ის შეტევითი უნარი, რომელსაც თავის აღსასრულის წინ იჩენს იგი. გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ მტერს!

მ. ი. კალინინი

ომის ერთი წელი

ერთი წლის წინათ რადიომ აუწყა სსრ კავშირის ხალხებს და მთელს მსოფლიოს საბჭოთა კავშირზე ფაშისტურ გერმანიის ვერაგული თავდასხმის შესახებ.

თუმცა ჩვენს მოსახლეობას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ გერმანია თავს დაგვესხმოდა, მაგრამ ამასთან ერთად, საღი გონების თვალსაზრისით, გერმანიას თითქოს საფუძველი არა ჰქონდა შეექმნა თავისთვის ახალი ფრონტი. ამის მიხედვით, ადამიანები ამბობდნენ, რომ მხოლოდ ჰიტლერის მთავრობის ავანტიურისტულ პოლიტიკას შეუძლია დააყენოს გერმანია ამ აშკარად უიმედო წამოწყების გზაზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ ავანტიურისტულმა პოლიტიკამ დასძლია. მოიპოვა რა შედარებით იოლი გამარჯვებანი დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ჩიხში მოემწყვდა რა ინგლისთან ომში, გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს იმ იმედით, რომ სწრაფად მოიპოვებდა გამარჯვებას, რის შემდეგ სსრ კავშირის რესურსებს გამოიყენებდა და ლახვარს ჩასცემდა ინგლისს, ხოლო შემდეგ ამერიკასაც.

გავიდა სასტიკი სისხლისმღვრელი ომის ერთი წელი, რომელმაც გვიჩვენა, რომ გერმანიის სარდლობა გაცილებით უფრო წინდაუხედავი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მისი სრულიად მინიმალური გეგმების მიხედვით გათვალისწინებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერებას გასტეხდნენ სამოთხ თვეში და ყოველ შემთხვევაში ზამთრის სიცივეების დაწყებამდე მაინც. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ გერმანიის საინტენდანტოს არ დაუმზადებია ზამთრის ტანსაცმელი. ჰიტლერის მიერ ინსპირირებული ფაშისტური აგიტაცია ომის ვადას მხოლოდ ერთნახევარ-ორი თვით განსაზღვრავდა.

გერმანელთა ჯარის წინსვლა თავდაპირველად საკმაოდ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. გერმანიის ნაკრები ცნობები ყოველდღე მთელ მსოფლიოს აყრუებდნენ გამარჯვების მაუწყებელი თავისი რელაციებით. მაგრამ გერმანელ ჯარისკაცთა მიერ ფრონტიდან გაგზავნილი წერილები, რომლებიც რა თქმა უნდა, არ იბეჭდებოდა გერმანიის პრესაში, ომის ამ დასაწყის პერიოდშიც კი ცხადჰყოფდა, რომ აღმოსავლეთში ომი სრულიად არა ჰგავს დასავლეთში ომს და რომ გერმანიის ჯავშანსატანკო და მოტორიზებული დივიზიების სწრაფ წინსვლას თან სდევდა ტექნიკის და ცოცხალი ძალის უდიდესი დანაკლისი.

უნებურად გაგონდება ლევ ტოლსტოის ზღაპარი „განა ბევრი მიწა სჭირდება ადამიანს“. ამ ზღაპარში ნაამბობია, რომ ერთ კაცს გარკვეული თანხის გადახდით იმდენი მიწა უნდა მიეღო, რამდენის შემორბენასაც შესძლებდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. და აი, იგი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მიწა შემოერბინა. მაგრამ როდესაც სტარტთან მივიდა, უსულოდ დაეცა და აღმოჩნდა, რომ მას თურმე მხოლოდ სამი აღლი მიწა სჭირდებოდა

სამარისათვის. დიახ, ჰიტლერმა მიწით დააჯილდოვა თავისი კადრის არმია: მილიონობით მისმა ჯარისკაცმა მიიღო საბჭოთა მიწა-წყალზე თავისი ნაკვეთი.

საჭირო გახდა გარკვეული დრო იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხს გაეგო დაწყებული ომის აზრი და ხასიათი და შეგუებოდა მას. 1941 წლის 3 ივლისს ამხანაგმა **სტალინმა** რადიოთი მიმართა ხალხს და მოუწოდა, რომ ჩვენს ხალხს, საბჭოთა ადამიანებს შეეგნოთ უდიდესი საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და გამოჯნოდნენ უდარდელობას, უზრუნველობას, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილებებს.

ხალხი მხურვალედ შეხვდა თავისი ბელადის მოწოდებას და მტრისათვის შეურიგებელი წინააღმდეგობის გაწევის გზას დაადგა. წითელი არმიის მიერ ჩვენი ტერიტორიის ამა თუ იმ უბნის დატოვებისას რკინიგზელებს ორთქლმავლები და ვაგონების შემადგენლობა გამოჰყავდათ, მუშებს ფაბრიკებისა და ქარხნების ქონება გამოჰქონდათ, კოლმეურნეები საქონელს მოერეკებოდნენ, სწვავდნენ ყველაფერს, რის წამოღებაც არ შეეძლოთ. მრავალი ათასი ადამიანი, რომელთაც იარაღის ხმარება შეეძლოთ, პარტიზანულ რაზმებში მიდიოდა. საბჭოთა მიწა იწვოდა ფაშისტთა ფეხქვეშ. ახლა, ომის ერთი წლის შემდეგ, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ მშვიდობიანობის დროის განწყობილება უკუგდებულია და ჩვენი ხალხი თავით ფეხებამდე შეიარაღებული ხვდება მტრის მოძალებას.

ომის დასაწყისში ამხანაგმა **სტალინმა** შექმნილი ვითარება შეაფასა და დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ, როდესაც დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული პაქტი და ვეროგნულად დაესხა თავს სსრ კავშირს. მან აღნიშნა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ „ამით მიაღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლე ხნით, მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. ეჭვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში".

და, მართლაც, გერმანელ მოძალადეთათვის საბჭოთა არმიის წინააღმდეგობის გაწევის უნარი დღითიდღე იზრდებოდა, ბრძოლები სულ უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებდა და ყოველი ახალი კილომეტრი საბჭოთა ტერიტორიის დაპყრობა გერმანელებს სულ უფრო და უფრო ძვირად უჯდებოდათ, სულ უფრო და უფრო დიდ მატერიალურ სახსრებსა და ადამიანთა რესურსებს ითქავდა.

ნოემბრისათვის გერმანელებმა მოსკოვის შორეულ მისადგომებამდე მოაღწიეს. და აი, მაშინ, როცა ჰიტლერს უკვე ელანდებოდა, რომ მოსკოვი მის ხელში იყო, ამხანაგმა **სტალინმა** მოსკოვის საბჭოს სხდომაზე 1941 წლის 6 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში მტკიცედ განაცხადა, რომ გერმანელი იმპერიალისტებისა და მათი არმიის განადგურება გარდუვალია. მაგრამ, ეს რომ სთქვა, ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა, „რომ ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქმედითად და აქტიურად დაეხმაროს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ საწარმოებში და მიაწოდონ ფრონტს სულ

უფრო და უფრო მეტი ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და ქვემეხები, თვითმფრინავები, ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, საომარი მასალები, რომ ჩვენმა კოლმეურნეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ თავიანთ მინდვრებში და ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა და სსრ კავშირის ყველა ხალხი დაირაზმოს ერთიან ბრძოლის ბანაკად, რომელიც ჩვენს არმიასთან და ფლოტთან მხარდამხარ ეწევა დიდ განმათავისუფლებელ ომს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, გერმანიის არმიების განადგურებისათვის".

ამ დროიდან მოკიდებული ომის ინიციატივა სულ უფრო და უფრო გადმოდის წითელი არმიის ხელში. და თუმცა გერმანიის სარდლობას ხელი არ აუღია მოსკოვის დაპყრობის განზრახვაზე, მაგრამ წითელი არმიის მიერ გერმანელებისათვის როსტოვთან და ტიხვინთან, შემდეგ კი თვით მოსკოვთან მიყენებულმა დარტყმებმა გასტეხეს ჰიტლერელთა ურდოების მოძალება, და გერმანელთა არმიამ დასავლეთისაკენ უკანდახევა იწყო, მასთან მას დიდი ზარალი მოსდიოდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ, მან დაჰკარგა გამარჯვების რწმენა. ბრძოლის წარმოების ინიციატივა ჩვენს ხელში გადმოვიდა. წითელი არმია თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და იწყო გერმანელი ოკუპანტებისაგან საბჭოთა ტერიტორიის გაწმენდა.

ომის ფრონტებზე შექმნილმა ახალმა სიტუაციამ ჩვენს წინაშე ახალი ამოცანებიც წამოაყენა, რომლებიც ასე მკაფიოდ არის გამოხატული ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებაში. ამ ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა ამოცანა მიაღწიონ იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს.

„წითელ არმიას ყველაფერი მოეპოვება, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ განახორციელოს ეს დიადი მიზანი. მას მხოლოდ ერთი რამ აკლია — იმის უნარი, რომ მთლიანად გამოიყენოს მტრის წინააღმდეგ ის პირველხარისხოვანი ტექნიკა, რომელსაც მას ჩვენი სამშობლო აძლევს. ამიტომ წითელი არმიის, მის მებრძოლთა, მის მეტყვიამფრქვევეთა, მის არტილერისტთა, მის ნაღმტყორცნელთა, მის ტანკისტთა, მის მფრინავთა და კავალერისტთა ამოცანა ის არის, რომ ისწავლონ სამხედრო საქმე, ისწავლონ ბეჯითად, ხელმიწევნით შეისწავლონ თავიანთი იარაღი, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები და ამრიგად ისწავლონ მტრის უეჭველი განადგურება. მხოლოდ ასე შეიძლება ვისწავლოთ მტერზე გამარჯვების ხელოვნება".

ამ სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევები. იმის მიუხედავად, რომ ომის პირველ თვეებში ჩვენი ნაწილების უკანდახევასთან, წითელი არმიის ზამთრის პირობებში შეტევის სიძნელეებთან, მრავალი საწარმოს ევაკუაციასთან დაკავშირებით უაღრესად მძიმე პირობები იყო, ჩვენმა ქვეყანამ მაინც შესძლო მიეწოდებინა თავისი არმიისათვის საუცხოო იარაღი და ყოველივე ის, რაც საჭიროა თანამედროვე ომის საწარმოებლად.

როგორც ხედავთ, ხალხისა და არმიის ბელადი, თავისი ხალხის, არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, რომლებიც ომიანობის ვითარებიდან გამომდინარეობენ. ამოცანა, რომელიც ამჟამად დაყენებულია ამხანაგ **სტალინის** მიერ უშუალოდ წითელი არმიის და სამხედრო-საზ-

ღვაო ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა წინაშე,—ის არის, რომ ვიცოდეთ ეფექტიანად გამოყენება იმ საუცხოო ტექნიკისა, რომლითაც აღჭურვა არმია ჩვენმა სამშობლომ. შეიძლება ეჰვი არ ვიქონიოთ, რომ ჩვენი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დასძლევენ ამ ამოცანას.

თვალს თუ გადავავლებთ გერმანელ დამპყრობთა წანააღმდეგ ჩვენი ჯარების ბრძოლის ყველა პერიპეტიას, შეიძლება ზოგიერთი შედეგის შეჯამება. გერმანელები თავს დაგვესხნენ უეცრად, ქურდულად, მათ ეგონათ ერთი გამანადგურებელი დარტყმით დაამარცხებდნენ ჩვენს არმიას, დაიპყრობდნენ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებს და ამით წამოაჩოქებდნენ საბჭოთა ხალხს.

ამჟამად ყველასათვის აშკარაა, რომ ეს გეგმა სავსებით ჩაიფუშა. გერმანელების მიერ დაპყრობილი ქალაქებიდან და ტერიტორიებიდან ჩვენ არა მარტო გამოვზიდეთ მთელი მრეწველობა გერმანელთა ბომბარდირებისათვის მიუწვდომელ ადგილებში, არამედ ამ მრეწველობის დიდი უმეტესობა მუშაობს და თვედათვე ადიდებს წარმოების ტემპებს.

ჩვენი ჯარების დარტყმების გამო გერმანელი ხალხის რწმენა გერმანიის არმიის უძლეველობისა სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა, ამჟამად კი სულ მთლად ჰქრება.

გაზაფხულის შემოტევა, რასაც დაჟინებით აცხადებდნენ ზამთარში ჰიტლერი და მისი პრესა, არ შესდგა. რაც შეეხება საომარი მოქმედების შემდგომს განვითარებას, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გერმანიის არმიას არ ძალუძს საერთო შემოტევა მთელს ფრონტზე. იგი ახლა ის აღარ არის, რაც ომის დასაწყისში იყო. იგი ფიზიკურად და მორალურად მნიშვნელოვნად დასუსტდა.

ცხადია, ისეთ დიდ ფრონტზე, როგორიც არის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი, შესაძლებელია გერმანიის ჯარების შეტევითი მოქმედება ამა თუ იმ უბანზე. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ შემოტევასაც მხოლოდ შეზღუდული ხასიათი ექნება და თანაც მეტად ძვირად დაუჯდებათ იგი.

გერმანელების კარგი მდგომარეობით როდი აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი ამჟამად ცდილობენ ფრონტის ამა თუ იმ უბანზე ყოველ თავის ნაწილობრივ წარმატებაში, რასაც ისინი თავიანთი ჩვეულებისამებრ აზვიადებენ, წილი დაუდონ თავიანთ მოკავშირეებს და აშკარად ელაქუცებიან მათ. მართლაც, ახლა რომ ფრონტიდან წაიყვანონ გერმანელების მოკავშირეთა—ფინელების, უნგრელების, რუმინელებისა და იტალიელების ყველა ეს დივიზიები, სამხედრო თვალსაზრისით გერმანელებისათვის არახელსაყრელ სურათს მივიღებდით. მოკავშირენი საჭირონი გახდნენ გერმანელებისათვის არა მარტო პოლიტიკურად, არა მარტო როგორც წყარო, საიდანაც მიაქვთ ნედლეული და სურსათი, არამედ როგორც წმინდა სამხედრო ძალაც. გერმანიის არმია ნაკუწებისაგან შემდგარ, ათასჯურა ხალხის არმიად იქცევა, იგი უკვე აღარ არის 1941 წლის არმია. გერმანელი ხალხის მორალური მდგომარეობა დაცემულია გერმანიის ჯარების მარცხის, ომის გაჭიანურებისა და ამ ომის უსამართლობის შეგნების გამო. ეს გარდუვალად იწვევს ომის საწინააღმდეგო განწყობილების უფრო და უფრო გაძლიერებას.

ფაშისტები იმედოვნებდნენ, რომ სსრ კავშირზე თავდასხმა მოუტანდა მათ ზავს ინგლისთან და მოაგებინებდა ამერიკის გულს. ეს გულუბრყვილო იმედი არ გამართლდა, ჰიტლერელთა განზრახვა მოეტყუებინათ ინგლისი და ამერიკა ამაო გამოდგა.

გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში წარმოებული ძარცვა და ტერორი, მათი მარცხი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ხოლო, რაც მთავარია, დარტყმები, რომლებსაც წითელი არმია აგემებს ფაშისტთა ჯარებს,—ყოველივე ეს აძლიერებს პატრიოტების ბრძოლას გერმანელთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, მერყევს ხდის გერმანიის ზურგს ევროპაში, აიძულებს ფაშისტ მმართველებს გააძლიერონ საპოლიციო ღონისძიებანი და გაადიდონ დამსჯელი რაზმები ოკუპირებულ ქვეყნებში.

პარტიზანული მოძრაობა, რომელიც უფრო და უფრო ვითარდება გერმანელთა მიერ დაკავებულ საბჭოთა ოლქებში, დღითიდღე იზრდება და მტკიცდება, და გერმანელები იძულებული არიან მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილები გამოჰყონ მასთან საბრძოლველად. ზოგჯერ გერმანელები სწერენ მათ მიერ პარტიზანულ რაზმებზე მოპოვებულ „შესანიშნავ გამარჯვებათა“ შესახებ; ამბობენ, რომ მათ დაიკავეს თავიანთ ზურგში 10-15 დასახლებული პუნქტი, რომლებიც პარტიზანული რაზმების მოქმედების რადიუსში მდებარეობენ. მაგრამ ისინი სდუმან იმაზე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ პარტიზანები კვლავ ურტყამენ გერმანელთა გარნიზონებს და ხელახლა ართმევენ მათ დასახლებულ პუნქტებს. ზურგი რუსეთში მართლაც მეტისმეტად გახურდა ფაშისტთა ფეხებისათვის. ხოლო დარტყმები, რომლებსაც პარტიზანები აგემებენ გერმანელებს, სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იღებენ საომარი მოქმედების საერთო განვითარებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიზანები ყოველ თვე სჩეხავენ ლიანდაგიდან გერმანელთა ჯარებითა და საომარი მასალებით დატვირთულ ათობით მატარებლებს, რომ პარტიზანული რაზმები გერმანელთა მნიშვნელოვან სამხედრო ნაწილებს ჭლეტენ ყოველდღიურ შეტაკებებში. პარტიზანული მოძრაობა გერმანელთა მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ოლქებში დიდი ფრონტი ხდება გერმანიის არმიებისათვის, რაც, უეჭველია, მეტად მტკივნეულ გავლენას ახდენს მათს მდგომარეობაზე.

გერმანიის მატერიალური და ადამიანთა რეზერვები კლებულობს და ამ რეზერვების შემცირების ტემპები სულ უფრო და უფრო დაჩქარებული ხდება ყოველთვიურად.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ გერმანიის სარდლობის მიერ ომის დასაწყისში საბჭოთა ფრონტზე დასახული არც ერთი სტრატეგიული ამოცანა არ გადაწყვეტილა.

ომის განვლილი წლის მანძილზე ჩვენმა არმიამ განსაცდელთა მკაცრი სკოლა გამოიარა. მან მტერი გაიცნო, გაიცნო მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ისწავლა არ ეშინოდეს მტრის ტექნიკისა და გაარჩიოს მისი ბუტაფორია რეალური ძალისაგან. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მეთაურებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს, ხოლო წითელარმიელებმა სიმედგრე გამოიმუშავეს მტერთან ბრძოლაში. საერთოდ ჩვენმა არმიამ ისწავლა ბრძოლა, ისწავლა ურტყას გერმანელებს და საფუძვლიანადაც ურტყას.

ჩვენი არმიის მორალური მდგომარეობა შეესაბამება საბჭოთა ხალხის სულისკვეთებას, და შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ეს მორალური მდგომარეობა ერთობ მაღალია. სხვანაირად არ შეიძლება იყოს, რადგან თითოეულმა წითელარმიელმა მშვენივრად იცის, რომ იგი იბრძვის დიადი მიზნისათვის — სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს სიმტკიცეს აძლევს მას ბრძოლაში, აღაფრთოვანებს იმისათვის, რომ განდევნოს მტერი საბჭოთა მიწა-წყლიდან, მოსპოს იგი.

ჩვენი მრეწველობა თვედათვე ადიდებს სამხედრო მასალების წარმოებას. იგი უფრო და უფრო უკეთესად ეგუება ომის პირობებს, და ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ სამრეწველო პროდუქციით არმიის მომარაგება ომის ერთი წლის შემდეგ კი არ გაუარესდა, არამედ გაუმჯობესდა.

სიხარულით შეიძლება აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში, ომიანობის მდგომარეობის მთელი სიძნელეების მიუხედავად, დიდდება ნათესი ფართობი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ოლქებში. ახლა უკვე ყველა საფუძველი მოგვეპოვება იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი კოლმეურნეები პირნათლად შეასრულებენ იმ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად ეკისრება სოფლის მეურნეობას.

საერთოდ ომის ერთმა წელმა თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მტკიცე საძირკველზეა აგებული.

ჩვენი ხალხის მორალური მდგომარეობა განსაკუთრებით მტკიცეა; ხალხში წარმოიშვა შეურიგებელი სიძულვილი მტრისადმი, იმის შეგნება, რომ მტერს უნდა ვურტყათ და ვურტყათ დაუნდობლად.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა უაღრესად მტკიცეა. სსრ კავშირთან გერმანიის ომის პირველი დღეებიდანვე ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირისადმი დახმარების გზას დაადგნენ, და ამჟამად ჩვენსა და ინგლისს შორის დადებულია ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

ამერიკა, რომელიც ომის პირველ პერიოდში ნეიტრალური ქვეყანა იყო, მეომარი ქვეყანა გახდა. სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიდო შეთანხმება იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას. დახმარება, რომელსაც ამერიკა და ინგლისი გვიწევენ სამხედრო საჭურვლითა და მასალებით, სულ უფრო და უფრო იმატებს.

ყველა ეს ფაქტები სრულ საფუძველს გვაძლევს, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ მტერი დამარცხებულ იქნება.

საბჭოთა ხალხი არავითარ ილუზიას არ იქმნის იმის შესახებ, რომ იოლია გამარჯვება ვერაგ, გამხეცებულ მტერზე, რომელიც მთელი ძალღონით ეცდება გადაირჩინოს თავი. მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული, მით უმეტეს საბოლოოდ განადგურებული. მას კიდევ მნიშვნელოვანი სამხედრო ტექნიკა მოეპოვება. რაც უფრო უიმედო იქნება ჰიტლერული ბანდის მდგომარეობა, მით უფრო დიდ ავანტიურებს ჩაიდენს იგი. მაგრამ ჰიტლერიზმის დაღუპვა გარდუვალია.

საბჭოთა ხალხი აღსავსეა გამარჯვების ურყევი რწმენით, მან იცის, რომ ეს გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ ყოველდღე ფრონტზე და ზურგში, ფაბრიკებში შახტებში, კოლმეურნეობებში, მოწინავე პოზიციებზე, სანგრებში, პარტიზანულ რაზმებში. ვერავითარი მსხვერპლი და გაჭირვება ვერ შეუშლის ხელს საბჭოთა ადამიანებს მათს რკინისებურ გადაწყვეტილებაში მოსპონ თავიანთი მოსისხლე მტერი. ჩვენი ამოცანაა: დავაჩქაროთ ეს, რამდენადაც შესაძლებელია.

ი. თავაძე

საზოგადოებრივი მეცნიერებანი და მათი ამოცანები დიდი სამამულო ომის პირობებში*

ჩვენი სამამულო ომის ვითარებაში, მოწინავე იდეისა და მოწინავე თეორიის როლის საკითხმა განსაკუთრებით აქტუალური ხასიათი მიიღო. თუმცა, მოწინავე იდეის, შეგნებისა და თეორიის როლის საკითხებს საზოგადოებრივი განვითარებისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მთელს მარქსისტულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მას შემდეგ, რაც წარმოიშვება ახალი იდეები და თეორიები, ისინი გადაიქცევიან სერიოზულ ძალად, რომელიც აადვილებს საზოგადოების ცხოვრების განვითარების მიერ წამოყენებულ ახალ ამოცანათა გადაწყვეტას, აადვილებს საზოგადოების წინსვლას. სწორედ აქ იჩენს თავს ახალი იდეების, ახალი თეორიებისა და ახალი პოლიტიკური შეხედულებების უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმველი და გარდამქმნელი მნიშვნელობა და ძალა.

ახალი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშვებიან, რომ ისინი აუცილებელი ხდებიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალის გარეშე შეუძლებელია მომწიფებული საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტა. თეორია თავის გზას იკაფავს, იგი ხდება ხალხთა მასების კუთვნილებად, რაზმავს მათ საზოგადოების დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ და ამით აადვილებს საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ძალთა დამხობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელნი გვასწავლიან, რომ თეორია იქცევა მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი დაეუფლება მასებს.

მაგრამ თეორია, იდეა არ ეუფლება მასებს თავისთავად, სტიქიურად. ამისათვის საჭიროა მოწინავე იდეების მატარებელმა პირებმა, ჯგუფებმა, პარტიამ ფართოდ გაშალონ უდიდესი თეორიული და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რათა მასები სისტემატურად ეუფლებოდნენ პროგრესიულ იდეებს. იქ, სადაც ეს არაა უზრუნველყოფილი, ფეხს იდგამს და პროგრესიულ იდეებზე გამარჯვებას ლამობს რეაქციული ძალები. ყოველივე ამაში ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ გერმანიის ფაშისტურ წყობილებას. ფაშიზმი მიმართულია კულტურის, მეცნიერებისა და მშრომელთა სოციალური მონა-

*) საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების VII სამეცნიერო სესიაზე გაკეთებული მოხსენება.

პოვრების განადგურებისაკენ. საჭიროა ამავე დროს აღწუსხულ იქნას ფაშისტური იდეოლოგიის როლი და მისი გავლენა მშრომელთა მასებზე. ცნობილია, რომ ფაშისტურმა პარტიამ მოახერხა მშრომელთა მასების შეგნების ერთგვარი მოწამლვა.

ამრიგად, ჩვენს სამამულო ომში საქმე გვაქვს ორ ძალასთან—ერთის მხრივ, გერმანიისა და მისი „მოკავშირეების“ შეიარაღებულ, ე. ი. მატერიალურ ძალასთან, და, მეორეს მხრივ, ფაშიზმის რეაქციურ იდეოლოგიასთან. საჭიროა გერმანიის მატერიალური ძალები დამსხვრეულ იქნას საბჭოთა კავშირისა და მის მოკავშირეთა განკარგულებაში არსებული მატერიალური ძალებით (ეს ასეც ხდება), ხოლო ფაშისტურ რეაქციურ იდეოლოგიას დავუპირისპიროთ ჭეშმარიტი, პროგრესიული იდეოლოგია.

ფაშიზმის „იდეოლოგია“ მოწოდებულია ჰიტლერული ავაზაკების მტაცებლური პოლიტიკისა და კაცთმოძულეობის დაფარვისა და დასაბუთებისათვის. ის ფაქტიურად ძარცვა-გლეჯის იდეოლოგიაა, რომლის მამამთავრად და სულისჩამდგმელად აღიარებულია ყოველასათვის ცნობილი, ფსიქიურად შეშლილი იდიალისტი ფრიდრიხ ნიცშე და სხვა მისი მსგავსნი.

ამიტომ, როდესაც საკითხი ეხება მოწინავე იდეებისა და თეორიის როლის გაშუქებას, როდესაც საკითხი ისმის ფაშიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ყოველთვის საქმე გვქონდა და გვექნება ჩვენს ძველს, ცნობილ მტერთან—იდიალიზმთან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაისახა, ჩამოყალიბდა და განვითარდა მარქსიზმ-ლენინიზმი.

* * *

ბოლშევიკების პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი სიახლის გრძნობის შესახებ და ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მოუწოდა პარტიულ მასებს დაეუფლონ ამ სიახლის გრძნობას.

რას წარმოადგენს სიახლის გრძნობის ეს ლოზუნგი მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით?

სიახლის გრძნობა, ახლისათვის ხელის ჩაჭიდების უნარი გამომდინარეობს იმის გაგებიდან, რომ განვითარება წარმოადგენს მოვლენების თვისობრივ ცვლილებებს, რომ ძველის ადგილზე წარმოიშვება ახალი, ე. ი. უნდა შეგვეძლოს იმ ახლის დანახვა, რაც წარმოიშვება ცხოვრებაში, უნდა გვესმოდეს, რომ ეს ახალი თუ იგი პროგრესიულია, მომავალს ეკუთვნის.

ლენინს და სტალინს, რომლებსაც მუდამ გააჩნდათ სიახლის გრძნობა, ყოველთვის შესწევდათ უნარი მეცნიერულად განეჭვრიტათ დიადი მომავლის მქონე ძალა.

ამგვარად, დიალექტიკის მოთხოვნილება, რომ შეგვეძლოს ახლის დანახვა, სიახლის ბოლშევიკური შეგრძნობა, — წარმოადგენს ჭეშმარიტი რევოლუციონერების, მოწინავე ადამიანების, მეცნიერების ერთერთ უდიდეს თვისებას.

„Поэт настоящий
Вздувает заранее

Из искры неясной
Ясное знание",—

ამბობდა მაიაკოვსკი.

მაშასადამე, ყოველი პროგრესიული ადამიანის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაფერფლილ ნაპერწკლიდან, სიახლის ჩანასახიდან, რაც კი ჩნდება ქვეყანაზე,—გააღვივოს ნათელი ცოდნა, ესე იგი დაეუფლოს სიახლის გრძნობას.

ქართველი ხალხის მოწინავე და საუკეთესო ადამიანები სიხარულით და აღფრთოვანებით ეხმაურებოდნენ ქართველი და მსოფლიოს სხვა ხალხთა ცხოვრებაში მომხდარ ყველა პროგრესიულ მოვლენას.

ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის სახელოვან წინაპრებს ყოველთვის ახასიათებდათ სიახლის გრძნობა, მეცნიერული შორსმჭვრეტელობა, სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები ყოველთვის იყვნენ თავისი ხალხის ერთგულნი, თავისი შემოქმედების გამართლებას ისინი მშრომელი კაცობრიობის სამსახურში ნახულობდნენ.

ილია ჭავჭავაძე ხედავდა მუშის ტანჯვას და მწუხარებით ეუბნებოდა მას:

ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?"

ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა ეს სიახლის გრძნობა, მას ღრმად სწამდა, რომ მშრომელთა განთავისუფლების დღე ახლოვდებოდა. 1900 წ. 1 იანვარს ის სწერდა: „გასულმა საუკუნემ თავისის მხრივ ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ ღარიბია თუ მდიდარი—უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერებასთან გამოხმაურება, ქვეყნიერებასთან ურთიერთობის გაწევა, დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს-იხურავს, უკეთ ჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის, უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა და **აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა ან მომავალ საუკუნეს**".

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელი იაკობ გოგებაშვილი ხედავდა კაცობრიობის ისტორიის განვითარების გზებს და ბრწყინვალე საწყისების უეჭველ გამარჯვებას და სწერდა: „მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მოძრაობას მარტივისაგან რთულისაკენ, მონობისაგან თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, ბოროტისაგან კეთილისაკენ, უმეცრებისაგან სიბრძნისაკენ, ველურობისაგან ადამიანობისაკენ. ეს მოძრაობა, რომელიც საუკუნეთა დასაბამიდან იყო ფრიად ნელი, ზოგჯერ წაიბორძიკებდა, ზოგჯერ უკან შეტრიალდებოდა, მაგრამ იგი მაინც უტეხია და ვერავითარი ძალა მას აღებულ გზას ვერ ააცდენს. ადამიანის, საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის საყოველთაო სიკეთე ბოლოს უეჭველად გაბატონდება მთელს დედამიწაზე".

გოგებაშვილის ეს სიტყვები ფრიად საგულისხმოა ფაშისტური კაციჭამიებისათვის, რომლებმაც თავიდანვე კაცობრიობის განვითარების სწორი გზა უარჰყვეს და რომლებსაც ჰგონიათ, თითქოს საზოგადოებრივი განვითარება სიკეთი-

დან ბოროტებისაკენ, ადამიანობიდან ველურობისაკენ და სიბრძნიდან უმეცრებისაკენ უნდა წარიმართოს.

„ყოველი კაცი აწმყოს უნდა მისდევდეს და აწმყოს კეთებაში იქნება მომავლის სამსახურიც. ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს“,—სწერდა აკაკი.

„ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის... მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება“,— ამბობს ვაჟა-ფშაველა.

ვინ ჩაზოსთვლის საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის სახელოვან წინაპრებს, რომლებსაც ღირსეულად უყვარდათ თავიანთი სამშობლო და ხალხი. ამავე დროს ისინი პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ რუს ხალხსაც, რომელშიაც ხედავდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელსა და თანამგზავრს. როგორც იცით, ივანე მაჩაბელი სწერდა: ქართველი ხალხის ვალია ის, რომ რუს ხალხთან ერთად დაიცვას რუსეთის სახელმწიფოებრიობა გარეშე მტრებისაგან. ცნობილი ქართველი მწერალი ნიკო ლომოური ა. ს. პუშკინის საიუბილეო დღეებში სწერდა: „მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა დიდ რუსეთს, მან თავისი ისტორიული ბედი მას დაუკავშირა. ამიტომ, თუ უწინ ჩვენ მასთან, რუსეთთან ერთად განვიცდიდით დამშეულთა ტანჯვა-წამებას, დღეს აღფრთოვანებული გრძნობით ვუწვდით ხელს ჩვენს უფროს ძმას — რუს ხალხს და მასთან ერთად ვდღესასწაულობთ დიდი პოეტის დაბადებას“.

სიახლის გრძნობა, ესოდენ მნიშვნელოვანი თვისება მოწინავე ადამიანისათვის, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების ჩვეული გრძნობა იყო. ეს ტრადიცია არა მარტო შეინარჩუნა საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციამ, არამედ განავითარა, გაავრცელა და აიყვანა სადღეისო მოწოდების სიმაღლეზე. „იყავით ღირსნი თქვენი სახელოვანი წინაპრებისა“,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი. დიახ! საქართველოს საბჭოთა ინტელიგენცია არის ღირსი სახელოვანი წინაპრებისა და დიდი სტალინის ნდობისა. მომავალი ღირსეულად შეაფასებს საბჭოთა ინტელიგენციის აზრებს, გრძნობას, მსოფლმხედველობას და მის ბრძოლას კაციჭამია ფაშიზმის წინააღმდეგ.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ, რომელიც აერთიანებს 7 სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებას (ისტორიისა და ენის ინსტიტუტები, ფსიქოლოგიისა და ხელოვნების სექტორები, საქართველოს მუზეუმი, მეტეხის მუზეუმი და ვარძიის მუზეუმი—ნაკრძალი), ძირითადად გარდაქმნა თავისი მუშაობა იმ დიდი სამამულო ომის პირობების შესაბამისად, რასაც საბჭოთა ხალხი მეცნიერებისა და კულტურის უბოროტესი მტრის—გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ აწარმოებს.

ხელმძღვანელობენ რა ამხანაგ სტალინის გენიალური მითითებებით, განყოფილებაში შემავალ დაწესებულებათა მუშაკები (ისტორიისა და ენის ინსტიტუტებისა—დირექტორი—აკად. ჯანაშია, ფსიქოლოგიის სექტორისა – დირექტორი აკად. უზნაძე და ხელოვნების სექტორისა — დირექტორი აკად. ჩუბინიშვილი) ასრულებენ ისეთ სამეცნიერო და მეცნიერულ-პოპულარულ მუშაობას, რომლის ძიზანია ამხილოს ფაშისტი „თეორეტიკოსების“ ცრუმეცნიერება და უჩვენოს, რომ ფაშისტი არამზადების მხრივ კაცობრიობას ემუქრება დამონებისა და თანამედროვე კულტურის დანგრევის საშიშროება. ხსენებულმა მუ-

შაკებმა თავიანთ თემატიკაში შეიტანეს ისეთი სამუშაოები, რომელნიც ასახავენ ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას მისი დამონების მსურველთა წინააღმდეგ, ამასთანავე ისინი განაგრძობენ ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული წარსულისა და აგრეთვე კავკასიის მოძმე ხალხებთან მისი კულტურულ-ისტორიული და ენობრივ-გენეტიკური ურთიერთობის მეცნიერულ კვლევას.

ჩვენი ფსიქოლოგები და ენათმეცნიერები აწარმოებენ თავდაცვითი ხასიათის ეფექტიურ მუშაობას, რომელსაც არა მარტო მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, არამედ გულისხმობს აგრეთვე წმინდა ფიზიკური დახმარების აღმოჩენას წითელი არმიის კონტუზებულ მეომრებისათვის ჰოსპიტლებში. კერძოდ ფსიქოლოგები ეწევიან მუშაობას ფსიქონევროზის, ხოლო ენათმეცნიერნი—მეტყველების დარღვევის დარგში (ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ აკად. უზნაძისა და აკად. ახვლედიანის ხელმძღვანელობით, აკადემიის პრეზიდიუმისა და ჰოსპიტლების მუშაკების მხრივ კარგ შეფასებას ღებულობენ).

გარდა ამისა, ისტორიისა და ენის ინსტიტუტები და ხელოვნების სექტორი, აგრეთვე ჩვენი მუზეუმები (საქართველოს მუზეუმი და მეტეხის მუზეუმი—დირექტორი პროფ. ამირანაშვილი, ვარძიის მუზეუმი—დირექტორი გაბაშვილი), აცნობენ რა ფართო მასებს ქართველი ხალხის ისტორიისა და ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებს, აძლიერებენ მასების ინტერესს და სიყვარულს თავისი ქვეყნისადმი, აღვივებენ მათში სამართლიან სიძულვილს გამხეცებულ დამპყრობლებისადმი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს მუზეუმებს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენების მოწყობით.

ზემოთ აღნიშნული მუშაობის შედეგებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება მისაწვდომს ხდის ფართო მასებისათვის სამეცნიერო სესიების გამართვით (სამამულო ომის პერიოდში ჩატარებულ იქნა 4 სამეცნიერო სესია, როჰლებზედაც წაკითხულ იქნა 38 სამეცნიერო მოხსენება), აგრეთვე მრავალი საჯარო ლექციის მოწყობით, ცალკე ბროშურების გამოცემით, საგაზეთო და საჟურნალო სტატიების გამოქვეყნებით და სხვ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თვითეულმა დაწესებულებამ შეასრულა და ასრულებს თავდაცვითი ხასიათის მნიშვნელოვან შრომებს, მაგრამ მათგან თავდაცვითი თემატიკის სიუხვით განსაკუთრებით გამოიყოფა ფსიქოლოგიის სექტორი, რომელმაც შესძლო თავისი მუშაობის გარდაქმნა ამ თვალსაზრისით. სექტორის ოცამდე მეცნიერ მუშაკი (მათ შორის ერთი აკადემიკოსი, 3 მეცნიერების დოქტორი და 7 მეცნიერებათა კანდიდატი) მუშაობს შემდეგი მიმართულებით:

1) აკად. უზნაძის ნაშრომები („ფაშიზმის რასული თეორია“ და „ფაშისტურ ფსიქოლოგიაში პიროვნების ფსიქოლოგიური ტიპოლოგიის საკითხისათვის“ და პროფ. ვოიტონისის ნაშრომი („გერმანული ფაშიზმის იდეოლოგიის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური „დასაბუთება“) ამჟღავნებენ ფაშიზმის სიყალბეს და მის კაცთმოძულე ხასიათს.

2) ფსიქო-პათოლოგიის საკითხებზე გათვალისწინებულ მთელ რიგ ნაშრომებიდან შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: „მწყობრიდან გამოსულ წითელარმიელთა პროფესიული ვარგისიანობა“ (მეცნ. თანამშ. კვინიკაძე); „მეხსიერების დასუსტების სახეობანი ომის ვითარებაში“, (უფრ. მეცნ. თანამშ. ელიავა), რომელშიც ნაჩვენებია მეხსიერების აღდგენის ზოგიერთი საშუალება; „ფსიქო-

გენური ხასიათის ჰალუცინაციები" (უფრ. მეცნ. თანამშრ. მდივანი); „სიმულაციის არსის საკითხისათვის" (ბჟალავა) და რამდენიმე სხვა.

3) იმ ნაშრომებიდან, რომლებიც ეხება ბრძოლისა და საომარი მოქმედების ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, გამოირჩევიან შემდეგი ნაშრომები: „გმირობის ფსიქოლოგიური რაობა" (უფრ. მეცნ. თანამშ. რამიშვილი), რომელშიც სამამულო ომის სახელოვან გმირთა საბრძოლო საქმეების განხილვისა და ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ჭეშმარიტი გმირობის ფსიქოლოგიური საფუძვლები; ავტორი ეხება აგრეთვე გმირობის სულისკვეთებით აღზრდის ფსიქოლოგიის საკითხებს; „ნებისყოფა და სიმტკიცე, როგორც მებრძოლის ძირითადი თვისებები" (უფრ. მეცნ. თანამშრ. მოსიავა); „მეომრის საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმები" (უფრ. მეცნ. თანამშ. ხოჯავა); „ნებისყოფის ფაქტორი ბრძოლის სიტუაციაში" (პროფ. ნათაძე); „პანიკა, მისი ფსიქოლოგია და მასთან ბრძოლის საშუალებანი" (უფროსი მეცნ. თანამშ. ფრანგიშვილი) და სხვ.

4) სამხედრო ფსიქოლოგიის საკითხები ევროპასა და ამერიკაში. ამ მიმართულებით შესრულებულია უფრ. მეცნიერ თანამშრომლის ს. ხუნდაძის ნაშრომი „ფსიქოლოგია პირველ იმპერიალისტურ ომში და მისი შემდგომი განვითარების გზები"—მონაცემთა კრიტიკული ანალიზი და სამხედრო ფსიქოლოგიის ადგილის განსაზღვრა სამხედრო საქმის პრაქტიკაში.

5) სამამულო ომის ვითარებაში სკოლებისა და საბავშვო ბაღების მუშაობის გარდაქმნის პედაგოგიური საკითხები. დიდაქტიკური მასალა საბავშვო ბაღებისათვის დამუშავებული აქვს უფრ. მეცნიერ თანამშრომელ ხაჭაპურიძეს და მიღებულია განსახკომის მიერ.

ანალოგიურ მუშაობას ჰოსპიტალში ასრულებს აკად. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის ზოგადი ენათმცოდნეობის განყოფილება—ჯგუფი ლოგოპედებისა (კაიშაური, ასამბაძე და ექიმი ჩარგეიშვილი) აკად. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფი 1941 წ. ოქტომბრის თვიდან დიდ სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას ეწევა კონტუზებულ მებრძოლთა მეტყველების აღდგენისა და გასწორებისათვის: ორასზე მეტმა ლოგოპატმა მიიღო ესა თუ ის დახმარება ლოგოპედთა ამ ჯგუფისაგან.

სამამულო ომთან დაკავშირებით ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობაა ენის ინსტიტუტის ლექსიკოგრაფიისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მიერ (პროფ. თოფურია და პროფ. ბერიძე);

1) შედგენილია და სასწრაფო წესით გამოცემულია „რუსული ენის თვითმასწავლებელი" ქართველ წითელარმიელთათვის;

2) დამუშავებულია სამხედრო ტერმინოლოგია ქართულ ენაზე (4.000 ტერმინი);

3) შედგენილია და გამოცემულია სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის: „დაწყებითი სამხედრო მომზადება".

ბოლოს, საჭიროა აღინიშნოს რამდენიმე საჯარო ლექციის წაკითხვა განყოფილების, უმთავრესად ენისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების მიერ. ბევრი მათგანი, რომლებიც რამდენჯერმე იქნა განმეორებული სხვადასხვა ორგანიზაციებსა და აუდიტორიებში, სავსებით დამოუკიდებელი ღირებულების მქონეა, ნაწილი კი წარმოადგენს მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომებს.

უდავოა, რომ აკად. დ. უზნაძის ხელძღვანელობით წარმოებული მეცნიერული მუშაობა საბჭოთა ფსიქოლოგიის პრობლემებზე, აუცილებლად ღირსშე-

სანიშნავი მოვლენაა. მაგრამ მე მაინც მინდოდა მიმექცია ყურადღება ერთი გარემოებისადმი. შემოწმებით ირკვევა, რომ ფსიქოლოგიის სექტორი სუსტადაა დაკავშირებული ჩვენს სკოლებთან და ნაკლებადაა დაინტერესებული ფსიქოლოგიის პრაქტიკული საკითხებით სკოლაში. აუცილებლად მისასალმებელია, როდესაც ფსიქოლოგები სამამულო ომში მონაწილეთ აწვდიან სახელმძღვანელო მასალებს სიმულაციის არსის, პანიკიორობის დამღუპველი როლის, გმირობის ფსიქოლოგიური რაობისა და სხვ. შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს, მისი პრაქტიკული შედეგების მხრივ, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულია, ვინაიდან ცნობილია, რომ მოქალაქისა და პატრიოტისათვის საჭირო ნებისყოფისა და ყველა სხვა თვისების გამომუშავება გაცილებით ადვილია ბავშვებში. ამით მე არ მინდა ვისმეს გული ავუცრუო მეტად მნიშვნელოვან წამოწყებაზე. პირიქით, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიმაჩნია ჩვენმა ფსიქოლოგებმა მეტი კავშირი გააბან სკოლებთან, კერძოდ დაამუშაონ სიძნელეებთან ბრძოლის, ბავშვებში შეგნებული დისციპლინის გამომუშავების, ყურადღების განაწილების, საგნისადმი სიყვარულისა და სხვა საკითხები.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა მუშაობის გაძლიერებით უპასუხა დიდი სტალინის მოწოდებას ფრონტისათვის დახმარების შესახებ. კერძოდ, აკად. ს. ჯანაშიამ შეასრულა რიგი მეცნიერულ-პოპულარული შრომები: „ფაშისტი კაციჭამიების „რასული თეორია"; „ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და ღირსებისათვის"; „პატრიოტული მოძრაობანი ძველს საქართველოში"; „გერმანული ფაშიზმი ქართველ და კავკასიელ ხალხთა უბოროტესი მტერია"; აგრეთვე საგანგებო დავალებით დასწერა ისტორიულ-გეოგრაფიული და პოლიტიკური ნარკვევი.

პროფ. ნ. ბერძენიშვილმა დაბეჭდა ნარკვევი „თათართა ბატონობის ხანა საქართველოში" და წაიკითხა რიგი ლექციები სერიიდან: „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ". სამამულო ომის თემებზე მუშაობენ აგრეთვე ინსტიტუტის სხვა მეცნიერი თანამშრომლები.

უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია ჩვენში არქეოლოგიური გათხრების შედეგები საერთოდ და პროფ. კუფტინის შრომა კერძოდ, რაც საბოლოოდ, ძირშივე უარჰყოფს ფაშისტურ ცრუმეცნიერებას საბჭოთა ხალხის ისტორიულ-კულტურული წარსულის შესახებ.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი უკანასკნელი წლების მანძილზე მუშაობდა, გამოსაცემად დაამზადა და იბეჭდება შემდეგი შრომები: ამხ. ს. წულუკიძის რჩეულ თხზულებათა კრებული; დოკუმენტების კრებული გერმანელი ოკუპანტების შესახებ საქართველოში; არალეგალური სტამბების ისტორია; მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1871—1901 წლებში; ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციების კრებულის II ტომი და სხვ. გარდა ამისა გამოიცა აკად. გ. ხაჭაპურიძის ბროშურები სამამულო ომის საკითხებზე.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორია იმდენად ხანგრძლივი და მდიდარია, რომ ამ მემკვიდრეობის გამოკვლევისა და ათვისების ხაზით გაკეთებულით დაკმაყოფილებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

იმისათვის, რომ გაცამტვერებულ იქნას ფაშისტების ცრუ იდეოლოგია და ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაცია (თითქოს შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული იყოს მხოლოდ ჩრდილოეთის, ე. ი. გერმანელების რასა და სხვა), საჭიროა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს ისტორიის დარგის მუშაკებს დაევალოს საერთოდ მეცნიერულად გამოიკვლიონ, შეისწავლონ და გამოაქვეყნონ ნაშრომები იმის შესახებ, თუ რა ორიგინალური წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა კაცობრიობის განვითარებაში—სოფლის მეურნეობისა და ტექნიკის პროგრესში, ბუნების ძალთა დაუფლებაში (მეცნიერებისა და ცხოველთა მოშინაურება—შერჩევა, მეტალურგიის განვითარება, ხელოსნობისა და სხვა დარგების განვითარება), სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში, ადამიანისა და საზოგადოების განთავისუფლებაში უმეცრების, ცრუმორწმუნეობისა და კაცთმოძულეობის ტყვეობისაგან და სხვ. საჭიროა აგრეთვე გაღრმავდეს მუშაობა ქართველი და სხვა მოძმე ხალხების გმირული წარსულის მეცნიერული ჩვენებისათვის, კერძოდ ჩვენი სახელოვანი წინაპრების პორტრეტების შესაქმნელად.

ცხადია, არ შეიძლება განვისაზღვროთ მხოლოდ შორეული ისტორიული წარსულით. საჭიროა არქივებმა ახლავე გაშალონ მუშაობა სამამულო ომში საქართველოს მშრომელთა მონაწილეობის დოკუმენტების შესაგროვებლად.

მეტად მნიშვნელოვანი იქნება ვაჩვენოთ, როგორ მიისწრაფოდნენ ყოველთვის ისტორიაში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები იმისაკენ, რომ მოეპოვებინათ თავისი ქვეყნისათვის ძლიერი და უანგარო მეგობრები, და როგორ განხორციელდა ეს საუკუნეობრივი ოცნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობაში.

ჩვენს აკადემიას დასახული ჰქონდა მეტად საინტერესო იდეა: გამოეცა კრებული „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში"; მაგრამ რატომღაც ეს განზრახვა ვერ შესრულდა. საჭიროა ეს წიგნი გამოიცეს ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავისათვის. ესეც ლახვარს ჩასცემს გულში ფაშისტ ფალსიფიკატორებს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მუშათა კლასის ისტორიის შესწავლა და გაცნობა, მუშების წარსულ ცხოვრებაში ჩახედვა, როცა ისინი ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ და იბრძოდნენ სრულიად სხვა პირობებში, უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს საბჭოთა მკითხველებში. მაგრამ ეს ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება, ის გაცილებით უფრო ცხოველი და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ხდება, როცა ჩვენ ვიკვლევთ და ვსწავლობთ საქართველოს მუშათა კლასის ისტორიას. ეს აიხსნება იმით, რომ მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში, მისი ჩასახვის, აღორძინებისა და ფართოდ გაშლის პერიოდში სათავეში ედგა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მეცნიერი დიდი სტალინი.

ისტორიამ არ იცის მეორე ისეთი პარტია, როგორც ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტია, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა რევოლუციის და სოციალიზმისა, პარტია, რომელმაც შეგნებულად, წინასწარი მომზადებით, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე, ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა უზარმაზარი, მრავალფეროვანი, კულტურის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა სახელმწიფო—ყოფილი რუსეთის იმპერია სოციალისტურ საწყისებზე და მოაწყო ახალი ტიპის სახელმწიფო. ამიტომ გასაგებია, რომ თვითეული მუშა, მშრომელი, მეცნიერი მოწოდებულია შეისწავლოს ბოლშევიკების პარტიის გმირული ისტორია.

* * *

მიმდინარე მომენტი აკადემიური მეცნიერების ყველა დარგისაგან ერთ რაიმეს მოითხოვს: მეცნიერების მუშაობა მთლიანად უნდა დაუკავშირდეს სამამულო ომის საბრძოლო ამოცანებს. ფაშიზმის იდეოლოგიის განადგურება ისევე აუცილებელია, როგორც მისი სამხედრო ძლიერების მოსპობა. შეიძლება ითქვას, რომ იდეოლოგიის არცერთ სხვა დარგს იმდენის გაკეთება არ შეუძლია ამისათვის, რაოდენიც ფილოსოფიას.

ფაშიზმი, როგორც ყველაზე ავაზაკ იმპერიალიზმის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, თავის თავს ახალ ფილოსოფიად აცხადებს. რასიზმის დემაგოგია ცდილობს უარჰყოს ფილოსოფიის კლასიციზმი და თავისი თავი მოგვაჩვენოს უმაღლეს და უკანასკნელ სიბრძნედ. სწორედ ამიტომ, ფაშისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, ფილოსოფიის პოზიციებიდან უნდა სწარმოებდეს. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, როგორც ისტორიული მემკვიდრე და დამცველი ფილოსოფიური აზრის კლასიკური ტრადიციებისა, ნათლად ასაბუთებს, რომ ფაშიზმი არ არის კანონიერი მემკვიდრე კლასიკური ფილოსოფიისა; პირიქით, იგი მტერია მისი. ამიტომ ჩვენი ფილოსოფიური დარგის მუშაკები სწორედ ამ ომის მიმდინარეობისას ინტენსიურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ ფილოსოფიის მეთოდოლოგიური და სისტემატური საკითხების კვლევის დარგში, ერთის მხრივ, და ფილოსოფიური აზრის ისტორიის სწორი ათვისებისა და გამოყენების სფეროში, მეორეს მხრივ. საქართველოში ამ მუშაობის ინტენსიური გაშლისათვის არსებობს ყოველმხრივი შესაძლებლობა. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ფილოსოფიურ აზროვნებას მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. ქართული ფილოსოფიური მოძღვრება აღმოცენდა და განვითარდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიურ აზრთა საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის შემოტანა და დიდი სტალინის როლი მარქსისტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ქართულ ენაზე შექმნასა და განვითარებაში. საკითხი ისმება: როგორ ვიყენებთ ჩვენ ამ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას?

უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე საქართველოში ფილოსოფიურ ფრონტზე მუშაობდა ბევრი თქვენთვის ცნობილი მეცნიერი მუშაკი, რომლებიც არა მარტო იბრძოდნენ მარქსისტული ფილოსოფიისა და მატერიალისტური თეორიის დასაცავად, არამედ მარქსისტულ მსოფლმხედველობის პროპაგანდას ეწეოდნენ. ასეთები არიან პროფესორები პეტრე შარია, შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. ყაუხჩიშვილი; ახალგაზრდებიდან დოცენტები: ა. ქუთელია, ს. წერეთელი, ი. ფანცხავა, ა. თავაძე, გ. კალანდარაშვილი და სხვ. ამ ამხანაგების მიერ უკვე დამუშავებული და დაბეჭდილია მთელი რიგი ნარკვევები ფილოსოფიურ საკითხებზე; დაიბეჭდა მეტად სერიოზული მეცნიერული ნაშრომები ფილოსოფიის ისტორიაში და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისების საკითხებზე.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული საერთოდ და ქართული ფილოსოფიის პრობლემების გამოკვლევა-დამუშავების მხრივ კერძოდ.

საბჭოთა ხალხი დღეს ატარებს მთელ რიგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, მიმართულს გერმანული ფაშიზმის საბოლოო განადგურებისაკენ. აქედან გამომდინარე, ფილოსოფიის ფრონტზე მომუშავეთა წინაშე თეორიული საკით-

ხების მეცნიერული დამუშავების ამოცანები კიდევ უფრო მეტი აქტუალობით ისმის. საჭიროა დიალექტიკური მატერიალიზმის ფართო გამოყენებით, საზოგადოების განვითარების კანონების ღრმად შესწავლის საფუძველზე, ფილოსოფიის დარგის მუშაკებმა გამოავლინონ ფაშისტური გერმანიის მიერ წარმოებული ომის შინაგანი მწვავე წინააღმდეგობანი, რომლებსაც ფაშისტური ბლოკი აუცილებელი დაღუპვისაკენ მიჰყავს.

ჩვენმა ფილოსოფიურმა ძალებმა მეცნიერულად უნდა დაამუშაონ საკითხები ანტიჰიტლერული დემოკრატიული ქვეყნების ფრონტის აუცილებლობისა და კანონზომიერების შესახებ, წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისიის შესახებ ჩვენს სამამულო ომში და ყოველივე ამით კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა ხალხში ვერაგ მტერზე გამარჯვების რწმენა.

დღევანდელი ომი და მეცნიერების განვითარება იძლევა აუარებელ მასალას, რომლის მეცნიერული შესწავლა და განზოგადება ფილოსოფიის მუშაკებს საფუძველს მისცემს კიდევ უფრო განავითარონ ლენინურ-სტალინური დიალექტიკური მეთოდი, უზრუნველჰყონ მატერიალისტური დიალექტიკისა და ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების შემდგომი დამუშავება.

სამწუხაროდ, ჯერ არცერთ ჩვენს მეცნიერ მუშაკს ფილოსოფიის დარგიდან არ უცდია დაემუშავებინა თემა მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენების შესახებ ომის საკითხში. საჭიროა ეს ხარვეზი, ჩვენს სამამულო ომთან დაკავშირებით, შევსებულ იქნას.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ისეთი პრობლემების დამუშავებას და პოპულიარიზაციას, როგორიცაა:

1) სტალინის ბრძოლა 1905-1907 წწ. პარტიის თეორიული საფუძვლებისათვის (ქართული მასალების მიხედვით). 2) ფორმისა და შინაარსის კატეგორია სტალინის მიხედვით; 3) მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება წინააღმდეგობისა და ანტაგონიზმის შესახებ; 4) ლენინისა და სტალინის მოძღვრება სამართლიანობისა და უსამართლობის შესახებ; 5) სტალინის მოძღვრება ნაციის შესახებ; 6) მოძღვრება მატერიისა და მოძრაობის შესახებ; 7) ლენინი და სტალინი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ, და საერთოდ პატრიოტული თემების დამუშავება საქართველოს ისტორიის მასალების საფუძველზე.

აგრეთვე აუცილებელია ჩვენი კვლევითი მუშაობა წარვმართოთ საქართველოს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლის მიმართულებით. ამ მხრივ მეტად საინტერესო იქნება დამუშავდეს შემდეგი პრობლემები: 1) რენესანსი და გვიანი რენესანსი საქართველოში; 2) არსენ იყალთოელი; 3) დოდაშვილის ფილოსოფიურ საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა; 4) ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი; 5) ჩერნიშევსკი და ქართული ინტელიგენცია; 6) პლეხანოვის გამოსვლა ქართულ პრესაში და სხვ.

განსაკუთრებით უნდა ითქვას საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის შესახებ. შეიძლება თუ არა ჩვენი ძალებით დაიწეროს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორია საზოგადოდ და ძველი ხანისა კერძოდ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოლექტიურად შესაძლებელია ასეთი შრომის დაძლევა. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა ამ მხრივ გადადგა პირველი ნაბიჯი. მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკთა კოლექტივმა შეადგინა კიდეც სამუშაო გეგმა. საჭიროა მუშაობის გაგრძელება და ესოდენ მნიშვნელოვანი ნაშრომის შექმნა. ამ საქმეს დროულად უნდა მოჰკიდონ

ხელი ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის დარგის მუშაკებმა, რომლებმაც ყველა ამ საკითხის დამუშავება სათანადო კალაპოტში უნდა ჩააყენონ.

ფაშისტური რასისტული პროპაგანდისათვის კულტურის ისტორიის სფეროში, მომაკვდინებელი ლახვარი იქნება ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის კვლევა საერთოდ და მისი ფილოსოფიის ისტორიის გამოკვლევა კერძოდ.

ფაშიზმის „იდეოლოგია", რომელიც ეყრდნობა ფსიქიურად შეშლილ ნიცშეს ფილოსოფიას, ცდილობს დაამტკიცოს „დაბალ" რასაზე „ჩრეული" რასის ბატონობისა და ტირანიის გარდუვალობა და კანონზომიერება. ფაშისტურ „მსოფლმხედველობაში" მეცნიერების ნატამალიც კი არაა და მისი რეაქციულ-კლასობრივი დედაარსიც ყველასათვის ცხადია. მიუხედავად ამისა, ფაშისტური პარტია ყველა ზომას ხმარობს იმისათვის, რომ ფართოდ გამოიყენოს მასების გასაბრუებლად ეს ცრუ მეცნიერება და სისტემატურად ეწევა ე. წ. „ზეადამიანის" ილუზიებისა და მითების განმამტკიცებელ ფაბრიკაციას. ამიტომ ფილოსოფიის მუშაკების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ფაშისტური რასიზმის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაციის ყოველდღიური გამომჟღავნება. ჩვენთვის აქ საუკეთესო საშუალებაა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ფართო მეცნიერული პროპაგანდა. ამ მხრივ აუცილებელია დამუშავებულ იქნას ისეთი საკითხები, როგორიცაა: 1) გერმანული ფაშიზმი—ევროპული ცივილიზაციის უბოროტესი მტერი; 2) რასიზმის დემაგოგია და თანამედროვე მეცნიერება; 3) ფაშიზმი და ნიცშე; 4) ფაშიზმი და კლასიკური გერმანული ფილოსოფია; 5) ფაშიზმი და აღმოსავლეთის კულტურა; 6) ჰიტლერიზმის ფსევდონაციონალიზმი და სხვ.

საკითხი ისმის: ვინ, რომელმა ორგანომ უნდა უხელმძღვანელოს მეცნიერულ მუშაობას ფილოსოფიურ ფრონტზე? როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ჯერჯერობით არ არსებობს ფილოსოფიის ინსტიტუტი ან სექტორი.

სამაგიეროდ, თბილისის სტალინის სახ. უნივერსიტეტთან არსებობს ფილოსოფიის ფაკულტეტი, ფილოსოფიის ისტორიის კათედრითურთ.

საჭიროა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კ. ბაქრაძემ და კათედრის ხელმძღვანელმა პროფ. მ. გოგიბერიძემ უფრო ფართოდ გამოიყენონ ეს ორგანო და იქ გაერთიანებული ფილოსოფიური კადრები და თავიანთი კვლევითი მუშაობა მოანდომონ ამ აქტუალური პრობლემების დამუშავებას, რაც თავისთავად მოამზადებს ნიადაგს ფილოსოფიის ინსტიტუტის ან სექტორის შესაქმნელად მეცნიერებათა აკადემიასთან.

* * *

ფილოსოფიის მონათესავე დარგში — პედაგოგიკაში, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში, ჯერ კიდევ ვერ არის გამოყენებული ყველა შესაძლებლობა მტრის დამარცხების ამოცანებთან დაკავშირებით. მართალია, ქართველმა პედაგოგებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პედაგოგიური იდეების შესწავლისა და პოპულარიზაციის დარგში. პროფ. მ. თავზიშვილის და გ. კიკნაძის რედაქციით დაიბეჭდა კრებული „ლენინი და სტალინი სახალხო განათლების შესახებ"; გ. თავზიშვილის რედაქციით გამზადებულია გამოსაცემად „მარქსი და ენგელსი სახალხო განათლების შესახებ"; ჩვენი პედაგოგები აგრეთვე წარ-

მატებით ამუშავებენ მთელ რიგ პრაქტიკულ-მეთოდურ საკითხებს მასწავლებლობის დასახმარებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მხედველობაში მაქვს გ. კიკნაძის, დ. ლორთქიფანიძის, დ. ყიფშიძის, უ. ობოლაძის, ტ. სარიშვილის, ვ. ფრანგიშვილის, ფოფხაძისა და სხვ. ბროშურები და სტატიები. მაგრამ ეს საკმაო არაა.

თანამედროვე პედაგოგიკამ, როგორც ერთ-ერთმა მოწინავე საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს, უფრო ნათლად და გარკვევით უნდა გაითვალისწინოს მის წინაშე მდგომი ამოცანები.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ჩვენმა საბჭოთა პედაგოგიკამ დაამუშაოს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის აქტუალური საკითხები: სამშობლოს მგზნებარე სიყვარულისა და მისთვის თავდადების გრძნობის აღზრდა სკოლის სხვადასხვა გაკვეთილებზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღზრდის პირობებში და ოჯახში; საქართველოს გმირული წარსულის, მისი მდიდარი აწმყოსა და წარმტაცი მომავლის გამოყენება პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისით; გმირობის, სიმამაცისა და გამბედაობის თვისებათა და მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის აღზრდა; სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური სოლიდარობის სულისკვეთებისა და საბჭოთა ჰუმანიზმის გამომუშავება; მტრისადმი ულმობლობისა და ზიზღის გრძნობის განმტკიცება და სხვა ამგვარი საკითხები.

ჩვენმა პედაგოგებმა უნდა მოგვცენ არა ზოგადი მითითებანი ამ მხრივ, არამედ ნათლად გაარკვიონ ამ ამოცანების გადაჭრის მეთოდები და კონკრეტული ღონისძიებანი.

მეორე მხრით, ჩვენმა საბჭოთა პედაგოგიკამ ნათლად უნდა გამოააშკარავოს ფაშისტური პედაგოგიკისა და აღზრდის სისტემის ბარბაროსული ბუნება. საჭიროა ახალი მასალებისა და წყაროების მიხედვით გაირკვეს ფაშისტური პედაგოგიკის ანტიმეცნიერულ-რეაქციული არსი, მისი შოვინისტურ-კანიბალური ხასიათი და ის პრინციპები და მეთოდები, რომლებითაც გერმანელი ახალგაზრდობა მიჰყავთ სულიერ და ფიზიკურ გადაგვარებამდე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გამოაშკარავებულ იქნას გერმანელი ახალგაზრდობის ორგანიზაციების—„იუნგფოლკის“ და „ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირის“ ფაშისტურ-რეაქციული ბუნება. ამის გარდა, გარჩეულ უნდა იქნას თანამედროვე ფაშისტური პედაგოგიკის „თეორეტიკოსები“—ე. კრიკი, ნეიენდორფი (გერმანია) ჯ. ჯენტილე (იტალია) და სხვანი, იმ თვალსაზრისით, რომ მათ მაგალითზე ნაჩვენები იქნას ფაშისტური პედაგოგიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების მთელი სიმახინჯე და სიყალბე.

აუცილებელია სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით ჩვენმა პედაგოგიკამ დაამუშაოს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ორგანიზაციის საკითხები როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლებისათვის.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა თემა პედაგოგიკის თეორიიდან და პედაგოგიკის ისტორიიდან უნდა ითვალისწინებდეს ერთი მხრით ფაშისტური პედაგოგიკისა და აღზრდის სისტემის ანტიმეცნიერულ-ბარბაროსული ბუნების გამოაშკარავებას, ხოლო, მეორე მხრით, სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადებული და მაღალ-კვალიფიციური კადრების აღზრდა-განათლებისა და ჩვენი მასწავლებლობის კადრების პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების საქმეს.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში პედაგოგიკას, როგორც მეცნიერებას,

საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. საჭიროა ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა და გამოცემა. ამ საკითხებზე მუშაობს პროფ. გ. თავზიშვილი.

* * *

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს ჰყავს პედაგოგ და მეცნიერ მუშაკთა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი, რომელიც, სათანადო ხელმძღვანელობით, უდავოთ შესძლებს ღირსეულად შეასრულოს თავისი ამოცანები. ეს ფაკულტეტი მოვალეა, კადრების მომზადებასთან ერთად, უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისათვის მთელი რიგი საკითხების დამუშავება (საქართველოს ეკონომიკიდან) და პრაქტიკულად განხორციელების მიზნით სათანადო ორგანოებში მათი დაცვა და დასაბუთება. განათლების საქმეში მას უდაოდ გარკვეული წარმატებებიც აქვს. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში (კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ადმინისტრატიულ და სხვ. საბჭოთა ორგანიზაციებში) ამჟამად მუშაობს 2.500 მეტი უმაღლესი განათლების მქონე ეკონომისტი. ცნობილია ისიც, თუ რაოდენ დიდია ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების სულ ზრდადი მოთხოვნილება უმაღლესი განათლების მქონე ეკონომისტებზე (სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მრეწველობის დარგში—მგეგმავებზე, სტატისტიკოსებზე, ბუხჰალტრებზე და სხვ.).

ამავე დროს უნივერსიტეტში, სხვა ფაკულტეტებთან შედარებით, უფრო მეტად ამცირებენ ეკონომიკის ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის ფაკულტეტი მთელს რესპუბლიკაში ერთადერთია, რომელიც უმაღლესი განათლების ეკონომისტებს ამზადებს.

მაგრამ მიუხედავად ამისა თანამედროვე მოთხოვნილებასთან შედარებით, ეკონომიურ განათლებაზე უფრო მეტად ჩამორჩენილია ჩვენში ეკონომიური კვლევითი-მეცნიერული მუშაობა.

ჩვენმა ეკონომისტებმა მნიშვნელოვანი მეცნიერული მუშაობა გასწიეს; აღსანიშნავია მაგალითად, შრომები საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების და საერთოდ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ისტორიის საკითხებზე; აგრეთვე ფულისა და კრედიტის, საქართველოს მრეწველობის ეკონომიკის, აღრიცხვისა და სხვ. საკითხებზე. ამ შრომათა ავტორებია პროფ. პ. გუგუშვილი, პროფ. ნ. ქოიავა, დოცენტები: ი. მიქელაძე, გ. გამყრელიძე, ა. ინწკირველი, ლ. კარბელაშვილი, ვ. ბახტაძე, გ. მეგრელიშვილი და სხვ. აღსანიშნავია ის ნაყოფიერი მუშაობა, რაც პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა შეასრულა კ. მარქსის ძირითადი ეკონომიური შრომების („კაპიტალის" ტომები და სხვ.); გერმანულიდან ქართულად თარგმნის სახით. რამდენიმე წელიწადია, რაც ეკონომისტთა ჯგუფი ეკონომიკის კაბინეტის ხელმძღვანელობით საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად გამოსაცემად ამზადებს რუსულ-ქართულ ეკონომიურ ტერმინოლოგიას. ეს მუშაობა ამჟამად თითქმის დამთავრებულია.

ეს მაშინ, როდესაც საქართველოს სახალხო მეურნეობა მთლიანად, ხოლო მისი სპეციფიკური დარგები კერძოდ, ეკონომიური მეცნიერების წინაშე აყენებენ ფრიად დიდ და მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკური პრობლემების შესწავლა და გადაჭრა, ცხადია, უნდა სწარმოებდეს თვით საქართველოში (ყოველ შემთხვევაში, მათი შესწავლა სპეციალურად არ სწარმოებს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში).

სწორედ ამ მხრივ ქართული ეკონომიური მეცნიერება მოწოდებულია შეა-

სრულოს რთული და სავსებით დამოუკიდებელი თეორიული დაკვირვებანი სოციალისტური ეკონომიკის ზოგიერთი—ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის სპეციფიკური—პრობლემის შესწავლის საქმეში. ამგვარ ეკონომიურ პრობლემათა შესწავლა არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ჩვენი სახალხო მეურნეობის სათანადო დარგთა შემდგომს განვითარებას, არამედ ხელს შეუწყობს აგრეთვე თვით ეკონომიური მეცნიერებისა და ეკონომისტთა კადრების თვისობრივი დონის შემდგომს ამაღლებასაც.

საქართველოს ეკონომიკის ასეთ სპეციფიკურ დარგთა შორის, მაგალითად, შეიძლება დასახელებულ იქნას: 1. **მრეწველობის ეკონომიკაში:** 1. მარგანეცის, ჩაის და აბრეშუმის მრეწველობის ეკონომიკა;

სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს სუბტროპიკული და ჩაის კულტურის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, კოლხიდისა და სამგორის შემდგომი ათვისების, მილიონერ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებმა და სხვ.;

უფრო ზოგადი საკითხებიდან: 1. სამუშაო ძალის განლაგება; 2. შრომის სოციალისტური ფორმები (სტახანოვური მოძრაობა, ათასოვანთა მოძრაობა); 3. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის გაშუქება და სხვ.

ამ საკითხებისა და ჩვენი საბჭოთა ეკონომიკის სხვა აქტუალური პრობლემების გარდა, ნედლეულის ახალი რესურსების შესწავლას სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამამულო ომის პირობებში (დროებით ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებულ საწარმოთათვის ნორმალური მუშაობის შესაფერი ვითარების შექმნა და სხვ.). ადგილობრივი ინიციატივისა და ყოველგვარი ადგილობრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობის საკითხების გაშუქება ეკონომისტთა მიერ, ცხადია, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ზრდას.

რესპუბლიკაში სხვა ეკონომიურ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის არარსებობის პირობებში, სანამ ასეთი შეიქმნებოდეს, პოლიტიკური ეკონომიის კათედრა და მასთან არსებული ეკონომიკის კაბინეტი ფაქტიურად უნდა გადაიქცეს ისეთ ორგანიზაციად, რომელიც თავს მოუყრის და მთლიანი კომპლექსური მუშაობის გეგმით უხელმძღვანელებს საბჭოთა ეკონომიკის აქტუალური საკითხების დამუშავებას, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკის სპეციალურ პრობლემათა შესწავლა-დამუშავებას სამამულო ომის პირობების შესაბამისად.

ამ ამოცანათა განხორციელების მიზნით, ეკონომიკის კაბინეტს უნდა ჰყავდეს მეცნიერი თანამშრომლები და შეეძლოს აქტუალური თემების დამუშავებაში, სათანადო ხელშეკრულებათა საფუძველზე, არათანამშრომელ სპეციალისტთა ჩაბმაც. ეკონომიკის კაბინეტი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან (სახ. კომისარიატები, ტრესტები, დარგობრივი გაერთიანებანი და სხვ.). ეკონომიკის კაბინეტისა და ეკონომიკის ფაკულტეტის კავშირს სამეურნეო ორგანიზაციებთან უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო საგეგმო კომისია.

4. ფაკულტეტის ცალკეულმა კათედრებმა მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩასთვალონ ადგილობრივი ნედლეულის გამონახვისა და გადამუშავების ორგანიზაცია.

5. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საქ. ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის ეკონომიკის შესწავლის საქმეს, გეგმიანობის გაუმჯობე-

სების საქმეს მეურნეობის ამ დარგებში (შრომის უკეთესი ორგანიზაცია, თვითღირებულების შემცირების გზები, შრომის ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებანი, ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების გაფართოება და სხვ.); საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა მაქსიმალურ გამოყენებას და ამ მიზნით იმ ღონისძიებათა დასაბუთებას, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საქართველოს მრეწველობისათვის უცნობ საგანთა წარმოების ორგანიზაციას ადგილობრივი მოხმარების სრული დაკმაყოფილების გათვალისწინებით (მარილი, საპონი, ასანთი, ჰურჰლეულობა და სხვ.).

აღსანიშნავია საქ. მეცნიერებათა აკადემიის ცდა ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებით ფრიად მაღალხარისხოვანი ფაიფურისა და ფაიანსის ჰურჰლეულის მიღების საქმეში. ეკონომისტებმა უნდა დაამუშაონ ღონისძიებანი ამ სახის წარმოების მაქსიმალური განვითარებისათვის საქართველოში. მათ აგრეთვე ხელი უნდა მოჰკიდონ ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავებას საქართველოში, როგორიცაა საწარმოო ძალთა განლაგება, ნედლეულისა და წარმოების ბაზების დაახლოება და სხვ.

* * *

ამხანაგებო! ცხოვრებაში მუდამ რაღაც იბადება, იზრდება და რაღაც კვდება, ამიტომ ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს ახალი და ძველი.

დიალექტიკოს-მეცნიერის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად ხედავდეს, როდის რა იბადება, რა მიდის უკან, რა კვდება და ჰკარგავს ნიადაგს, მიუხედავად იმისა, რომ ის, რაც კვდება, ამ მომენტში უფრო ძლიერია, ხოლო რაც იბადება, ჯერ კიდევ სუსტია.

ისტორია გვასწავლის, რომ ყოველივე ახალს კაცობრიობის ცხოვრებაში და განვითარებაში მტერი ჰყოლია (ძველის სახით). ამბობენ, რომ ვინც პირველად ფანდური გამოიგონა და ზედ სიმღერა დაამღერა, მასაც მტერი გასჩენია და ის ანტიღვთაებრივ კაცად გამოუცხადებიათ. მაგრამ ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ არასოდეს ახალზე ძველს არ გაუმარჯვნია. საზოგადოებრივი განვითარება ობიექტურად აუცილებელი კანონზომიერების გზით მიდიოდა და ახალი ყოველთვის სცვლიდა ძველს. იმ მეფანდურესაც გაუმარჯვნია და დღეს მუსიკა ადამიანის გრძნობებისა და მორალის უდიდეს მაორგანიზებელ ძალას წარმოადგენს.

ჩვენი ხელისუფლება, საბჭოების რესპუბლიკა, სოციალიზმის ქვეყანა ახალი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში და მასაც ჰყავს დაუძინებელი მტერი კაციჰამია ფაშიზმის სახით. უკვე სრული ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ფაშიზმი თავით ფეხამდე შეიარაღებული გვებრძვის ჩვენ, ახალი იდეების შემქმნელ და მატარებელ ხალხს.

ომის ერთი წელი თანამედროვე ტექნიკის პირობებში ჩვეულებრივ ათეულ წლებს უდრის. და რა მოხდა? ისტორია ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა. დიდი მთავარსარდლის, უდიდესი მეცნიერის სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ გაანადგურა მტრის მოწინავე და გამოცდილი არმია. ახლა სწარმოებს ბრძოლა ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის. ფაშისტებისათვის მოულოდნელად, მთელი საბჭოთა ხალხი ისე, როგორც არასოდეს წინათ, დაირაზმა ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინის გარშემო. მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული ქვეყნები—დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვანი—დადგნენ საბჭოთა კავშირის მხარეზე ჰიტლერიზმის წინა-

აღმდეგ. ყოველივე ეს იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ ფაშისტური ბლოკი ევროპაში განადგურებული იქნება. მაგრამ ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ დავძაბოთ ჩვენი შემოქმედებითი ენერგია და უნარი. საჭიროა, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკებმა მაღალხარისხოვნად და დროულად შეასრულოთ ამ მეცნიერებათა წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანები.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, ბოლშევიზმის იდეური შინაარსის შეთვისება—ეს ჩვენი შემდგომი ძლევამოსილი წინსვლის საფუძველია, ვინაიდან თვითეულ მშრომელს დღეს სურს იყოს არა უბრალო მექანიკური მონაწილე ჩვენი დიადი მშენებლობისა და ბრძოლებისა, არამედ სურს და კიდევაც უნდა იყოს მისი შეგნებული მონაწილე, ისეთი მონაწილე, რომელსაც ესმის თანამედროვე მოვლენების შინაგანი კავშირი, ესმის არა მარტო ის, თუ როგორ შეიქმნა სოციალისტური სინამდვილე, არამედ ნათლად წარმოუდგენია ჩვენი ახლო განვითარების პერსპექტივებიც, რომელსაც შეუძლია წინ გაიხედოს და რომელმაც იცის ჩვენი შემდგომი ძლევამოსილი წინსვლის გზები.

დიდია, ამხანაგებო, ჩვენი ამოცანები სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე, დიდია ამოცანები ჩვენი ძვირფასი სამშობლოს თავდაცვის საქმეში. იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავანადგუროთ ფაშისტები და გავათავისუფლოთ კაცობრიობა ბარბაროსთა კლანჭებისაგან, ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვიზრუნოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი არმიის, ფლოტისა და ავიაციის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მივცეთ მთელი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება დიდი სტალინის საქმეს!

პროფ. კონსტანტინე კაპანელი

გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურის უბოროტესი მტრებია

„ამბობენ, გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურის მატარებლები არიან, რომელნიც ომს ამ კულტურის სხვა ქვეყნებში გასავრცელებლად ეწევიანო. ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა. მხოლოდ პროფესიონალ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც სახრჩობელებით მოჰფინეს ევროპა, რომლებიც სძარცვავენ და აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, ცეცხლს უკიდებენ და აფეთქებენ ქალაქებსა და სოფლებს და ანგრევენ ევროპის ხალხთა კულტურულ საუნჯეებს,—შეიძლება ევროპული კულტურის მატარებლები იყვნენ. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები ევროპული კულტურის მტრები არიან, ხოლო გერმანელთა არმია შუასაუკუნეების ბნელეთის მოციქულთა არმიაა, რომელიც მოწოდებულია გაანადგუროს ევროპული კულტურა გერმანელი ბანკირებისა და ბარონების მონათმფლობელური „კულტურის“ დასანერგავად“.

ი. სტალინი

პირსისხლიანი ჰიტლერელები თავიანთ თავს ასაღებენ ევროპის კულტურის მატარებლებად, მაგრამ, სინამდვილეში ისინი კულტურისა და მეცნიერების დაუძინებელი მტრები არიან. თვითონ ჰიტლერი ცინიკურად გაიძახის რომ „განათლება და ცოდნა წარმოადგენენ ბატონებისათვის გარკვეულ საფრთხეს. მაგრამ, სხვა აზრითაც ეს წარმოადგენს დიდ საფრთხეს მონათა ფენების შენარჩუნებისათვის; საყოველთაო განათლების იდეებმა დრო მოჭამა“. საყოველთაო განათლება გერმანელ მონათმფლობელებისათვის საფრთხეს წარმოადგენს. ჰიტლერელმა მოიერიშემ პოლონეთის დელეგაციას, რომელიც ითხოვდა საშუალო სკოლების გახსნას, ასე უპასუხა: „იმისათვის, რომ თქვენმა ბავშვებმა კარტოფილი დარგონ, არავითარი განათლება საჭირო არ არის“. ფაშისტების პირსისხლიანი ობერბანდიტი ჰიტლერი ასეთ დარიგებას იძლევა, როდესაც ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ ლაპარაკობს: „მე მინდა აღვზარდო მკაცრი, წამგლეჯი, შეუბრალებელი ახალგაზრდობა; მასში არ უნდა იყოს არაფერი სუსტი, ნაზი; ის უნდა იყოს როკორც თავაშვებული, შემტევი, გაუმაძღარი მხეცი“.

ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა ფაშისტურ გერმანიაში, ამბობს: „ყველაზე საშინელი, რაც მე ვნახე გერმანიაში, ეს არის ჰიტლერელი ახალგაზრდობა; პირველად მე ისინი ვნახე გერმანია-პრუსიის საზღვარზე, 50 კაცი ჰიტლერელები იდგა რკინიგზის პლატფორმაზე,—მღეროდნენ სიმღერას „გერმანია ყველაზე დიდი“ და ვესსელის ლექსებს; სიმღერის დროს მათი თვალები ბრაზით ელავდნენ, ხოლო სიტყვებს ისინი ამბობდნენ აუხსნელი და შხამიანი ხმით; მათი სახეები არ გავდა ბავშვთა სახეებს, სახეებზე ეწერათ

შეუბრალებლობა, თავხედობა, სიტლანქე; იმ აზრზე, რომელიც დამებადა ამ ბავშვების დანიშნულების შესახებ, მე შევკრთი; არცერთმა მათგანმა არაფერი იცის გარეშე ქვეყნის შესახებ, გარდა იმისა, რაც ჩააგონეს მათ ჰიტლერმა და ჰიტლერელებმა, მათ ასწავლიდნენ დემოკრატიისადმი ზიზღს, სხვა ხალხების სიძულვილს და რწმენას, რომ ისინი იქნებიან მომავალში ევროპის და მთელი ქვეყნის ბატონები. ყველა ისინი იყვნენ 12—14 წლის, როგორ გამოიხედავენ ისინი ხუთი წლის შემდეგ?—ეკითხება თავის თავს ამერიკელი ჟურნალისტი.

ეს ის ახალგაზრდობაა, რომელიც ამჟამად ანგრევს, ათახსირებს კულტურისა და მეცნიერების ევროპას, დემოკრატიზმისა და ხელოვნების ევროპას: „მე ვანთავისუფლებ ადამიანს,—ამბობს პირსისხლიანი ჰიტლერი,—იმ დამამცირებელ ქიმერისაგან, რომელსაც ჰქვიან სინდისი; სინდისი, ისე, როგორც განათლება ამახინჯებს ადამიანს, მე ის უპირატესობა მაქვს, რომ ვერ შემაჩერებენ ვერავითარი მოსაზრებანი"...

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ფაშისტური შეხედულება განათლებისა და სინდისის შესახებ გარკვეულია: არც განათლება და არც სინდისი საჭირო არ არის. მაშ რა არის საჭირო?—ველურობა; ადამიანმა უნდა დაივიწყოს კულტურა, მეცნიერება, სინდისი და გახდეს ველური, შეუბრალებელი უსინდისო.

ამერიკელმა ჟურნალისტმა ჰატლერელი ახალგაზრდობის თვალებიდან ამოიკითხა, რომ ამ ახალგაზრდობას ახასიათებს უვიცობა და სიტლანქე, მას არავითარი სწორი წარმოდგენა ქვეყნის შესახებ არა აქვს.

ვინმე ფაშისტი ფონ ენგელბრეხტი ამბობს: „ჩვენ ვაფურთხებთ ყოველგვარ კულტურას. დეე იყოს ის რაც შეიძლება ძველი, ჩვენ ვაფურთხებთ ყოველგვარ ღირებულებას, ყოველგვარ დასამარებულსა და ზედმეტ ბარგს". ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ კულტურა და კულტურული ღირებულებანი ზედმეტი ბარგია საერთოდ ფაშისტებისათვის. ჰიტლერმა ერთხელ ცინიკურად განაცხადა: „ჩვენ ვაკუთვნებთ დაბალი ფენების დიდ მასას უცოდინარობის სიკეთეს". როდესაც დიდი მეცნიერი აინშტეინი ამერიკაში გადააასახლეს გერმანიიდან, ერთერთი ფაშისტური გაზეთი სინანულით ამბობდა: „ის ჩვენ გვესაჭიროებოდა, ჩვენ გვინდოდა ის გვყოლოდა", მაგრამ მხოლოდ ჩვენს ციხეებში პრუსიის ფაშისტური განათლების მინისტრი რუსტი ჯერ კიდევ 1933 წ. აცხადებდა: „უმაღლესი სკოლის ღირებულება განიზომება არა მეცნიერული შრომების გამოცემათა რიცხვით, არამედ ახალგაზრდობის აღზრდით". აქ იგულისხმება ისეთი ახალგაზრდა, რომელიც ზემოდ დაახასიათა ამერიკელმა ჟურნალისტმა — აღზრდა უვიცი, თავხედი ადამიანისა, ფაშისტურად განწყობილისა.

ამრიგად, გერმანული ფაშიზმი უარყოფს კულტურას, მეცნიერებასა და განათლებას ახალგაზრდობისა და მასისათვის. ამასთანავე გერმანული ფაშიზმი ცდილობს ფრანგების, სლავებისა და ინგლისელების წინააღმდეგ შეინარჩუნოს „არიული სისხლის სისუფთავე". ა. როზენბერგი აცხადებს, რომ ჰუმანიზმი, რომელსაც იცავენ ფრანგები და ინგლისელები, ჩრდილოეთ გერმანიის მოსახლეობასთან, ზანგებისა და ებრაელების დაქორწინების ნებას იძლევა. ჰიტლერი ფიქრობს ასეთი ხასიათის „ჰუმანიზმს" ბოლო მოუღოს ზანგებისა და ებრაელების დასაჭურისებით (კასტრაციით). ჰიტლერი, როზენბერგი, ჰებელსი ქადაგებენ „დაბალი" რასების განადგურებას არიული (იგ. გერმანული) რასის ქვეყნად გაბატონებისათვის. რასიული სისუფთავის დაცვა ჰიტლერისათვის მხოლოდ საბაბია არაგერმანელების განადგურებისა და მოსპობის მოსაწყობად. ჰიტლერი ამბობს: „წარმოუდგენიათ, რომ მე ჩავიცვამ ხელთათმანებს, რათა ანგარიში გა-

ეუსწრო ჩემს მოწინააღმდეგეებს, საჭიროა თავი გავიხთავისუფლოთ ყოველგვარ სანტიმენტალობისაგან და ვიყოთ შეუბრალებელნი. ბუნება შეუბრალებელია და ჩვენც გვაქვს უფლება ვიყოთ შეუბრალებელი. იმ მომენტს, როდესაც მე გადავისვრი მომავალი ომის ქარიშხალში გერმანიის მოსახლეობის თაიგულს, ყოველგვარი შებრალების გარეშე იმ სისხლისა, რომელიც გადინდება მდინარესავით, ვის შეუძლია უარყოს ჩემი უფლება მრვსპო დაბალი რასების მილიონები, რომელნიც მრავლდებიან როგორც მწერები" სხვა ადგილას ჰიტლერი ამბობს: „უნდა მოვსპოთ ოცი მილიონი ადამიანი; იმდენი საუკუნე ილაპარაკეს ღარიბებისა და უბედურების მფარველობისათვის, რომ, მგონია, დადგა დრო ძლიერების დაცვისა იმ საფრთხისაგან, რომელიც მოელის დაბალი ფენების მხრიდან მათ. ამიერიდან ეს იქნება გერმანული პოლიტიკის ერთერთ ძირითად ამოცანათაგან".

განა ცხადი არ არის ზემონათქვამიდან, თუ ვინ არიან გერმანელი ფაშისტები და რას უმზადებენ ისინი ევროპას?

ჰიტლერი ცინიკურად აცხადებს, რომ გონების ეპოქა დამთავრდა, რომ „აზრის სუვერენიტეტი წარმოადგენს ნორმალური ცხოვრების პათალოგიურ დეგენერაციას", რომ „ინტელექტი არის საუკუნის ავადმყოფობა". ჰიტლერი განაგრძობს და თავის თავზე ასე ლაპარაკობს: „განგებამ განაწესა ისე, რომ ვიყო კაცობრიობის უდიდესი განმათავისუფლებელი; მე ვანთავისუფლებ ადამიანებს ჰკუის ბორკილებისაგან, იმ ქიმერისაგან, რომელსაც სინდისს და პატიოსნებას ეძახიან"...

განსაცვიფრებელ სიმხეცეს ქადაგებენ გერმანელი ფაშისტები მედიცინაში. ფაშისტი ლენცი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მეცნიერებამ შეამცირა ყვავილით, ტიფით, ხოლერით და შავი ჭირით დაავადების შემთხვევები. მაგრამ ლენცს უხარია, რომ ქვეყნად კიდევ არსებობს ისეთი ავადმყოფობა, როგორიცაა ჭლექი. ფაშისტები ვოლტმანი და ჰლეცი წინააღმდეგი არიან „მედიკური ჰუმანიზმისა, რომელიც „ხელს უწყობს ქვეყნად სუსტების დღეგრძელობას" და ამით „აუარესებს გერმანულ რასას".

ამრიგად, ფაშისტები უარჰყოფენ ყოველგვარ კულტურას, მეცნიერებას, მათ შორის მედიცინასაც. ფაშიზმი უარყოფაა ყველაფრისა, რაც კი ჰკუას, გონებას, აზრს, სინდისს მოითხოვს, რითაც კი ნამდვილი ადამიანი მოქმედებს მთელი თავისი ზნეობრივ-გონებრივი კულტურით, შესაძლებლობით, ნიჭით, უნარით.

ფაშისტების სამაგიდო კალენდარში ცინიკური და ბარბაროსული ლოზუნგია წამოყენებული: „ინტელექტი!—ძირს ეს სიტყვა, არც ერთ გერმანელს არ სურს ჰქონდეს ინტელექტი".

უარჰყოფენ რა ინტელექტს, გერმანელი ფაშისტები ამით უარჰყოფენ კაცობრიობის მთელს წარსულს, მის მიღწევებს ცივილიზაციის დარგში, ზნეობრივ-ადამიანურ ქცევას. ამიტომაც შემთხვევითი როდია ყოველივე ის, რასაც ფაშისტები ჩადიან, დაწყებული დანიიდან და გათავებული საბერძნეთით და აფრიკის მიდამოებით; შემთხვევითი როდია, ის, რომ ისინი უმაღლეს და საშუალო სკოლებს ხურავენ, მეცნიერებასა და სტუდენტებს სდევნიან, სინდისსა და პატიოსნებას უარყოფენ, მშვიდობიანი მოსახლეობის, მისი ყოველდღიური საქმიანობის განადგურება ფაშისტური მისწრაფების ბუნებრივი თვისებებია, ფაშიზმის „პოლიტიკური" პროგრამაა.

ფაშისტების მიერ წარმოებულმა ომებმა დაგვანახა, რომ გერმანიის ფაშისტებს ევროპის მდიდარი ცივილიზაცია დაღუპვისაკენ მიჰყავთ:

მთელს ევროპაში ფაშისტები ანადგურებენ სულიერ და მატერიალურ კულტურას. ევროპა საუკუნეების განმავლობაში აწყობდა და აშენებდა სასახლეებს, მუზეუმებს, ლაბორატორიებს, ინსტიტუტებს; ევროპა აწყობდა სამეცნიერო-საკვლევო ასოციაციებს, რომელნიც აგროვებდნენ მთელს მსოფლიოში ბუნების — ცხოველებისა და მცენარეების იშვიათ ეგზემპლარებს, თხრიდნენ სიძველეთა შესწავლის მიზნებით იმ ადგილებს, სადაც ოდესღაც კულტურა, მდიდარი ცხოვრება იყო, სადაც ჰკვეთდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მშვენიერ სახეებს. არქეოლოგიურ ასოციაციებს ჩამოჰქონდათ პარიზში, რომში, ლონდონში და სხვა ქვეყნებში თავიანთი კვლევა-ძიების დროს აღმოჩენილი ძვირფასი ძეგლები კაცობრიობის მდიდარი წარსულისა და შემოქმედების დიდი ნიმუშები.

ასე შეიქმნა ლუვრის მშვენიერი, მდიდარი მუზეუმი პარიზში, სადაც საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა ტროას, კრეტა-მიკენის, ეგვიპტის, პერსეპოლისის, აჟუტიას და სხვა ქვეყნების ხელოვნების ძეგლები, ფრესკები და სახეები; ასე წარმოიშვა ცნობილი ვატიკანი ანტიკური და რენესანსის ეპოქის ძეგლებით; ასე დალაგდა ბრიტანეთის მუზეუმში კაცობრიობის მდიდარი წარსულის მაჩვენებელი ხელნაწერები და პერგამენტები. რენესანსის ეპოქის დიდი ქალაქები ტიტანურად იბრძოდნენ ევროპის კულტურის დაფუძნებისა და გამაგრებისათვის. ენგელსი აღნიშნავს, რომ რენესანსის ეპოქის ადამიანები არ იყვნენ გონება შეზღუდულნი, მათი ბრძოლები ყოველთვის თავდებოდა დიდი გამარჯვებებით— მარკო პოლოსა და კოლუმბის აღმოჩენებით, მატერიალურად და გონებრივად ევროპის გამდიდრებით. ევროპის კულტურის სიმდიდრეს გერმანიის ფაშისტებმა დაუმიზნეს ზარბაზნები და რევოლვერები, ავტომატები და შაშხანები, ტანკები და ქვემეხები. ლამაზი და მდიდარი საფრანგეთის ქალაქების მოედნებზე, გერმანელმა ფაშისტებმა თავიანთი ზარბაზნები და ქვემეხები მიმართეს მშრომელი მოსახლეობისა და იტელიგენციის გასანადგურებლად: ქალაქ ნანსის სტანისლავ დემჩინსკის სახელობის მოედანი თავისი საუცხოო შადრევანებით, ძეგლებით, სკვერებით გერმანელმა ფაშისტებმა მოჰფინეს თავიანთი ცხენების და ჯარისკაცების ნაგავით და ნეხვით, თავიანთი ბინძური ყოფა-ცხოვრების ჭუჭყით; ნანსის უძველეს უნივერსიტეტის ეზოში, სადაც წინათ იშვიათი სილამაზის ბაღი იყო, გერმანელმა ფაშისტებმა ცხენები და ფურგუნები შეიყვანეს, ჭუჭყით და ნაგავით აავსეს იქაური არე-მარე, უნივერსიტეტის დერეფნებსა და კათედრებში თავიანთი ტილიანი საცვლები და ფარაჯები შეაწყვეს.

გულსაკლავ სურათს წარმოადგენს ევროპის კულტურის სიამაყე საფრანგეთის დედა-ქალაქი პარიზი. მისი მხატვრული ქუჩები, მოედნები, სასახლეები, ოდესღაც საქონლით სავსე მაღაზიები დაცარიელებული და გავერანებულია. მწუხარე და მრისხანე გამომეტყველებით გამოიყურება პარიზის და მთელი საფრანგეთის მოსახლეობა, ქალები და მამაკაცები, ბავშვები და მოხუცები.

ლუვრის მუზეუმის ეზოში ამჟამად დაბანაკებულია ფაშისტების არმია. მუზეუმის სვეტებზე მიბმულია ცხენები, ირგვლივ ყრია ნაგავი და თივა, ფუნე და სიბინძურე, მუზეუმის სხვადასხვა განყოფილებიდან გამოტანილია საუკეთესო ძეგლები, ვენერა მილოსელის მსოფლიოში ცნობილი ქანდაკება, ლუვრის მუზეუმიდან გადმოტანილია ბერლინის ერთერთ პლაცზე, სადაც ამ მშვენიერ ქმნილებას დღემდე ბეღურები სვრიან და მტვერი ეყრება, წვიმა და ქარიშხალი აფუჭებს. ასე „იცავენ“ გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურას, ასე „ზრუნავენ“ პრუსიის ბარონები ევროპის ცივილიზაციის განვითარებასა და მოვლაზე. რა არის ეს, თუ არ განადგურება იმისა, რასაც კაცობრიობა ჰქმნიდა საუკუნეთა მანძილზე ბრძო-

ლებით, კეთილშობილი და პატიოსანი განზრახვებით? მოწინავე კაცობრიობის კეთილი სურვილები, მიზნები, იდეალები, ზრახვები ფაშისტებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს; ყველაფერი ის რაც ისტორიაში საუკეთესო ადამიანების მისწრაფებებს, სულის სინაზესა და გულისთქმის ულამაზეს ფორმებს ასახავდა, რაც სიხარულის და სიამაყის გრძნობას იწვევდა მნახველებში, ფაშისტებმა ვანდალურად გაანადგურეს, ველურად გათელეს. დღევანდელი გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურას, მის მატერიალურ დოვლათს და ლამაზ ძეგლებს ისე ექცევიან, როგორც მათი ბანჯგვლიანი და ველური წინაპრები ექცეოდნენ შუა საუკუნეების დასაწყისში რომის ქალაქებსა და სასახლეებს, ძეგლებსა და წარწერებს.

შემთხვევითი როდია გერმანელი ფაშისტების ველური მოპყრობა ევროპის კულტურისადმი. პირველი იმპერიალისტური ომის დროს ევროპის ხელოვნების ჩინებულ ძეგლს—რაიმსის ტაძარს დღევანდელი ფაშისტების წინაპრებმა ზარბაზნები დაუშინეს და მისი საუცხოო ჩუქურთმები მტვრად აქციეს. დღევანდელ ფაშისტებს გერმანიაში გავლილი აქვთ ვანდალიზმისა და ყაჩაღობის, დანგრევისა და გაპარტახების ერთგვარი ისტორიული სკოლა.

გერმანელებმა საბჭოთა მიწა-წყალზედაც გამოიჩინეს ხელოვნების ძეგლების დანგრევის განსაკუთრებული უნარი: ხუროთმოძღვრების მრავალი ისტორიული ძეგლი დაანგრიეს გერმანელმა ფაშისტებმა დროებით მათ მიერ ოკუპირებულ რაიონებში. სოფ. იასნაია პოლიანაში ფაშისტებმა ტოლსტოის სახელობის მუზეუმი დაანგრიეს. დიდი რუსი მწერლის ცხოვრების დამახასიათებელი მრავალი დოკუმენტი გერმანელმა ფაშისტებმა ცეცხლში დასწვეს, ტოლსტოის ბიუსტი დაამტვრიეს, საბჭოთა მეცნიერების მიერ შესწავლილი და დალაგებული მრავალი მასალა, ლევ ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის დამახასიათებელი, დაიღუპა გერმანელი ფაშისტების იასნაია პოლიანაში შემოსვლის დროს.

გერმანელები ვანდალურად მოეკცნენ უკრაინაში შევჩენკოს ძეგლსა და შევჩენკოს სახელობის მუზეუმს; არა ნაკლებ საზიზღრად ექცეოდნენ გერმანელი ფაშისტები პუშკინის პორტრეტს და ხსოვნას. გერმანელების ვანდალიზმი სამარცხვინო მოვლენაა ევროპის ისტორიაში.

გერმანული ფაშიზმი—ბარბაროსობაა. დღევანდელი ფაშისტები თავიანთი ბოროტი საქმეებით, ვანდალური ქცევებით, ევროპის მატერიალური და სულიერი კულტურის განადგურებით გვაგონებენ გერმანიის წარსულიდან სისხლიან რაინდებს, რომელთაც კარლ მარქსმა ქოფაკები უწოდა.

მაგრამ, დღევანდელ გერმანელ ფაშისტებს თავის განკარგულებაში მეტი საშუალება მოეპოვებათ დანგრევისა და განადგურებისათვის, ვიდრე ეს მათ წინაპრებს ჰქონდათ. ისინი შეიარაღებული არიან მაღალი ტექნიკით, ქიმიური საწამლავი საშუალებებით, მთელი ევროპის სამხედრო ქარხნების მომსახურებით, სინდისსა და ადამიანობაზე ხელაღებული „მორალით“, უსირცხვილო ცინიკური, მძარცველური სურვილებით, ადამიანის სისხლის წყურვილით და დანგრევის ჟინით.

გერმანელმა ფაშისტებმა ევროპის ქალაქები ცეცხლის ალსა და კვამლში გახვიეს, ევროპის მოსახლეობა შიმშილსა და ტანჯვაში ჩააგდეს. გერმანიის არმიები დაბანაკებულია ნორვეგიიდან მოკიდებული აფრიკის უდაბნოების მიდამოებამდე. გერმანიის არმია დაეპატრონა დანიის ღორებს, ესპანეთის ცხვრებს, ჰოლანდიის კარაქსა და ყველს, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ძროხებს. მთელს ევროპაში კაცი არ ხნავს და არ თესავს. მოსახლეობა ან იარაღით ხელში პარ-

ტიზანული ომებისათვის ემზადება, ან გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება. საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ოჯახებიდან ქალები მიჰყავთ საროსკიპო სახლებში გერმანიის არმიებისა და ფაშისტი ბარონების სქესობრივი აშლილობის დასაკმაყოფილებლად. შიში და ტერორი, სიკვდილი და სისხლის ღვრაა გამეფებული ევროპის ქალაქებსა და სოფლებში, ჭუჩებსა და სასახლეებში. გაჭურდული მუზეუმები და სასახლეები, დანგრეული ძეგლები, დახურული მაღაზიები, დახვრეტილი მეცნიერები და სტუდენტები, სამშობლოდან დევნილი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები, ნაგავით და ჭუჭყით სავსე ქალაქები, ნეხვით აყროლებული ქუჩები და მოედნები, მკვდრებისა და სისხლის სუნი ჰაერში, რღვევისა და დაშლის მტვერში გახვეული ფერმკრთალი აჩრდილები ადამიანებისა—აი დღევანდელი ევროპა, ფაშისტური ბატონობისა და „კულტურის“ დროის ევროპა.

გერმანელი ფაშისტები კულტურისა და მეცნიერების მტრებია. ფაშიზმი უარყოფს მეცნიერებას, ხელოვნებასა და ლიტერატურას, უარყოფს ევროპის უდიდეს მიღწევებს კულტურისა და ცივილიზაციის დარგში, ამ მიღწევების მორალურ-ადამიანურ მხარეს. ფაშისტებს სურთ ევროპის კულტურა და მეცნიერება შესცვალონ ადრინდელი შუასაუკუნეობრივი ცხოვრებით, მისი ღალატისა და ვერაგული ურთიერთობის სისტემით, მისი ბატონყმური ცხოვრების განახლებით. ქადაგებს ამიტომ უსირცხვილოდ ფაშიზმი მეოცე საუკუნეში ბატონყმობის ხელახლა შემოღებას და მებატონეებად ასახელებს ჩრდილოეთ გერმანიის ბარონებს—ნამუსზე ხელაღებულ დეგენერატებს.

ამ მიზნის მისაღწევად გერმანიის ფაშისტებს ესაჭიროებათ დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა, რათა რაც შეიძლება მალე გაანადგურონ მოწინააღმდეგეები და მალე დაამყარონ ქვეყნად ფაშისტური სტილის ბატონყმობა. აქედან გამომდინარეობს გერმანელი ფაშისტების ცდა ჩამოაშოროონ მეცნიერებას, ხელოვნებას, მორალს ის თვისებები, რომელნიც ისტორიულად შეიმუშავა კაცობრიობის დემოკრატიულმა მოძრაობამ და დაიყვანონ მთელი ევროპის კულტურა მხოლოდ საომარი იარაღების გამრავლებამდე. ამიტომ სდევნიან შეუბრალებლად გერმანელი ფაშისტები იმ მეცნიერებსა და მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს, რომლითაც სურთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიზნები დაუკავშირონ დემოკრატიზმსა და ჰუმანიზმს, ადამიანურ მორალსა და ჰეშმარიტებას, სიყვარულსა და კაცთმოყვარეობას საერთოდ. ფაშისტებმა დახურეს ოკუპირებულ ქვეყნებში უმაღლესი სასწავლებლები, დემოკრატი და ჰუმანისტურად განწყობილი პროფესორები და მწერლები ციხეებში ჩასვეს. ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი პროფ. სნაიპი ნორვეგიის დაპყრობის პირველ დღეებიდანვე დაიჭირეს, შვიდი თვე საკონცენტრაციო ბანაკში დატანჯეს და შემდეგ გერმანიაში გადააგზავნეს. ასეთივე ბედი ეწია ცნობილ ნორვეგიელ მწერალსა და პატრიოტს ეველანდს, რომელიც თავისი გამოსვლებით საჯაროდ ებრძოდა გერმანელ ოკუპანტებს. მრავალი ფრანგი და ჩეხი, მრავალი ბელგიელი და ჰოლანდიელი მეცნიერი იტანჯება ამჟამად გერმანიის ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. გერმანელი ფაშისტები ცდილობენ მეცნიერებსა და მწერლებს დააყენონ კაცობრიობის კულტურა, აზროვნება, წერა-კითხვა; ისინი ცდილობენ მოაბრუნონ ევროპის მოსახლეობა ადრინდელი შუასაუკუნეების ყოფა-ცხოვრებისაკენ, ცრუმორწმუნეობისა და ველურობისაკენ, ბატონყმობის დროინდელი და უსამართლო სისტემისაკენ, სიბნელისა და უმეცრებისაკენ, რათა ასეთ საზოგადოებრივ პირობებში გაუადვილონ ბატონობა გერმანელ იმ-

პერიალისტებს პრუსიის იუნკრებს—მეცნიერების, დემოკრატიზმისა და მუშათა მოძრაობის ამ უბოროტეს მტრებს.

ჩეხიასა და მორავიაში, იუგოსლავიაში, ნორვეგიაში, დანიასა და ბელგიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, პოლონეთში—ყველგან, სადაც დროებით გაბატონდნენ გერმანელი ფაშისტები, მძვინვარებს ტეროორი და მეცნიერებისა და მწერლების დევნა, მათი ხვრეტა ან სისტემატური განაწილება საკონცენტრაციო ბანაკებში. ნორვეგიაში ორი ათასზე მეტი საშუალო და უმაღლესი სკოლების მასწავლებელია დაჭერილი და გადაგზავნილია საკონცენტრაციო ბანაკებში. მხოლოდ ქალ. ოსლოში და ისიც მარტო მარტის თვის განმავლობაში დაიჭირეს ორასოთხმოცდაათი მასწავლებელი. გერმანიის ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში საშუალო სკოლის მოწაფეებისა და სტუდენტების ხვრეტას საზღვარი არა აქვს, მიმდინარე წლის მაისის 28-ს ჩეხიასა და მორავიაში გერმანელმა ფაშისტებმა ბრძანება გამოაკრეს, რათა 15 წლის ასაკზე ზევით ყველა ქალი და ვაჟი გატარებულიყო რეგისტრაციაში; შვეიცარიის ჟურნალ-გაზეთებში წინდახედულად იყო აღნიშნული, რომ გერმანიის ფაშისტებს ეს რეგისტრაცია სჭირდებოდათ არა მარტო იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გაეყვანათ ჩეხიიდან და მორავიიდან ომში, არამედ იმისათვისაც, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გადაეგზავნათ გერმანიის საავადმყოფოებში საკასტრაციო ოპერაციების გასაკეთებლად, ასეთივე ბნელი და საზიზღარი საქმეები ჩაიდინეს გერმანელმა ფაშისტებმა ომის დასაწყისში პოლონეთის ახალგაზრდობის ძიმართ.

ასე „ავრცელებენ" გერმანელი ფაშისტები ევროპის კულტურას, ასე „ზრუნავენ" გერმანელი ფაშისტები ევროპის მოსახლეობის ბედნიერ ცხოვრებაზე, ახალგაზრდობაზე, მეცნიერებისა და ცივილიზაციის გავრცელებაზე. გერმანელი ფაშისტები მთელი ევროპის კულტურისა და მოსახლეობის, მეცნიერების, ცივილიზაციისა და ჰუმანიზმის უბოროტესი მტრებია. გაფაშისტებული გერმანელი „მეცნიერები" დღეს იმას აკეთებენ ევროპის ახალგაზრდობის მიმართ, რასაც ძველი აღმოსავლეთის ტირანები აკეთებდნენ ქართველი მეფეების შთამომავლობის მიმართ; გერმანელი ფაშისტები აპირებენ ევროპის მოსახლეობისა და მისი დიდი კულტურის სრულ განადგურებას ახალგაზრდობის დასაჭურისებით.

ფაშისტები რყვნიან, ათახსირებენ, ნამუსს ართმევენ ახალგაზრდობას. პატიოსანი ნაწილი ახალგაზრდობისა ვერ იტანს ფაშისტური ყოფაცხოვრების საშინელებას. ძარცვა, წართმევა, სიმთვრალე, ხულიგნობა, მასში დემორალიზაციის შეტანა, ფაშისტური მთავრობის და ხელმძღვანელების პროფესიად გადაიქცა. ჰიტლერის დაახლოებულმა პირმა—„საზოგადოებრივი წესრიგის დამცველმა" (ოხრანიკმა) ვერნერ ბორნემონმა დღისით ქუჩაში საჯაროდ ახალგაზრდა ქალთან ძალით დაიჭირა კავშირი; ქალმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა და თავი ჩამოიხრჩო. ჰიტლერელი მოიერიშეებისათვის სიმთვრალე და ქალების გაუპატიურება ხელობად გადაიქცა; რასაც სამართლის მეცნიერებაში დანაშაულს ეძახიან, ის ჰიტლერულ ევროპაში ნორმალურ მოვლენად ითვლება. ჰიტლერმა თავისი მოიერიშეები ყაჩაღებისა და ჭურდებისაგან შეადგინა და, ცხადია, ამ მოიერიშეებისათვის სავსებით ბუნებრივი და მისაღებია ის, რაც კაცობრიობის ნორმალური ადამიანური ურთიერთობისათვის მიუღებელია.

რას პირდება გერმანული ფაშიზმი ევროპის ახალგაზრდობას მომავალში?—ისევ ომს, დაუსრულებელ ომს, სისხლის ღვრას, ბრძოლის ველებზე სიკვდილს, ჭრილობებს, ტკივილებს, კვნესას, უდროოდ დაღუპვასა და წუთისოფლის გამო-

სალმებას იმ მიზნით, რომ ქვეყნად განმტკიცდეს ფაშისტური სისტემის ბატონყმობა, სადაც გერმანელი იმპერიალისტები იქნებიან მებატონეები, სხვა ქვეყნების ყველა სოციალური ფენა კი გერმანელი ბარონების ყმად გახდება. ასეთია ფაშისტური საქმიანობის ისტორიული „პერსპექტივა“, ევროპისა და პროგრესული კაცობრიობის უბოროტესი მტრის პოლიტიკური გეგმა.

ამიტომ იყო, რომ 1942 წლის პირველი მაისის ბრძანებაში დიდმა სტალინმა გერმანიის ფაშისტები გამოაცხადა ევროპის კულტურის უბოროტეს მტრებად და წითელ არმიას—ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის დაცვის უდიდეს შეიარაღებულ ძალას მისცა კონკრეტული მითითება, თუ როგორ უნდა განადგურდეს ფაშისტური არმია—კაცობრიობის დამღუპველი არმია.

მთელი მსოფლიო დღეს ნათლად ხედავს, რომ ისტორიას აქვს ერთადერთი გზა—დემოკრატიზმისა და თავისუფლების გზა. საუკეთესო და მოწინავე ადამიანები მთელს მსოფლიოში დღეს აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის განმანთავისუფლებელი ბრძოლებით, ამ კეთილშობილი და მაღალი მორალური და ფიზიკური მძლეობის არმიის მთავარსარდლის სტრატეგიით. წითელი არმია დიდი სტალინის მეთაურობით იარაღით ხელში იბრძვის არა მარტო თავისი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის, არამედ მთელი ევროპის კულტურისა და მეცნიერების უბოროტესი და უსაზიზღრესი მტრების—გერმანელი ფაშისტების—სრული განადგურებისათვის.

წითელი არმიის ბრძოლა სამართლიანი ბრძოლაა ჰეშმარიტებისა და სიკეთისათვის, ადამიანობისა და კულტურისათვის, მეცნიერებისა და ცივილიზაციისათვის, მთელი ევროპის განთავისუფლებისათვის. წითელ არმიას მიზნად აქვს დასახული არა სხვისი ტერიტორიის დაპყრობა, არამედ იმის განხორციელება, რაც პარტიის, ხელისუფლებისა და საბჭოთა საუკეთესო ადამიანების საზოგადოებრივი აზრის გამომსახველ ორგანოს სათაურად აქვს: „პრავდა“. გერმანელი ფაშისტები სპობენ ხალხთა თავისუფლებას, ანგრევენ სახელმწიფოებს, მათ ტრადიციებს, მეცნიერებას, ხელოვნებას, მუშათა ორგანიზაციებს, დემოკრატიზმს. წითელი არმია იცავს ხალხთა თავისუფლებას, სახელმწიფოთა და ერთა დამოუკიდებლობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, დემოკრატიზმს, მუშათა ორგანიზაციებს.

გერმანელ ფაშისტებს მიზნად აქვთ ევროპის მოსახლეობისა და მისი ყოფაცხოვრების მობრუნება შუასაუკუნეებისაკენ, უმეცრებისა და სიბნელისაკენ. წითელი არმია მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი ძლიერებით სპობს შუასაუკუნეების ყოველგვარ გადანაშთებს, უმეცრებასა და სიბნელეს. ლენინ სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წითელი არმია დინჯად, ბრძნულად, ურყევი ნებისყოფით და რწმენით მიიმართება წინ გერმანელი ფაშისტების განადგურებისა და ქვეყნად ჰეშმარიტების განმტკიცებისაკენ. ჩვენი ქვეყნის დიადი წარსულისათვის მტერზე გამარჯვება უცხო ამბავი როდია: ოდესღაც გერმანელი ფილოსოფოსი ე. კანტი კენიგსბერგის უნივერსიტეტის შემადგენლობასთან ერთად ჭუდმოხდილი იდგა გამარჯვებული რუსეთის არმიის სარდლობის წინაშე და ეფიცებოდა მას ერთგულებას: გერმანიის მეფე ფრიდრიხი თავის მოკვლას აპირებდა, ხოლო რუსეთის გამარჯვებულ არმიას სხვა ტროფეებთან ერთად ლენინგრადის—მაშინდელი პეტერბურგის—ყაზანის ტაძარში მოჰქონდა ბერლინის გასაღები. ეს იყო 1758 წ. 1942 წელი იქნება გერმანული ფაშიზმის განადგურების და ევროპის განთავისუფლების წელი.

კ. გოგიავა

შაშისტური გერმანია და მისი არმია კავკასიროშის წინაშე

ამხანაგი სტალინი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლის თავზე გაკეთებულ მოხსენებაში, განიხილავდა რა ომის ვითარებას, აღნიშნავდა, რომ როცა გერმანელი ფაშისტი-სტრატეგები ამტკიცებდნენ ორ თვეში მოვუღებთ ბოლოს საბჭოთა კავშირსო, ისინი ვარაუდობდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას; ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ კოალიციაში ჩააბამდნენ ინგლისსა და ამერიკას, დააშინებდნენ მმართველ წრეებს რევოლუციის აჩრდილით; ფაშისტები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა, ფრონტსა და ზურგში შეიტანდნენ დეზორგანიზაციას, მუშებსა და გლეხებს ერთმანეთს გადაჰკიდებდნენ. ჰიტლერელები, დიდად აფასებდნენ რა თავიანთ ძალებს, ფიქრობდნენ, რომ წითელი არმია და წითელი ფლოტი მათ ვერ გაუმკლავდებოდა, აღმოჩნდებოდა სუსტი და პირველივე დარტყმით მას გაანადგურებდა. მაგრამ ფაშისტი სტრატეგების ყველა ეს ვარაუდები, „ელვისებური ომის“ გეგმები საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა ჩაფუშა. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ შეიქმნა დემოკრატიული ქვეყნების, თავისუფლებისმოყვარე ხალხების ფოლადისებური კოალიცია, რომელიც გამანადგურებელ ძალად მოევლინა ომის გამჩაღებლებს. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ერთობლივ ბრძოლას ჰიტლერის გერმანიის გასანადგურებლად.

საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირეობის ხელშეკრულება, რომელმაც საერთაშორისო განვითარების ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა, უსასტიკეს ლახვარს სცემს ჰიტლერელთა ბანდას და მის ვასალებს, წვრილფეხა მტაცებლებს. იძლევა რა ამ ისტორიული ხელშეკრულების შეფასებას, ამხანაგი მოლოტოვი ამბობს:

„ჩვენი ხელშეკრულება საჭიროა იმისათვის, რომ უფრო მალე უზრუნველვყოთ ჰიტლერის გერმანიის განადგურება, რომ უფრო მალე მივაღწიოთ სასურველ მიზანს—გამარჯვებას.

ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოქმედების საერთო ხაზს განსაზღვრავს ომის შემდეგაც. 20 წლის ვადა ამ ხელშეკრულების მოქმედებისა ომის დამთავრების შემდეგ.—მოქმედებისა გერმანიის მხრივ მოსალოდნელი ახალი აგრესიის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიური ურთიერთ დახმარების საფუძველზე და ევროპის ხალხთა უშიშროებისა და ეკონომიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის გულისათვის, თავისთავად მეტყველებს; ჰიტლერი და ევროპის სისხლიანი ძარცვის საქმეში მისი თანამონაწილენი ახლა კიდევ უფრო მეტად იგრძნობენ, თუ როგორ მტკიცდებიან და ირაზმებიან მათი მოწინააღმდეგეების გაერთიანებული ძალები“.

სამამულო ომმა, რომლითაც სსრ კავშირის ხალხებმა ჰიტლერელთა ვე-

რაგულ თავდასხმას უპასუხეს, კიდევ უფრო მეტად შეამჭიდროვა საბჭოთა ხალხები, კიდევ უფრო გააღვივა მათ შორის სტალინური მეგობრობა, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა ისინი თავიანთი მთავრობის და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. საბჭოთა წყობილებამ, გაუძლო რა განსაცდელს, კიდევ უფრო მეტად განამტკიცა თავისი ზურგი, რაც „...იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილება ახლა ყველაზე უფრო მტკიცე წყობილებაა“ (სტალინი).

ეს ისტორიული ხელშეკრულება და მოკავშირე სახელმწიფოთა თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, სსრ კავშირსა და ამერიკას შორის აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარების შესახებ დადებული შეთანხმება მძლავრ სტიმულს წარმოადგენს ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილეთა ძალების მობილიზაციისათვის. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მჭიდრო, მეგობრული თანამშრომლობა და მეორე ფრონტის გახსნა დააჩქარებს გერმანიის ავანტიურისტთა ჯარების განადგურებას და მიხაკისფერი ჰირისაგან ევროპის განთავისუფლებას.

* * *

სსრ კავშირთან ომის დასაწყისში ევროპაში იოლი გამარჯვებებით გათამამებულ გერმანელ ჯარისკაცებს სჯეროდათ ჰებელსის სამზარეულოში გამომცხვარი ტყუილები იმის შესახებ, რომ წითელი არმია უძლურია და ერთი ხელის დაკვრით შეიძლება მისი განადგურება. ამ განწყობილებებს გერმანელი ჯარისკაცები ამჟღავნებდნენ თავიანთ პირვანდელ წერილებში, რომლებიც ჩვენი წითელი არმიის ცალკეულ ნაწილებს ბრძოლების დროს ხელში ჩაუვარდათ. აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა წერილებში აშკარად ჩანს ის ქედმაღლობა, ის არარსებული „უძლეველობის სული“, რომელიც ჰებელსის სამზარეულოში შთაბერეს. გასული წლის ივლისში ერთერთ მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს აღმოაჩნდა შინ გაუგზავნელი წერილი. აი რას სწერს ეს ჯარისკაცი ამ წერილში: „ვერას გზით ვერ შევსძელი რუდოლფთან შეხვედრა. ის კი აქ უნდა იყოს, აღმოსავლეთის ფრონტზე. რა ვქნა, მასთან შეხვედრა ალბათ მოსკოვში, კრემლში მომიწევს“. ჰებელსის ტყუილებით გაბრუებული ჯარისკაცი ვილი, რომელიც ომის დასაწყისშივე საბჭოთა ტყვიამ წუთისოფელს გამოასალმა, თავის დას გედის სწერდა: „4-6 კვირაში რუსეთთან ომი დამთავრდება“.

მაგრამ წითელ არმიასთან ომი არც ისე იოლი გამოდგა, როგორც ამას ფაშისტი პროპაგანდისტები ქაქანებდნენ. გაიარა ომის რამდენიმე კვირამ და საბჭოთა პატრიოტების ტყვიამ სამუდამოდ გაჰფანტა ფაშისტური პროპაგანდის ნისლი. გერმანელი ჯარისკაცი ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას. მასში შიშმა დაისადგურა. იგი უიმედობამ შეიპყრო. წინათ გერმანელი ჯარისკაცი ფიქრობდა ისე, როგორც მე-299 ქვეითი პოლკის ობერ-ლეიტენანტი ალონეც შტოიკი, რომელიც თავის საცოლეს ბერლინში სწერდა: „ტულას ხვალ დილით ავიღებთ, იქიდან მოსკოვში გავსწევთ, მოსკოვის რომელიმე სასტუმროში დავისვენებ. ყველაფერს ვრცლად მოგწერ და ბეწვის პალტოსაც გამოგიგზავნი“. შემდეგ კი გერმანელმა ჯარისკაცმა სხვანაირად იწყო ფიქრი, რასაც ცხადჰყოფს იგივე ობერ-ლეიტენანტი ალონეც შტოიკი, რომელიც მას შემდეგ, რაც გერმანელებმა მოსკოვთან და ტულასთან დამარცხება განიცადეს, თავის საცოლეს იმედგაცრუებული სწერდა: „მთელი პოლკიდან მხოლოდ მე და ჰენრიხი დავრჩით. ყვე-

ლაფერი მომბეზრდა. სიკვდილს ვნატრობ და ისიც ალბად მალე მეწვევა". მას საბჭოთა ტყვიამ ნანატრი სიკვდილი მოუვლინა ისე, რომ წერილის გაგზავნაც ვერ მოასწრო.

გერმანელ ჯარისკაცთა და მათ ზურგში მყოფ ადამიანთა სულიერ განწყობილებას და ეკონომიურ მდგომარეობას ნათლად გვიხატავს ის წერილები, რომლებსაც ისინი ერთმანეთს უგზავნიან. ეს მიწერ-მოწერა მკაფიოდ ლაპარაკობს იმ კატასტროფის შესახებ, რომელიც მოუმზადა გერმანელ ხალხს პირსისხლიანი ჰიტლერის ავაზაკურმა პოლიტიკამ. ამ კატასტროფის შესახებ დიდი სტალინი ჯერ კიდევ გასული წლის 7 ნოემბერს წითელი არმიის პარადზე წარმოთქმულ სიტყვაში ლაპარაკობდა. „მტერი არც ისე ძლიერია, როგორც მას ზოგიერთი შეშინებული ინტელიგენტუნა გვიხატავს. ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც მას გვიხატავენ. ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ჩვენს წითელ არმიას არაერთხელ გაუქცევია პანიკით მოცული გერმანელთა „ნაქები" ჯარები? თუ ვიმსჯელებთ არა გერმანელ პროპაგანდისტთა ტრაბახა განცხადებების მიხედვით, არამედ გერმანიის ნამდვილი მდგომარეობის მიხედვით ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები კატასტროფის წინაშე დგანან".

სწორედ ამ კატასტროფის შესახებ სჩივიან თავიანთ წერილებში ასობით და ათასობით გერმანელი ჯარისკაცები. მიუხედავად სარდლობის რეპრესიებისა, გერმანიის ფრონტისა და ზურგის მიწერ-მოწერა მაინც მკაფიოდ ამჟღავნებს იმ საერთო უბედურებას, რაც ჰიტლერმა თავს დაატეხა თავის ქვეყანას და ევროპის ხალხებს. გერმანიის არმიისა და გერმანიის ზურგის უნუგეშო სინამდვილის დამალვის მიზნით ჰიტლერელმა სარდლობამ გამოსცა „კრებული ინსტრუქციებისა ჯაშუშობასთან, დივერსიებთან და არმიაში გახრწნილობასთან ბრძოლისათვის". ამ კრებულის მე-15 გვერდზე ნათქვამია: „უცხოეთიდან მიღებული ცნობებით გერმანელ სამხედრო ტყვეებს ზოგჯერ უნახავს ნათესავებისაგან მიღებული წერილები, რომლებშიც ლაპარაკი იყო, თუ რა განწყობილებაა სამშობლოში, რა სასურსათო დაბრკოლებებია და სხვ. ყველა ასეთ წერილს ფართოდ იყენებს მტრის პროპაგანდა და ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაიღონ თან მოწინავე ხაზზე. შემდეგ ზოგიერთ შემთხვევაში გამოირკვა, რომ ჯარისკაცებს თან აქვთ დღიურები, სადაც ჩაწერილია საიდუმლო ფაქტები, რომლებიც არ შეიძლება ქვეყნდებოდეს. ეს ჩანაწერები დიდ საშიშროებას წარმოადგენენ თუ მტერს ჩაუვარდა ხელში".

ეს „საიდუმლო ფაქტები", ეს „სამხედრო საიდუმლოებები", რომლებიც ასე უხვადაა გაბნეული გერმანელ ჯარისკაცთა მიწერ-მოწერასა და დღიურებში, უკვე არ წარმოადგენენ საიდუმლოებას. მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა მდგომარეობაში ჩააყენა ამ მძარცველურმა ომმა გერმანელი ხალხი, რომლის ახალგაზრდობა ფრონტზე დაიხოცა და იხოცება, ხოლო ზურგში დარჩენილნი შიმშილითა და მონური შრომით წელებზე ფეხს იდგამენ. შიმშილი, სილატაკე, უბედურება—აი რა მოუტანა ჰიტლერმა გერმანიას და ამ „საიდუმლოებას" ფაშისტთა ვერავითარი ინსტრუქცია ვერ დაფარავს.

დღეს უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს ის, რაც გერმანელ ობერეშერეიტორს ერიხ ჰოფმანს თავის დღიურში ჩაუწერია:

„1942 წლის 17 იანვარი... ჩვენ, როგორც ვატყობ, საფუძვლიანად ჩავფლავდით. წინათ გამოცდილ ყოველგვარ გაჭირვებასა და ტანჯვას უკან დახევის კიდევ ერთი სირცხვილი მიემატა. ჩვენი ტანკები მიტოვებული, მინგრეულ-მონგ-

რეულია. ახლა უსაქმოდა ვართ. სამშობლოში დაბრუნების ხელსაყრელი შემთხვევა გვეძლევა.

23 იანვარი. უმანქანოდ დარჩენილი ყველა ტანკისტი ქვეითებად აქციეს, ასეთივე ბედი ეწია ბევრ არტილერისტს.

30 იანვარი. ღამით რუსებმა უეცრად მოიტანეს იერიში. ბევრი ძველი ჯარისკაცისათვის ეს ღამე უკანასკნელი იყო, დაიღუპნენ ჩემი საუკეთესო მეგობრები: შტეინი, ბრედშნაიდერი და ბაუერი.

15 თებერვალი. მთელი ჩვენი ლაპარაკი ერთი და იმავე თემის გარშემო ტრიალებს: როდის შეგვცვლიან.

28 თებერვალი. მოსაწყენი და უსიხარულო დღეებია. ბევრს ლაპარაკობენ მომავალ საგაზაფხულო შეტევაზე. ყველა აფორიაქებულია. ძველი ჯარისკაცები ამბობენ: „ომი საშინლად მოგვბეზრდა. დაე, ეხლა იმათ იომონ, ვინც 1939 წლიდან ლუდხანებში ნებივრობს და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივის გამარჯვებაზეო“.

3 მარტი. სუფთა თეთრეული სანუკვარ ოცნებად გადაგვექცა, მთელი სხეული მექავება, ტილმა შემჭამა... გაუგებარია, რისთვის გაჰკივიან ასე გაზეთები და რადიო საგაზაფხულო შეტევის შესახებ? სამხედრო გეგმებს ხომ ჩვეულებრივ ძალიან საიდუმლოდ ინახავენ.

17 მარტი. უკანასკნელი იმედი დაიღუპა. შეცვლაზე ფიქრიც კი აკრძალულია.

23 მარტი. იერიში სრული მარცხით დამთავრდა. ჩვენ მთლიან ცეცხლის ზოლში მოვხვდით. 4 მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. ოტმანის ტანკში მოტორი გაჩერდა. ბევრმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა ტანკი მიატოვა. ვინ იცის, რით დამთავრდება ყოველივე ეს?“.

„ყოველივე ეს“ დამთავრდა იმით, რომ წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა გერმანელთა დივიზია, გაანთავისუფლა შვიდი დასახლებული ადგილი, ხოლო ობერ-ეფრეიტორი ერიხ ჰოფმანი მოკლულ იქნა. მას დარჩა განვლილი სისხლიანი გზა და ეს „საიდუმლო“ დღიური. აი კიდევ იმ უამრავი დღიურებიდან, რომლებიც წითელი არმიის ნაწილებმა შეტევების დროს ხელთ იგდეს. აი სამხრეთის ფრონტზე მოქმედი ერთერთი პოლკის ობერ-ეფრეიტორი ფონ შტორენსის მიერ უბის წიგნაკში ჩანაწერები:

„5 იანვარი. კრაკოვი, ვმეცადინეობთ ტყვიამფრქვევით. სამარშო ჯგუფს ლემბერგის გადაღმა თავს დაესხნენ პარტიზანები.

10 იანვარი. გავედით ტარნოპოლიდან. გზაზე გერმანელთა ძალიან ბევრი საფლავი გვხვდება.

12 იანვარი. ჩავედით უმანში. ქალაქში უკაცრიელობაა. უკვე სამი დღეა არაფერი გვიჭამია. ვწყევლით ყველაფერს.

13 იანვარი. კიროვოგრადში ვართ. ქუჩებში ვერავის ნახავთ. ცარიელ ქარხანაში მოვთავსდით.

29 იანვარი. დნეპროპეტროვსკი. მთელი კოლონა ისევ აირ-დაირია. ბევრი ავად გახდა და ჩაწვა. ქალაქში არის მე-60 ქვეითი დივიზიის დაღუპულ ჯარისკაცთა სასაფლაო. აურაცხელი საშარეა. ამ დღეებში აქ ბრძოლის ველიდან გაქცევისათვის გაასამართლეს ჯარისკაცთა ჯგუფი.

9 თებერვალი. როგორც იქნა დივიზიაში მივედით. უკანასკნელი ბრძოლების მონაწილეებმა გვიამბეს, რომ ჩვენს დივიზიას საშინელი ზარალი მოუვიდა.

17 თებერვალი. დღით ვერსად ვერ გამოჩნდები. მაღლობზე რუსი სნაიპერები წვანან. შუადღისას ჩვენთან მოდის პოლკოვნიკი დრაბე. წვერგაბანჯგლული და დაბერებული. იგი გვეუბნება: „ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ, პუნქტი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევინარჩუნოთ“.

24 მარტი. 2 საათსა და 30 წუთზე განგაშია. რუსეთის არტილერია გვიმასპინძლდება... გეგონებათ, ახლა შეჩერდება დედამიწა—ასეთი საშინელი განცდაა. ბატალიონში ძალიან დიდი დანაკლისია. პოლკი ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს. ბევრი, ბევრი ნაცნობი უკვე დაიღუპა“.

ამ „ბევრი, ბევრი ნაცნობებს“ შორის დაიღუპა თვითონ ამ დღიურის ავტორიც.

ახლა, უკვე ომის ერთი წლის თავზე, ბევრი გერმანელი ჯარისკაცი ნანობს, რომ ფაშისტურმა პროპაგანდამ იგი შეცდომაში შეიყვანა და წინასწარ ვერ გაითვალისწინა, თუ რა საშინელი იქნებოდა ომი სსრ კავშირთან. ფრონტზე მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ალბერტ ევალდს უპოვნეს წერილი, რომელსაც იგი თავის ამხანაგს ჰაულ შულცს უგზავნიდა ბერლინში. აი რას სწერს ეს ჯარისკაცი:“... აქ გაზაფხულია და სიცივე უკვე აღარ გვაწუხებს... მყვირალები (ე. ი. ჰებელსის ჯარისკაცები კ. გ.) უკვე გაიძახიან გაზაფხულის მომავალი ბრძოლა გადამწყვეტი და უკანასკნელი იქნებაო... რამდენჯერ მიგვიღია მონაწილეობა ამ უკანასკნელ ბრძოლებში?!... ვინ იფიქრებდა, რომ რუსეთის კამპანია ასე მძიმე და ხანგრძლივი იქნებოდა. გუშინ რუსების შემოტევის დროს დაიღუპა იოჰან ვოლფი. ჩვენ დიდი ზარალი მოგვივიდა, ვინაიდან ეს თავდასხმა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო. რუსები ერთი წუთითაც არ გვასვენებენ. ჩვენ სრულიად არ ვართ საომრად განწყობილნი. შიში მიპყრობს და არაფერზე არ შემიძლია ფიქრი. ნერვები ყველას საშინლად მოშლილი აქვს“.

ჰიტლერელ ჯარისკაცთა ნერვების მოშლასა, სასოწარკვეთილებით აღსავსე განწყობილებასა და მათ უიმედობაზე ლაპარაკობს უნტერ-ოფიცრის იოგენსის სამშობლოში გასაგზავნი წერილი. იოგენსი თავისიანებს სწერს:“... არ ვიცი კიდევ მოგწერ თუ არა წერილს... რუსებმა მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში. არა მჯერა, რომ აქედან ცოცხალი გამოვალ. იმედი მაქვს, ჩემი ანდერძი საიმედო ადგილას შეინახეთ. ყველაფერს ელზას და დედაჩემს ვუტოვებ. რუსების თვითმფრინავები შეშლილებივით დაგვტრიალებენ თავს და მიკვირს, რომ ამდენ ხანს არ მომხვდა ტყვია ან ყუმბარის ნამსხვრევმა არ მომკლა“. ასევე გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა საერთო მდგომარეობას ზუსტად გვიხატავს 170-ე ქვეითი დივიზიის 391-ე პოლკის პირველი ბატალიონის ექიმის მოხსენება, რომელიც ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს. მოხსენებაში ნათქვამია: „... 1-ლი ბატალიონის დიდმა ზარალმა ის გამოიწვია, რომ აღმოსავლეთის ლაშქრობის მონაწილე ჯარისკაცთაგან მხოლოდ ერთეულნი გადარჩნენ. ბატალიონმა ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახა... ჯარისკაცები მეტად გახდნენ. ბევრს კუჭის კატარი აქვს. მოდებულია მუნი, ეგზემა. დიდად გავრცელებულია ტიფი. ჯარისკაცთა მორალური მდგომარეობა მეტად გაუარესდა იმ ბრძოლების გამო, რომელთაც მძიმე ზარალი მოჰყვა. მათ დაეტყოთ გამოყუჟება და აპატია ყოველგვარი მოვლენისადმი“.

ამრიგად, ჰიტლერელთა „ნაქები“ არმია საკმაოდ შეიბერტყა, საკმაოდ გაიხრწნა, მისი კადრის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა უკვე სამარე ჰპოვეს რუსეთის ვაკეებში, ხოლო ახალი შევსება მცირეა რაოდენობრივად და ამავე დროს არა აქვს საბრძოლო წრთობა. გერმანიის ჯარების ახალ შევსებას რომ საბრძო

ლო მომზადება და გამოცდილება აკლია, ამაზე თვითონ გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები სჩივიან თავიანთ მიწერ-მოწერასა და საუბრებში. გერმანელთა 170-ე ქვეითი დივიზიის 240-ე საარტილერიო პოლკის მე-5 ბატარეის ტყვე ეფრეიტორმა ჰანს კობუსმა განაცხადა, რომ „ჩვენმა პოლკმა უკვე სამჯერ მიიღო შევსება, მაგრამ გამოუცდელი და გაუწრთვნელი რეზერვები ძალიან მალე გამოდიან მწყობრიდან“. გერმანელი ჯარისკაცი ერნსტ ვაჩი სულ ამ ცოტა ხნის წინათ მოხვდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ცოლისა და შვილისათვის გასაგზავნ წერილში იგი მათ მოუთხრობს, თუ რის გადატანა მოუხდა მას. „სმოლენსკამდე მატარებლით ვიარეთ, აქედან ფრონტის ხაზზე გავემგზავრეთ. 10 დღის განმავლობაში მარშით მივდიოდით. პური სრულიად გამოგვეღია. ვშიმშილობდით. არაფერი არ მოაქვთ... რუსი მფრინავები და პარტიზანები ხშირად თავს გვესხმიან და დიდ ზარალს გვაყენებენ. პარტიზანები გზების მოშორებით ტყეებში ან სოფლებში იმყოფებიან. პარტიზანობს ყველა: მამაკაცი, ქალი და ჭაბუკი. პარტიზანთა ხელით უკვე ბევრი ჩვენი ჯარისკაცი დაიღუპა. მეთერთმეტე დღეს ფრონტის ხაზს მივაღწიეთ. უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ერთი ნაჭერი პურიც კი არ გვინახავს. ჩვენ მშიერი გაგვრეკეს ბრძოლაში. მშივრები და გაუწრთვნელები ვერაფერს ვერ გავხდით. ბრძოლის შედეგად ჩვენმა ასეულმა 65 კაცი დაჰკარგა. ჩვენ წინ წაწევას ვცდილობდით, მაგრამ რუსებმა ყველა ჩვენი იერიში მოიგერიეს და კვლავ უკან დავიხიეთ. რუსი ჯარისკაცი მამაცი და გამბედავია... ნეტავი რა მოგველის?! პარასკევს პურის პატარა ნატეხი მოგვცეს 4 დღისათვის, მაგრამ ბევრმა ჯარისკაცმა ეს პური 10 წუთში შესჭამა“...

აი სარეზერვო პოლკის საბრძოლო ისტორია. გერმანელი ჯარისკაცი ის აღარ არის დღეს, რაც ომის დასაწყისში იყო. დღეს იგი შეპყრობილია სრული უიმედობით, დასულია ფსკერზე, გატეხილიანებულია და გულგატეხილი: ამას ნათელს ფენს როგორც გერმანელ ჯარისკაცთა დღიურები, წერილები, ისე მათი საფრონტო ლექსებიც. ჯარისკაც ვილფრიდ ნოიბის ლექსების რვეული, რომელიც ბუგოდოშჩის რაიონში იპოვეს ჩვენმა მებრძოლებმა, ასე იწყება:

ტილით—მღილით ვემსგავსებით გადარეულს,
ჩვენზე ბინძურს ვერვის ნახავთ ქვეყნის შვილებს
ტკბილ სამშობლოს სანუგეშოდ ვიფხანთ სხეულს,
ფიურერის საპატიოდ ვიჭერთ ტილებს.

ჰიტლერის საკადრო დივიზიები უკვე საკმაოდ შეიბერტყა, საკმაოდ შეათხელა და ბევრი მათგანი სულ გაანადგურა სახელოვანმა წითელმა არმიამ ამჟამად.

„რაც შეეხება გერმანელთა არმიას,—ლაპარაკობს საპირველმაისო ბრძანებაში ამხანაგი სტალინი—მიუხედავად მისი შეუპოვრობისა თავდაცვაში, იგი მაინც ბევრად უფრო სუსტი გახდა, ვიდრე ათი თვის წინათ იყო. მისი ძველი, გამოცდილი გენერლები, როგორიც იყვნენ რაიხენაუ, ბრაუხიჩი, ტოდტი და სხვები, ან დახოცა წითელმა არმიამ ანდა გარეკილი არიან გერმანელი ფაშისტების ზედაფენის მიერ. მისი კადრის ოფიცერთა შემადგენლობა ნაწილობრივ წითელმა არმიამ გაჟლიტა, ნაწილობრივ კი გაიხრწნა სამოქალაქო მოსახლეობის ძარცვისა და მის მიმართ ძალადობის შედეგად. მის რიგითს შემადგენლობას, რომელიც სერიოზულად დასუსტდა საომარი ოპერაციების მსვლელობაში, სულ უფრო და უფრო ნაკლები შევსება მოსდის“.

გერმანიის ფაშისტური ჯარების ზურგი არა მარტო დაპყრობილ ქვეყნებში, არამედ თვით გერმანიაშიც წარმოადგენს ეულკანს, რომელიც მზად არის ამოხეთქოს და წალეკოს ჰიტლერელი ურდოები. ომმა გერმანელი ხალხი მოღალა, მოქანცა, გაუცრუა მას იმედები, მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი, შიმშილი და გაპარტახება მოუტანა. აღმოსავლეთში ომის გეგმის ჩაშლამ, ინგლისის მიერ გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნების ქალაქების დიდის მაშტაბით დაბომბარდირებამ და მეორე ფრონტის გახსნის გარდუვალობამ უიმედობა და პესიმისტური განწყობილება სულ უფრო და უფრო გაზარდა გერმანიაში. „სულიერი ფრონტის“ დაცემა ისე შორს წავიდა, რომ გერმანელი გაზეთი „დანციგერ ფორპოსტენი“ თავის 10 თებერვლის ნომერში, იძულებული გახდა ელიარებინა, რომ გერმანიაში ბევრია პესიმისტი, რომელსაც ცხვირი ჩამოუშვია... ასეთი მობუზღუნეების შესახებ ლაპარაკიც კი არ ღირდა, რომ მათი პირქუში განწყობილებანი საშიშროებას არ წარმოადგენდნენ... პესიმისტები უნდა ჩაითვალოს მესაბოტაჟეებად და დეზერტირებად“.

ხალხის ამგვარი განწყობილებით დამფრთხალი ჰიტლერელი ხროვა ყოველ ღონეს ხმარობს თავის არმიის ზურგში „სულიერი ფრონტის“ აღსადგენად და გასამაგრებლად. ფაშისტური გაზეთები სისტემატურად ბეჭდავენ ჰებელსისა და მისი მოწაფეების „გამამხნევებელ საუბრებს“, რომლებშიც ხალხს მოუწოდებენ მოთმინებისაკენ. ეს მაშინ, როცა საბჭოთა-კავშირ გერმანიის ფრონტზე გერმანიის თვითეული ოჯახიშვილი ან უკვე დაიღუპა ანდა განწირულია დასაღუპავად. იმ ათასობით წერილებიდან, რომელსაც ჯარისკაცები თავისიანებიდან ღებულობენ და რომელშიც განუსაზღვრელი სევდაა ჩაქსოვილი, მოგვყავს რამდენიმე. ეს წერილები ნათელჰყოფენ ფაშისტური ჯარების ზურგის განწყობილებებს თვით გერმანიაში. ეფრეიტორი ოტო ცაგლაურს თავისი საცოლე დიუსენდორფიდან სწერს:

„რატომ სახლში არ გგზავნიან ეს მაიმუნები? მე უკვე ყოველი იმედი დავკარგე და მზად ვარ გარშემო ყველაფერი დავამტვრიო. ჩვენ ხომ განწირულნი და გაყიდულნი ვართ! ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ჩვენი მომავალი ვარდისფრად გვეხატება? მე სასოწარკვეთილება მიპყრობს როდესაც განვლილ წლებზე ვფიქრობ, რა გვქონდა დღემდე? აბსოლუტურად არაფერი! დილიდან საღამომდე ჯაფა, მცირე საჭმელი, ტანისამოსი კი მხოლოდ ის, რაც ტანზე მაცვია და ამას უნდა ვჯერდებოდე... უკვე სამი წელიწადია, რაც შენი თავი მომაშორეს, და ჩვენ უბადრუკად უნდა ვბოგინობდეთ, მხოლოდ ისე, როგორც ნაბრძანებია. საუკეთესო წლები გადის, მე კი მხოლოდ მძიმე სამუშაო მინახავს და ვერასოდეს ვერ ვჭამ მაძღრისად. დამშვიდებულ ძილზე ოცნებაც არ შეიძლება. ერთი სიტყვით, ისე მომბეზრდა ყველაფერი, რომ ერთი იმედიღა დამრჩენია: იქნებ ყველაფერი მალე ყოველი მხრიდან აფეთქდეს. და ეს გარდუვალია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მარტო ჩემი აზრი როდია. ყველანი ჩივიან გარდა ვაჭრებისა, რომლებიც კვლავ გამორჩენას პოულობენ“.

გერმანელ ჯარისკაცს გოტფრიდს აღმოაჩნდა წერილი, რომელიც მისთვის ცოლს მოუწერია მარიენვაიერიდან. წერილში ნათქვამია: „უკვე შეუძლებელია ომის სიდუხჭირის გადატანა. ჰანსი უკვე 8 დეკემბრიდან აღარაფერს იწერება... შენ, საბრალო გოტფრიდ, ფეხები დაგზრომია და ამასთან კიდევ რევმატიზმი გაწუხებს. აბა როგორ შესძლებ ომს ფეხებდაშავებული. შენ უნდა შეგცვალონ. ეს ხომ უსამართლობაა! ნუ თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ყველანი უნდა დავი-

ხოცნეთ? პირდაპირ საშინელებაა!.. ჩვენს მეზობლად ლაზარეთი გახსნეს, რომელშიც კიდურებდამზრალი ჯარისკაცები წვანან. რას არა ნახავ იქ!.. საშინელებაა! უკეთესია კაცი არ ჩაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას, თორემ ჭკუაზე შეიშლება".

გერმანელ ჯარისკაცს ჰერდტ ადლერს უპოვნეს მშობლებისაგან მიღებული წერილი, რომელშიაც ისინი სწერდნენ: „ძალიან შეწუხებული ვართ, რომ შენ აღმოსავლეთის ფრონტზე მოხვდი, შენ ხომ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ხარ... მტრის თავდასხმის შემთხვევაში თხრილში ან სადმე სხვაგან დაიმალე... ეცადე შიკრიკად მოეწყო შტაბში. ერიდე მოწინავე პოზიციებს".

გერმანელთა 268-ე ქვეითი დივიზიის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის ტყვე ჯარისკაცმა კარლ შნიკმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მე მხოლოდ 3 დღის წინათ მოვედი და 30 მარტს ტყვედ დავნებდი. ფრონტზე წამოსვლის წინ 14 დღეს ბერლინში ვიყავი. ქალაქში ძალიან შეშფოთებული მდგომარეობაა. მოსახლეობა შიმშილობს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია არიან არაკვალიფიციური მუშები და ჯარისკაცთა ოჯახები. უკანასკნელ მობილიზაციასთან დაკავშირებით, საგრძნობია მუშახელის მწვავე ნაკლებობა. ხელისუფალნი იძულებითი წესით ჰგზავნიან ქარხნებში ინვალიდებს და ქალებს, ბერლინის ქუჩებში ღამით უცნობი პირები აკრავენ შემდეგ ლოზუნგიან ფურცლებს: „ძირს ჰიტლერი", „ძირს ომი!" მოსახლეობა თანაგრძნობით ეკიდება ამ ლოზუნგს".

ფაშისტებმა თავიანთი აღსასრულის წინ მთელი ძალები დაძაბეს, ბრძოლის ველზე რეზერვები მოაყარეს და გააფთრებული იერიშებით მოიწევენ კავკასიისაკენ. დამშეულ ფაშისტ ბარბაროსებს გაჭირვება მოერეკება წინ, მათ ელევათ სურსათი, საწვავი, ნედლეული, მაგრამ მძლავრი წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი ამ მგლურ მადას გულშივე ჩაუკლავს ჰიტლერელებს.

„ომმა დიდად გაუცრუა იმედები გერმანელ ხალხს, მოუტანა მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი, შიმშილი, გაღატაკება. ომს ბოლო არ უჩანს, ადამიანთა რეზერვები კი იღევა, ნავთი იღევა, ნედლეული იღევა. გერმანელ ხალხში უფროდაუფრო მატულობს იმის შეგნება, რომ გერმანიის დამარცხება აუცილებელია" (ი. **სტალინი**).

მარტა დოდი

საელჩოს ფანჯრიდან *)

ნაცისტების პორტრეტები

მე ცოტად თუ ბევრად ვიცნობდი თითქმის მთელ ნაცისტურ ზედაფენას და მათს მესუფრეებს. არაოფიციალურ ვითარებაში ჰიტლერს მხოლოდ ერთხელ შევხდი, მაგრამ პარადებზე, ოპერაში, დარბაზობათა დროს ხშირად ვხედავდი მას, ოლიმპიადაზე კი ვხედავდი თითქმის ყოველ მეორე დღეს, რადგან დიპლომატიურ ლოჟაში ვიჯექი ზედ მის ცხვირწინ.

იყო დრო, როდესაც გერმანელებს უყვარდათ ჰიტლერი. კინოში, როცა იგი ეკრანზე გამოჩნდებოდა, ხალხში ტაშისცემაც კი ატყდებოდა ხოლმე. ბერლინში ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მაყურებლები კინოში ყურადღებით უცქეროდნენ ეკრანს, გულდასმით ისმენდნენ, მაგრამ როდესაც ჰიტლერი ლაპარაკს ან ჯარის წინ ჩამოვლას დაასრულებდა ხოლმე, დარბაზში ისევ ისეთივე დაძაბული სიჩუმე მეფობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ გავიგონე კინოში კანტი-კუნტი ტაშისცემა. 1937 წელს, როდესაც მუსოლინი ბერლინში ჩამოვიდა, მისი სიტყვა კინოაფსკაზე გადაიღეს და ის ჰიტლერთან ერთად გამოჩნდა ეკრანზე. როცა ხალხმა დაინახა მუსოლინი, თავგანწირულად რომ იქნევდა ხელებს და ბოლდოგისებური ყბა გამოებერა, იგი ამ სულელურ და საზიზღარ სანახაობას შეურაცხმყოფელი სიცილით შეხვდა. მე ერთობ არასაქებური კომენტარებიც კი გავიგონე, რომლებიც ხმადაბლა წარმოსთქვეს სადღაც გვერდზე მუსოლინის მისამართით. ხოლო როდესაც მუსოლინი ჰიტლერმა შესცვალა, დარბაზში კვლავ დაძაბული სიჩუმე გამეფდა. ღერძი ბერლინი—რომი მეტად არაპოპულარულია საშუალო გერმანელის თვალში, და მან დაუყოვნებლივ ისარგებლა შემთხვევით იმისათვის, რომ ამ ღერძის გამო თავისი უკმაყოფილება გამოეხატა.

ერთი ჩემი მეგობარი ქალი, გატაცებული სპორტსმენი და ფემინისტი, ერთხელ ჰიტლერს მიუნქენში შეხვდა არაოფიციალურ გარემოებაში, საუზმეზე. იგი მიამბობდა, რომ თავდაპირველად ჰიტლერს თავი ეჭირა როგორც სავსებით

---

*) ამ ნარკვევის ავტორია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ბერლინელი ელჩის უილიამ დოდის ქალიშვილი, რომელმაც მამასთან ერთად ხუთი წელი (1934—1938 წწ.) გაატარა ფაშისტურ გერმანიაში. აქ მარტა დოდი მარტივად გადმოსცემს იმ საშიხელებებს, რაც მან ფაშისტურ გერმანიაში ნახა.

მარტა დოდის ნარკვევი წიგნად გამოვიდა და ფართოდ გავრცელდა ამერიკაში, სადაც დოდიმ მოწონება დაიმსახურა, როგორც ჰიტლერული გერმანიისა და ფაშიზმის სისხლიანი ტერორისტული რეჟიმის მამხილებელმა და საბრალმდებლო დოკუმენტმა.

აქ წარმოდგენილია მარტა დოდის წიგნის ზოგიერთი ნაწყვეტი ფაშისტური გერმანიის შესახებ.

ნორმალურ ადამიანს, შემდეგ კი უცბად ერთერთ თავის საყვარელ თემაზე გადაუხვია და დაუსრულებელი გააფთრებული მონოლოგი წარმოსთქვაო.

მამაჩემმა ოლიმპიადის მხოლოდ ბოლო ნაწილს მოუსწრო, ამიტომ პირველ დღეებში მე მისი ბილეთით ვსარგებლობდი და დიპლომატიური ლოჟის სულ ბოლოში გავდიოდი ხოლმე იმისათვის, რომ ჰიტლერის ახლოს ვყოფილიყავ. მე მას, რასაკვირველია, ნაკლებს არ ვუცქეროდი, ვიდრე სტადიონს. შეჯიბრებაზე იგი თითქმის ყოველდღე დადიოდა და ამერიკელი სპორტსმენების საუცხოო გამოსვლებს უყურებდა. გამარჯვებულნი ჩვეულებრივად ჰიტლერის ლოჟასთან მიდიოდნენ და მისგან მილოცვებს ღებულობდნენ. მაგრამ ყოველთვის, როდესაც გამარჯვებული გამოდიოდა ოუენსი ან ამერიკის გუნდში შემავალი რომელიმე სხვა ზანგი, ჰიტლერი ლოჟაში აღარ იყო. შეჯიბრების ერთერთ დღეს ამერიკის დროშა ხუთჯერ აღმართეს, თითქმის ხუთჯერვე ზედიზედ, და ყველა დამსწრეს ფეხზე დგომით უნდა მოესმინა ჩვენი ეროვნული ჰიმნი. ჰიტლერი გამარჯვებულებს მიესალმებოდა, ხელი აეწია და ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ხოლო თუ გერმანელი გაიმარჯვებდა, იგი ბავშვივით აღტაცებული წამოვარდებოდა ზეზე და მისი აღტაცება და სიხარული განუსაზღვრელი იყო. ჰიტლერის მთელი შესახედაობისა და საქციელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას იოტისოდენი წარმოდგენაც კი არა ჰქონდა ნამდვილ სპორტზე და არ შეეძლო მისი დაფასება, როგორც ასეთისა. მისთვის ოლიმპიადა მხოლოდ და მხოლოდ გერმანიზმის იდეის სახელის განთქმას ემსახურებოდა და იგიც სწორედ მხოლოდ ამიტომ მიესალმებოდა იმ გერმანელ სპორტსმენებს, რომლებიც პირველ ადგილებზე გამოვიდნენ.

ერთხელ დიპლომატიურ ლოჟაში ამერიკელი მწერალი ტომ უოლფი იჯდა. ოუენსის ერთერთი ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ტომმა თავი ვერ შეიკავა და მთელი ძალღონით აღრიალდა. ჰიტლერი სკამზე ატოკდა, ქვეით ჩაიხედა, იგი თვალებით დაეძებდა ამ ბოროტმომჭმედს, შემდეგ კი მრისხანედ მოიღუშა.

რიბენტროპის ერთერთ თანამშრომელთან, თითქოს არც თუ ბრიყვ კაცთან საუბრიდან ერთხელ გამოვარკვიე, რომ ნაცისტები ზანგებს ცხოველებთან ათანაბრებენ და ფიქრობენ, რომ ოლიმპიადაზე მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. ამ უმაწვილმა თავისი აზრი განავითარა და სთქვა: — რასაკვირველია, გერმანელებს რომ იმდენად არასწორად ესმოდეთ სპორტის იდეა, რომ სტადიონზე ირმები ან რომელიმე სხვა ფეხმარდი ცხოველები გამოუშვან, მაშინ გერმანია პირველობის პალმას წაართმევდა ამერიკას.—მან დაუმატა, რომ ჩვენ, ამერიკელები, წესებს ვარღვევთ, როცა გერმანული რასის საუკეთესო წარმომადგენლებთან შესაჯიბრებლად ვუშვებთ ისეთ მოუთავებელ ადამიანებს, როგორიც არიან ოუენსი და სხვა ზანგი სპორტსმენები, და რომ ოლიმპიადის მსაჯებმა ეს უნდა აკრძალონ! მე მეზიზღებოდა მისი ბოროტი ყბედობის მოსმენა, მაგრამ, როცა ჩავუფიქრდი, მივხვდი, რომ ასეთი პოზიცია, იქნებ უმნიშვნელო ცვლილებებით, უპირავთ ნაცისტებს არაარიული წარმოშობის ყველა ადამიანის მიმართ. ამგვარ სუბიექტებთან კამათი არ შეიძლება.

მე რომ ჰიტლერის რამდენიმე სიტყვით დახასიათება დამჭირვებოდა, ვიტყოდი, რომ თანამედროვე მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მოღვაწეთაგან ეს არის ყველაზე ფანატიკური ადამიანი, რომელიც თითქმის სიგიჟემდეა მისული. ამ ბნედიანმა მანიაკმა დაიმორჩილა გერმანელი ხალხი, რადგან ფინანსიური და მორალური დახმარება მიიღო დემოკრატიული წყობილების გამო უკმაყოფილო

ელემენტებისაგან—იუნკრებისა, მემამულეებისა, მსხვილი მრეწველებისა, ბანკირებისა და ყველა ჯურის კონსერვატორებისაგან, რომლებიც მოწყურებული იყვნენ „საიმედო“ მთავრობას და ტახტიდან ჩამოგდებულ ჰოჰენცოლერნებსაც კი. ჰიტლერმა ძლივს-ძლიობით მიჩქმალა მის მიერ მოწყობილი ცეცხლის წაკიდების კვალი, განგსტერების დახმარებით სათავეში ჩაუდგა ძალაუფლებას და მუშათა კლასს დაჰპირდა თავისუფლება, ხოლო ბურჟუაზიას—აყვავება. ყველა ეს ფაქტი ამჟამად საკმაოდ ცნობილია, მაგრამ მათი გახსენება ზედმეტი არ იქნება ახლა, როდესაც ზედიზედ ჩადენილი გამცემლობა სულ უფრო და უფრო ემუქრება ევროპის ცივილიზაციას და როდესაც რეაქციის ძალები მოქმედებენ ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს ამერიკაშიც.

უგუნურება, ფლიდობა, სრული უჭკუობა, ინტელექტის სრული უქონლობა აშკარად აღბეჭდილია ჰიტლერის სახეზე, და მისდამი ობიექტიური დამოკიდებულება პირდაპირ წარმოუდგენელია, თუ მისი საქციელის ფარულ მიზეზს და ჰიტლერული სახელმწიფო მანქანის მთელ საიდუმლო მექანიზმს იცნობ. ჰიტლერს ჰყავს ჭკვიანი, საშინლად გაქნილი მრჩეველნი ნეირატის, დიკხოფის და საგარეო საქმეთა სამინისტროში მომუშავე სხვა ადამიანების სახით, რომლებიც თვით ჰიტლერზე უფრო ზომიერი ხალხის რეპუტაციით სარგებლობენ. როდესაც მის ჟესტიკულაციას უცქერი, როდესაც ხედავ მის საზეიმო ნაბიჯს, რომლითაც იგი მწყობრს ჩაუვლის ხოლმე, მის მისალმებებს გაცოფებული ბრბოსადმი, მისალმებებს, რაც ნარკოზივით მოქმედებს მის დაავადებულ ტვინზე, რწმუნდები, რომ ფსიქიატრებთან მკურნალობის კურსი—აი რა არის საჭირო ამ კაცისათვის, რომელიც მძლავრ სახელმწიფოს მეთაურობს და მთელ თანამედროვე მსოფლიოს ემუქრება. ხელისუფლებასა და სახელზე ოცნებამ თავისი დაღი დაასვა მის სახეს და ტანს; ალბათ, ასეთივე დაღი დაასვა ამ ოცნებამ მის ტვინსაც. თავისი ნებისყოფა და თავისი სიბრძნე მას უზადო, უებრო, უცილობელ რამედ მიაჩნია. ჰიტლერი ხან კატასავით მოქნილია, ხან სასტიკი და ხარივით ჯიუტია; იგი აწყობს გულდასმით მომზადებულ, რთულ ინტრიგებს, რომლებიც შეიძლება მხოლოდ შეშლილის თავში დაიბადოს; მისი განზრახვები, თავისი არსებით ბოროტი და ბავშვური აზრის ფიცხი მუშაობის ნაყოფია. იგი სალაშქროდ გაემართება ფაშიზირებული ევროპისა და ჰიტლერიზირებული ფაშისტური სახელმწიფოს შექმნის მიზნით, თუნდაც ამისათვის საჭირო დარჩეს მუხლებამდე ტალახში და სისხლში სიარული და პირდაპირ ომით გაპარტახებული ევროპის ჯოჯოხეთში შესვლა. ყოველივე ეს შეიძლება ამოიკითხოთ მის დამჭკნარ და დეგენერატულ სახეზე, მიუხედავად მისი მბრძანებლური გამომეტყველებისა; შეიძლება შენიშნოთ მის ნაპოლეონისებურ სიარულში. ასეთია ფაქტები, რომლებსაც აღიარებს ყველა დიპლომატი, ყველა რამდენადმე ყურადღებიანი დამკვირვებელი, ვისაც საშუალება ჰქონდა რამდენიმე ხნის განმავლობაში თვალყური ედევნებინა გერმანიის ცხოვრებისათვის. ევროპამ და მთელმა დანარჩენმა მსოფლიომ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ღირსეული პასუხი გასცეს ჰიტლერს, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის.

ბარბაროსობისა და შუასაუკუნეთა წყვდიადისაკენ გერმანიის დასაბრუნებლად ჩადენილი დანაშაულის უდიდესი ნაწილი მას ეკისრება.

—.—

გერმან ჰერინგი ყველასათვის ცნობილია როგორც ნაცისტი № 2, პრუსიის მინისტრი-პრეზიდენტი, ავიაციის მინისტრი, გერმანიის საჰაერო ძალთა მეთა-

ური, ფელდმარშალი, ინფანტერიის გენერალი, პრუსიის სახელმწიფო პოლიციის მეთაური, რაიხსკანცლერი, პრუსიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო სატყეოს მმართველი, სახელმწიფო ნადირობის მმართველი (თითოეულ ამ თანამდებობისათვის მას თითო მუნდირი მაინც ეკუთვნის). ჯერ კიდევ ჰაბუკობის წლებში იგი ცხოვრობდა იმ მკვლელობათა, სისხლისა და საშინელებათა ატმოსფეროში, რომლებითაც აღსავსეა საჰაერო ომი. იგი ტკბებოდა თავისი მომაკვდინებელი ხელობით, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჰერინგის ყველა ინსტინქტზე, დაამახინჯა მისი ინტელექტი.

ჰერინგი დაიჭრა 1914—18 წლების ომში. თუმცა ბევრი ამტკიცებს, თითქოს იგი ნარკომანი ჯერ კიდევ ჭრილობის მიღებამდე გახდაო, მე მაინც უფრო ისა მჯერა, რომ ამ ჩვეულებამ მასში უფრო გვიან იჩინა თავი. ყოველ შემთხვევაში, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის, რომ ჰერინგს მრავალი წელია ძლიერი მიდრეკილება აქვს ნარკოტიკებისადმი. ჰერინგს და მის ბნედიან ცოლს სწორედ დედის ავადმყოფობისა და მამინაცვლის ცუდი ჩვეულებების შედეგად ჩამოართვეს ამ ქალის პირველი ქორწინებისაგან დარჩენილი ბავშვის აღზრდის უფლება. 1925 წელს ჰერინგი ნერვიულ ავადმყოფთა სანატორიუმში აღმოჩნდა შვეიცარიაში (თავისი საკუთარი სურვილით თუ ძალდატანების გზით), სადაც იგი თითქოს განკურნეს ნარკომანობისაგან.

ერთი ნაცნობი ბერლინელი ჟურნალისტი მარწმუნებდა, რომ ჰერინგი დღემდე ემონება თავის ჩვეულებას ნარკოტიკებისადმიო. იმ კაცს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჰერინგთან, მრავალჯერ მიუღია იგი შინ და საერთოდ მუდამ ხვდებოდა ჰერინგს. მისი ნაამბობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ხშირად უნახავს ჰერინგი, როდესაც ეს უკანასკნელი კოკაინის გავლენის ქვეშ იყო და შემდეგ ნელ-ნელა გამოდიოდა ამ მდგომარეობიდან. საზოგადო ადგილებში, დღესასწაულებზე, პარადებზე, სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, იქ, სადაც ჰერინგს ხედიხედ რამდენიმე საათის გატარება უხდებოდა, მის ბრწყინვალებას, სიცოცხლეს, ენერგიას ხშირად სცვლიდა ჩლუნგი პასიურობა და უგუნებობა; თვალები ემღვრეოდა და იგი სადღაც შორს იცქირებოდა. ყველა ეს ფაქტი შეიძლებოდა მეტისმეტად ინტიმიური და პირადი გვეგონოს, მაგრამ ისინი საგრძნობლად გვიხსნიან ერთერთი ყველაზე ძლიერი ნაცისტის თავხედურ ხასიათს და, ამას გარდა, შუქსა ჰფენენ მის წინანდელ, ახლანდელ და, იქნებ, მომავალ საქციელსაც.

შორიდან ჰერინგის გაბღენძილი ფიგურა შეუსაბამოდ გეჩვენებათ, მაგრამ ახლოდან იგი პირდაპირ შემზარავია. ოდესღაც იგი ტანადი, საშუალო სიმაღლის კაცი იყო, ახლა კი ვეება უფორმო ხორცად ქცეულა; სახეზე ქონი მორევნია. გველის თვალებივით ცივი, განზე გაწეული ცისფერი თვალების ქვეშ ლოყები ბალიშებივით ჰკიდია; ნიკაპი ხომ რაღაც წარმოუდგენელი რამ არის. ყველა მოხაზულობა, მთელი ძვლის სტრუქტურა უკვალოდ გამქრალა ამ უხეშ დონდლო მასაში, რომელსაც თავაზიანად უწოდებენ სახეს. როდესაც მას უყურებ, გასაგები ხდება მწარე ირონია, რაც საფუძვლად უძევს ფართოდ ცნობილ სახუმარო განსაზღვრას ტიპიური ნაცისტისას, რომელიც, როგორც გერმანელები ამბობენ, „ჰერინგივით გამხდარი“ უნდა იყოს.

დედაჩემი სწორუპოვარი იუმორით ჰყვებოდა ერთ ისტორიას, რომელიც მას შეემთხვა. ერთხელ, ერთერთ კონცერტზე, რასაც რეგულარულად მართავდა იტალიის საელჩო და რაც მთელი დიპლომატიური კორპუსის საშინელ მოწყე-

ნილობას იწვევდა, დედაჩემი გენერალ ჰერინგის უკან მოხვდა სკამზე და, სამწუხაროდ, მოხვდა ძალიან ახლოს. მას ეცვა მფრინავის ფორმა, რომელიც, როგორც ამბობენ, გერმანიის საჰაერო ძალებისათვის შეკერეს მისი საკუთარი ნახატის მიხედვით. ეს მუნდირი ტანზე კარგად მომდგარია, წინ ფართოდ არის ამოჭრილი, უკან კი ხელთათმანივით შემოჭერილია ზურგზე და დუნდულები გულის ფორმის მსგავსად მოსჩანს. დედაჩემი ჰერინგს რომ მიესალმა და სხვა სტუმრების ჯგუფს შეუერთდა, მოტრიალდა და ისეთი რამ დაინახა, რამაც თავზარი დასცა: ეს მაგრად მოჭერილი სხეულები სულ ცოტა სამჯერ მაინც აღემატებოდა ადამიანის ნორმალურ ზომებს. როდესაც ყველანი დასხდნენ, დედაჩემმა ძრწოლით დაინახა, რომ ჰერინგი მის წინ ჯდებოდა და ცდილობდა რაც შეიძლება ნაკლები რისკით მოეთავსებინა თავისი უკანალი პაწია მოოქროვილ სკამზე. დედა შესანიშნავად ჰყვებოდა თავის მაშინდელ მძიმე განცდების შესახებ—ერთიც ვნახოთ, სკამი გამტყდარიყო, და მაშინ ჰერინგი პირდაპირ დედაჩემის მუხლებზე დაეცემოდა.

ჰიტლერი გერმანიაში რომელიღაც სხვა სამყაროდან მოვლენილი გეგონებათ. არც მის გარეგნობაში და არც მისი ცხოვრების ნირში არაფერი გერმანული არ არის. სამაგიეროდ ჰერინგი ტიპიური გერმანელია. იგი ხარბი, ლოთი კაცია, ძალიან მსუნაგი და პირის გემო მოყვარული. ქალები უყვარს და ამას არც მალავს. ბებერი კაცივით თაყვანს სცემს ბალერინებს, რომლებიც თითქმის მუდამ ამშვენებენ მის მდიდრულ დარბაზობებს. პირველი ცოლი მან სიყვარულით შეირთო და ახლაც ბედნიერია მეორე ცოლთან, იდეალურ გერმანელ ფრაუსთან, ზრდის ჯანმრთელ, ტანადს ქალიშვილს. ჰერინგი აღზრდილია 1914—18 წლების ომის ტრადიციებზე. ჰერინგი—ჯარისკაცია, ქერაა, იგი არიელი და კონსერვატორია როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის დარგში.

ჰერინგს საერთო არაფერი აქვს იმ კაცთან, რომლადაც ცდილობს თავის მოჩვენებას და რომლადაც ასაღებენ მას სხვა ნაცისტები. იგი ყველაზე მძვინვარე, ყველაზე უპასუხისმგებლო და საშიში კაცია მთელს ნაცისტურ გერმანიაში. იგი უდიდესი ხელისუფლებით სარგებლობს. ჰიტლერი რომ მოკვდეს ან თვით ჰიტლერმა იგი თავის მარჯვენა ხელად რომ გაიხადოს, ჰერინგს, სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურს (წინად კი საიდუმლო პოლიციის მეთაურსაც), პრუსიის პრეზიდენტს, ეკონომიური გეგმის ხელმძღვანელს და თავისი საკუთარი საკმაოდ მნიშვნელოვანი საპოლიციო კორპუსის სარდალს, შეეძლო ყველაფერი ისევე აბსოლუტურად დაემორჩილებინა თავისი ძალაუფლებისადმი, როგორც თვით ფიურერმა დაიმორჩილა. ამ მეტად პატივმოყვარე, სასტიკ, გულცივ, შურისმგებელ, მთლად სინიდისგარეცხილ ადამიანს შეუძლია გერმანია მწუხარებისა და სისხლის კიდევ უფრო ღრმა უფსკრულში გადასჩეხოს. და ამიტომ გასაკვირველი არ არის სიტყვები მამაჩემისა, რომელმაც სთქვა, რომ 30 ივნისის შემდეგ ეს ნაცისტი, ორ სხვა ნაცისტთან ერთად, არასოდეს ჩემი სახელით მოწვეული არ იქნება ამერიკის საელჩოშიო. ნაცისტურ პარტიაში ხუთი წლის მანძილზე ბატონობის შემდეგ, რაც შეიძლება მხოლოდ თვით ფიურერის ბატონობას შეედაროს, ჰერინგი ჰიტლერის პოტენციურ მემკვიდრედ ითვლება. ამ ხნის განმავლობაში მან მოასწრო ანგარიშის გასწორება თავის მტრებთან, ისეთებთან, როგორიც არიან ფონ-შლეიხერი, ფონ-პაპენი, შახტი და ზოგიერთი კონსერვატორი სამხედრო სარდლობიდან. ჰერინგი არც მკვლელობას ერიდებოდა და არც თავისი მოჭიშპეების მოსპობის რაიმე სხვა საშუალებას. ნაცისტური პოლიტიკის ანალიზის დროს გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა. რომ ჰერინგი არ

არის იმ სისხლის წვიმის ერთერთი მთავარი ინციატორი, რომელიც რემშლეიხერის ჯგუფს მოუწყეს, ანდა ამ სისხლის წვიმის პრუსიული ფინალის ინიციატორი. ჰერინგს უკიდურესი პოზიცია უჭირავს ნაცისტურ პარტიაში. მის ბაქიაობასა და მკვეხარობაში, რაც ბევრს ესოდენ უწყინარ და თავშესაქცევ მოვლენად ეჩვენება, ნამდვილად დაფარულია ხელისუფლებისადმი მისწრაფება, ისევე თავაწყვეტილი და თავისი ძალით დამანგრეველი, როგორც თვით ჰიტლერის მისწრაფებაა.

მისი სავსებით აშკარა მონაწილეობა რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებაში და შემდგომი დამამცირებელი საქციელი ლაიპციგის პროცესზე, სრული სიცხადით მოწმობს, თუ რა მეთოდებს იყენებს ჰერინგი თავისი საკუთარი მიზნების მისაღწევად და იმ პარტიის მიზნების განსახორციელებლად, რომელსაც თვითონ ეკუთვნის და რომელზედაც დამოკიდებულია მისი არსებობა. რაიხსვერის სარდლობა ჰერინგს ქედმაღლურად და ერთგვარი შურით უცქეროდა, მაგრამ რაიხსვერელთა ამასწინანდელმა დარბევამ ძალიან დიდად შეუწყო ხელი მას. მისი ერთერთი დაუძინებელი მტერი იყო შახტი, რომელიც ნაცისტური პარტიის აღმოცენებიდანვე მის უერთგულეს წევრად ითვლებოდა და ხელისუფლების აღებაში დაეხმარა ჰიტლერს 1932—1933 წლების აურზაურის დროს. მაგრამ შახტი რამდენადმე სხვა შეხედულებისა იყო „მესამე იმპერიის“ ეკონომიურ პოლიტიკაზე, ვიდრე ჰერინგი. გასული წლის შემოდგომაზე ყველას თვალში ეცა ის გარემოება, რომ კაბინეტის სხდომებზე შახტი აღარ მოსჩანდა, ხოლო ამის შემდეგ მალე იგი საბოლოოდ გადააყენეს თავისი პოსტიდან. ჰერინგის ქარხნებმა—„გერმან ჰერინგ ეიზენვერკემ“—ცენტრალური ადგილი დაიკავა ახალ ეკონომიურ დაგეგმვაში, ხოლო თვით ჰერინგს ეგრეთწოდებული ოთხწლიანი გეგმის ხელმძღვანელობა მიანდეს. ამ „ოთხწლედში“ ყველაზე მეტი სისრულით იჩინა თავი ნაცისტური გერმანიის თვითმკვლელურმა ეკონომიურმა სისტემამ. უზარმაზარი ხარჯების გაწევის გზით მეოთხე წლის დამლევისათვის გერმანია უნდა გამხდარიყო ისეთ საწარმოო მთელად, რომელიც თავის თავს დაიკმაყოფილებდა. მთელ ნაციონალურ რესურსებზე და ობივატელის ჯიბეზე დაწოლა ჯერ კიდევ იგრძნობა და მომავალშიც საგრძნობი იქნება, მიუხედავად ჩეხოსლოვაკიის მდიდარი რაიონების შემოერთებისა. შახტი ამ უგუნური გეგმის წინააღმდეგ ილაშქრებდა და გადააყენეს.

ახლა გერმანიაში ყველაფერი შემცვლელებისაგან მზადდება, დაწყებული უმარტივესი საოჯახო საგნებით, კვების პროდუქტებითა და ტანსაცმლით, და დამთავრებული ქვეყნის ეკონომიკის ისეთი ძირითადი ნივთებით, როგორიცაა გაზი, კაუჩუკი, ნავთი, უკანასკნელ ხანებში კი რკინაც. ხარჯები, რასაც ყველა ამ პროდუქტის ხელოვნური წარმოება მოითხოვს, უდიდესია, და ფინანსიური კონტროლის უსასტიკესი სისტემის არსებობის პირობებშიც კი არაეკონომიურია, დიდ რისკთან არის დაკავშირებული და, ბოლოსდაბოლოს, აურაცხელია.

ესპანეთში, ჩინეთში, აბისინიაში, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში გადადგმული აგრესიული ნაბიჯების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფაშისტებს იმ დაძაბულობის შემასუსტებელ ერთადერთ საშუალებად, რასაც მათი ქვეყნები ავტარკიული პოლიტიკის შედეგად განიცდიან, ეკონომიური იმპერიალიზმი მიაჩნიათ. მაგრამ ისიც კი მათ კიდევ უფრო მეტ გაჭირვებას უქადის, რადგან ოკუპირებული ქვეყნების საექსპლოატაციოდ საჭიროა მასალები და ფული. ამრიგად, გამოუვალი მდგომარეობა იქმნება, და გერმანიაში სულ უფრო და უფრო უარესდება პირობები. ზოგიერთი ნაცისტი, როგორც მაგალითად იგივე შახტი,

აღიარებს, როგორ ჩიხში შეიძლება მოაქციოს ისინი ამგვარმა პოლიტიკამ: წინ არის ომის პერსპექტივა ან ამ გეგმების სრული ჩაფუშვა, ხოლო, როგორც ყველამ იცის, ფაშისტი მმართველნი უმალ ომს ამჯობინებენ, ვიდრე სახელმწიფოს შიგნით მარცხს.

მილიტარისტული თვალსაზრისით „მესამე იმპერიაში“ არ არის პოლიტიკოსი, თვით ჰიტლერის ჩათვლით, რომელიც ჰერინგზე უფრო უკიდურეს შეხედულებებს ადგეს. იგი აცხადებს, ნაცისტური საჰაერო ძალები უძლეველიაო. მაგრამ ესპანეთში გერმანიისა და იტალიის თვითმფრინავებმა არც თუ ისე ბრწყინვალედ გამოიჩინეს თავი და ხშირად გაურბოდნენ სხვა მანქანებს, რომლებიც საერთოდ შეუდარებლად უფრო ცუდი კონსტრუქციისა იყვნენ და მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები რაოდენობით მიფრინავდნენ საბრძოლველად. 1938 წლის შემოდგომაზე ჩარლზ ლინდბერგმა განაცხადა, გერმანიის საჰაერო ფლოტი მსოფლიოში საუკეთესო ფლოტიაო. მაგრამ თვითმფრინავი მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ნამდვილ ძალას, როდესაც მას საუცხოო მფრინავი მართავს, ხოლო ის, რასაც ადგილი ჰქონდა ესპანეთში, გვაიძულებს ეჭვი შევიტანოთ საჰაერო ომისათვის არც თუ მცირე მნიშვნელობის მქონე ამ ფაქტორის ხარისხში. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ საბჭოთა რუსეთს დიდი საჰაერო ფლოტი ჰყავს, ხოლო, თუ ესპანეთის ომის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ფლოტი ჩინებულად მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე რიცხვობრივად ბევრად აღემატება მას. ყველა კომპეტენტური პირი, რომლებიც ომის დროს ესპანეთში იყვნენ, აცხადებენ, რომ რუსეთის გამანადგურებლებს ბადალი არ მოეპოვებათ. რასაკვირველია, მათ შესახებ საბოლოო აზრის გამოტანა ჯერ კიდევ არ შეიძლება. საბჭოთა მანქანები სავსებით გამოაელინებენ თავის თავს გადამწყვეტ ბრძოლებში.

კვების პროდუქტები, მასალები და სამხედრო საჭურველი გერმანიას ეყოფა ომის პირველი თვეების მანძილზე, მაგრამ შემდეგ მას ამ საკითხებზე სერიოზული დაფიქრება მოუხდება. აი რატომ ესოდენ უყვართ ლაპარაკი „ელვისებურ ომზე“—ჰერინგისა და ზოგიერთი იმ სხვა პირების გამოგონებაზე, რომლებიც ცდილობენ თავისი თავი და არმია დაარწმუნონ, რომ ევროპაში ომი რამდენიმე თვეში დამთავრდება. ასეთია გერმანული ფსიქოლოგიის თავისებურება: 1914 წელს გერმანია და ზოგიერთი სხვა ქვეყნები დარწმუნებული იყვნენ, რომ მსოფლიო ომი ნახევარ წელიწადში დამთავრდებოდა. მაგრამ ახლა არა მარტო გერმანია, არამედ ევროპის სხვა ერებიც ამ საკითხზე უფრო პესიმისტური შეხედულებისა არიან, რადგან, უეჭველია, საშინელი, მწარე გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ომი არ არის კვირა დღეს გამართული არიფანა, რომელიც მზის ჩასვლისთანავე მთავრდება.

—.—

ჰებელსს ნაცისტური მოძრაობის ტვინს უწოდებენ. მკვახე და გამჭირდავი, ყოვლად უსინდისო ადამიანი, რომელიც ნაცისტების ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ფრთას ელაქუცება, მაუწყებელი სოციალიზმის მსგავსი რამისა, რასაც არ შეუძლია ვინმე და მით უმეტეს უბრალო ხალხი გააბრიყვოს. ეს კაცი, ისე როგორც არავინ სხვა, თავის თავისადმი სიძულვილისა და უნდობლობას იწვევს ნაცისტურ ბანაკში. ებრაელების ამ ოფიციალურ მდევნელს, გაზეთის რედაქტორს, პროპაგანდისა და სახალხო განათლების სამინისტროს მენტორს მღრღნელი ცხოველის სახე და მისივე ჩლუნგი გონება აქვს.

რაღაც ხუთიოდე ფუტის სიმაღლე გამხდარი ტანი; მახინჯი ფეხი, რომელსაც მიათრევს ხოლმე; ყვითელი, დალეული სახე; გრძელი ვიწრო თავის ქალა და კისერზე გადმომდგარი კეფა; დიდი, გაბზეკილი, ღრმად ჩამჯდარი ყურები; გრძელი, თხელი შავი თმა; ფართო, მოძრავი პირი; ტლანქი ულამაზო ცხვირი—ასეთია დოქტორი ჰებელსი, ნაცისტური არეოპაგის ყველაზე არაგერმანული, ყველაზე არააარიული წარმოშადგენელი.

ნაცისტების თვალში სიკოქლე ადამიანს შთამომავლობის უფლებას ართმევს და იმაზე ლაპარაკობს, რომ თვით იგი შერეული ქორწინების ნაყოფია. სტერილიზაციის შესახებ გამოცემულ ნაცისტურ კანონებში რომ ლოგიკისა და ობიექტუროობის ნატამალი იყოს, დოქტორი ჰებელსი დიდი ხანია სტერლიზებული იქნებოდა. მაგრამ ჯერჯერობით იგი, უეჭველია საყოველთაო მოწონებითაც, თავისი მოდგმის იმდენ ნაშიერს აჩენს ქვეყნად, რამდენის ატანასაც მისი ცოლი ეთანხმება. ჰებელსს ჰყავს სამი თუ ოთხი ქალიშვილი და ცოლის პირველი ქორწინებისაგან დარჩენილი ნაშვილები ვაჟი.

ჰიტლერმა და მისმა დამქაშებმა, რომლებსაც ჰებელსი ჯერ კიდევ იმ წლებში შეუხმატკბილდა, როდესაც ნაცისტური პარტია ის-ის იყო ყალიბდებოდა, არ დააყოვნეს „პატარა დოქტორის“ თავისებური ნიჭის დაფასება. მას გამოუნახავს სამუშაო, რომელიც, მისი გართულებისა და უფრო ფართო გაქანების მიუხედავად, არსებითად დღემდისაც წინანდელ სამუშაოდ რჩება. ნაცისტური პარტიის თითქმის ყველა ახალი კამპანია, ახალი ლოზუნგები და ახალი ფანდები, რომლებიც ხალხის გადასაბირებლად არის მიმართული, დოქტორ ჰებელსის მიერ გამოგონილი და განხორციელებულია. მისი იდეები გრანდიოზული მასშტაბებით ხორციელდება და მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია „ნაცისტური საცირკო წარმოდგენების“ სახელწოდებით. იგი ცენზურაში ატარებს იმას, რასაც ადამიანები კითხულობენ, იმას, რასაც ისინი უყურებენ, იმას, რასაც ისინი ლაპარაკობენ, იმას, რასაც ისინი ისმენენ, და ცდილობს მათს აზრებსა და გრძნობებსაც კი კონტროლი გაუწიოს.

პროპაგანდა და სახალხო განათლების საქმე შეიძლება ადამიანის მოქმედების თითქმის ყველა დარგზე გავრცელდეს. ნაცისტურ ბიუროკრატიულ სისტემაში მრავალი დეპარტამენტი ნაწილობრივ ერთიმეორის სამუშაოს დუბლირებას ეწევა, და, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდა მოხელეები ხშირად შეიძლება პროპაგანდის სამინისტროში ნახოთ, როდესაც ისინი მეცადინეობენ. ჰებელსი თავის ხელს ურევს თითქმის ყველა ნაცისტურ ქერის ორმოში.

მას ხელთ უპყრია არა მარტო გერმანიის მთელი პრესა და მთელი ცენზურა, რომლის საშუალებითაც ზოგჯერ თავისი კოლეგების გამოსვლებსა და დეკლარაციებს კრძალავს, არამედ იგი უცხოელ კორესპონდენტებსაც კი კონტროლს უწევს. თავისთავად ცხადია, რომ ჟურნალისტურ წრეებში ჰებელსს ვერ ითმენენ და ყოველი მისი უტიფარი საქციელი, ყოველი შეურაცხყოფა, რასაც დაწვრილებით ტყობილობენ საზღვარგარეთ, მხოლოდ ამწვავებს იმ აშკარა მტრობის ატმოსფეროს, რომელიც სრულებით არ ამაღლებს ნაცისტურ გერმანიას მთელი მსოფლიოს თვალში. ჰებელსს ბლაგვ დაშხასავით მახვილი ჭკუა აქვს, მაგრამ ლანძღვა-გინება, რაც მისი ენიდან იფრქვევა, იმდენად გესლიანი და საზიზღარია, რომ ცოტანი თუ შესძლებენ პატივი სცენ ინტელექტს, რომელსაც იგი ესოდენ გულმოდგინედ ავითარებს.

ჰებელსი არის „მესამე იმპერიის“ „ჭკუა“, მისი „ბოროტი სული“. მაგრამ

საეჭვოა რომელიმე სხვა ადამიანს გაეკეთებინოს იმდენი, რამდენიც მან გააკეთა გერმანიის დისკრედიტიზაციისათვის მსოფლიოს თვალში,—ამ მხრივ მას მხოლოდ თვით ჰიტლერი თუ გაუტოლდება. უდავოა, რომ ჰებელსი გერმანიაში დიდი გავლენით და გარკვეული ხელისუფლებით სარგებლობს, მაგრამ მის პოტენციურ ბოროტმავნეობას ის ფაქტი ანელებს, რომ იგი სრულებით არაპოპულარულია. ჰებელსი არ უყვარს არა მარტო მის ყველაზე ბოროტ მოქიშპეს—ჰერინგს, არამედ სხვა კოლეგებსაც, როგორიცაა როზენბერგი, არ უყვართ რაიხსვერელებს, ხალხის მასებს, კონსერვატიულ წრეებს, არისტოკრატიას და ინტელიგენციასაც კი, რომლის თვალში ამაღლება და აღტაცების დამსახურება მას ესოდენ სწადია. მოიერიშეთა და მცველთა რაზმებშიც ჰებელსს ბევრი მიმდევარი არა ჰყავს, თავისი ჯარი და პოლიცია კი მას არ გააჩნია. მდგომარეობა, რომელიც მას გერმანიაში უჭირავს, არასახარბიელოა, და მხოლოდ მარტოკა ჰიტლერი თუ უთმობს მას თავისი გულის ერთ კუნჭულს. ნაცისტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჰებელსი შეუცვლელი კაცია იქ, სადაც საქმე შეეხება პროპაგანდას და მასების ფსიქოლოგიაზე ზემოქმედებას ახალი, ჯერ კიდევ არნაცადი მეთოდებით. ესეც არ იყოს, ჰებელსის კოლეგებს, მიუხედავად იმისა, რომ სულით და გულით სწადიათ მისი გაძევება თბილი ადგილიდან, ყოველგვარი ცვლილება ამ მხრივ საშიშრად მიაჩნიათ: ნაცისტური პროპაგანდის უზარმაზარი საპნის ბუშტი, რომელიც ჰებელსმა საშინლად გაბერა, შეიძლება გასკდეს, ჰაერში ავარდეს, თუ მას ვისიმე უცხო თითები შეეხო.

ჰებელსი მხოლოდ და მხოლოდ ჰიტლერის წყალობით ცხოვრობს და მუშაობს და თავისი პროპაგანდისტული იდეების განხორციელების პროცესში სულ უფრო და უფრო რთულ მაქინაციებს იგონებს; ამავე დროს მან საუცხოოდ იცის როგორი ბედიც მოელის, თუ ჰიტლერი სცენიდან ჩამოვიდა.

„ანგრიფი"—გაზეთი, რომელსაც ჰებელსი რედაქტორობს, აჭრელებულია მყვირალა სათაურებით, დაუნდობელ ანტისემიტურ პოლიტიკას ატარებს, თავს ესხმის სხვა ქვეყნებსა და მათს წარმომადგენლებს, ნაცადი სიზუსტით კვალდაკვალ მისდევს ნაცისტური საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოდნავს ცვლილებებს, პოლიტიკისა, რომელიც, რასაკვირველია, შემუშავებული და გამოთქმულია „ანგრიფის" რედაქტორის დახმარებით. ეს ცრუპენტელა, უგუნური, წმახე და რაღაც უკულმართი ლოგიკით გაჟღენთილი გაზეთი, რომელიც არ თაკილობს ლანძღვა-გინებას, ოფიციალურ ორგანო „ფელკიშერ ბეობახტერთან" ერთად ნიმუშს წარმოადგენს მთელი დანარჩენი გერმანული პრესისათვის.

იმ გერმანელების უმრავლესობა, რომლებსაც ჩვენ გერმანიაში ვხვდებოდით, გვტანჯავდა თავისი აბეზრობით და მოუქნელობით; ბევრი მათგანი სრულიად განუვითარებელი იყო, ყოველი ზედმეტი სიტყვის თქმა ეშინოდათ, ანდა იმდენად აგზნებული იყვნენ ნაცისტური ფანატიზმისაგან, რომ მათთან რამდენადმე კულტურულ, ხალისიან ან საინტერესო საუბარზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ჰებელსი გამონაკლისს წარმოადგენს. სიმართლე რომ ითქვას, ჰებელსი სრულყოფილად ჩასწვდა ხელოვნებას, რომლის მიხედვითაც ადამიანმა თავი უნდა აჩვენოს არა იმად, რასაც იგი ნამდვილად წარმოადგენს. გენერალ ჰერინგს ასეთი ნიჭი არ გააჩნია. ჰერინგს და ჰებელსს ჩვეულებად აქვთ ყოველწლიური დარბაზობის გამართვა დიპლომატიური კორპუსისა, ჟურნალისტებისა, მთავრობის წევრებისა, უცხოელებისა და ბერლინის მაღალი საზოგადოებისათვის. და ყველამ უკვე დიდი ხანია შენიშნა, რომ არც ერთი და არც მეორე არა ჩნდება ხოლმე

დარბაზობაზე, რომელსაც მისი მოქიშპე მართავს. ჰებელსის ერთერმა საღამომ, რომელიც მისი მტრის მიერ გამართულ საუცხოო „საცირკო წარმოდგენის“ შემდეგ იყო დანიშნული, თავისი სრულყოფილობითა და გამომგონებლობით გადააჭარბა ყოველივეს, რაც კი ბერლინში მინახავს.

ბერლინის მახლობლად მდებარე ერთერთი ლამაზი ტბის კუნძულზე მიიპატიჟეს რამდენიმე ათასი კაცი. იქ მათ ელოდა სააღლუმო წესით მიღება, სადილი და საბალეტო წარმოდგენა. სტუმრები კუნძულზე მანქანებით შედიოდნენ ხიდზე გავლით; ხიდი ნაპირიდან იყო გადებული და გვერდებზე მას ნავებში მსხდომი ადამიანები იმაგრებდნენ. თვით კუნძული ერთიდან მეორე ბოლომდე დასერილი იყო უამრავი ხეივნებით, რომლებიც ხეებს შორის და ბორცვებზე გადადიოდნენ. ადამიანთა თავებზე გადაჭიმული იყო პატარა ფერადი ფარნები, ხეივნების გასწვრივ კი პატურად ჩაცმული გოგონები იდგნენ. ფართო ველზე გაშლილი იყო სუფრები და გამართული იყო საბალეტო ესტრადა. ველიც პატარა ფარნებით გაეშუქებინათ, ხშირ მუქ ფოთლებში კი ისხდნენ უზარმაზარი ხელოვნური პეპლები, რომლებიც შიგნიდან გაენათებინათ. მაგიდებზე რთული ნაყმის მსგავსად ჩამოერიგებინათ საღვინე კათხები და უძვირფასესი ნუგბარით დაყურსული უამრავი ლანკნები. სადილის დასასრულს შუშხუნა აანთეს,—ბევრად უფრო გრანდიოზული, როგორც ამაში შემდეგ დავრწმუნდი, ვიდრე ეროვნული ფრანგული შუშხუნა 14 ივლისის დღეს. ეს შუშხუნა დასრულდა გამაყრუებელი აფეთქებითა და გრუხუნით, რამაც ყველას ბომბარდირებანი მოაგონა. ეს მოიარება იმდენად ცხადი იყო, რომ მრავალმა დიპლომატმა, რომლებიც ჩვენს მაგიდას უსხდნენ, ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დასტოვეს და შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი, რადგან მთელ ამ ოინში ყველაზე ცუდი ყაიდის მუქარა დაინახეს. ნასადილევს ბალეტით და სანახაობის მაგვარი რაღაცით გაგვიმასპინძლდნენ. ჩვენ ბოლომდე არ დავრჩენილვართ და, ვიცილობდით რა სხვების ყურადღება არ მიგვეპყრო, გამოვემშვიდობეთ გახალისებულ, მომღიმარ და ერთობ კმაყოფილ მასპინძელს. ამ ფესტივალზე ჰერინგი არ გამოჩენილა.

ბერლინელთა შორის მრავალი მითქმა-მოთქმა იყო ამ გრანდიოზული დღეგასწაულის ღირებულებაზე, რასაც თან ერთვოდა ბოროტი კომენტარები მათს საკუთარ საარსებო პირობებზე და კითხვები იმის შესახებ, თუ სად მიდის „საზამთრო დახმარების“ ფონდში შეგროვილი ფულიო.

ისეთი წარმოდგენის ორგანიზაციით, როგორიც არის ნაცისტური პარტიის ნიურენბერგის ყრილობა, ჰებელსმა სავსებით დაამტკიცა თავისი ნიჭი პროპაგანდისტისა და „განმანათლებლისა“. მას უდავოდ გააჩნია ინტუიციური საზრიანობა, გამოცდილება, გამბედაობა, გააჩნია მასობრივი ისტერიის გამოწვევის უნარი, და ეს თვისებები მას მართლაც ფასდაუდებელ ადამიანად აქცევს ნაცისტებისათვის, რომლებსაც საცირკო წარმოდგენების დაუსრულებელი ნაკადი იმისათვის ესაჭიროებათ, რომ ფაშისტური მასები უგასართობოდ არ დასტოვონ.

—.—

ბალტიისპირელ გერმანელს ალფრედ როზენბერგს ჰებელსის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს იმ სიძულვილის მიხედვით, რომელსაც მის მიმართ განიცდიან გერმანიაში. იგი სძულს როგორც ჰებელსს, რომელიც მისი სახით გრძნობს მოქიშპეს პროპაგანდის დარგში, ისე ჰერინგსაც. ისევე როგორც ჰე-

ბელსს, როზენბერგსაც უმთავრესად ჰიტლერი სწყალობს. ამ დამსახურებულმა ნაცისტმა შეჰქმნა ფაშისტური რეჟიმის კულტურული და რასისტული მითოლოგია. მისტიკოსი და ფსიქოპატი, იგი ავტორია ყველაზე მაღალფარდოვანი, ყველაზე უშინაარსო და ყბედური წიგნისა, როგორიც კი ოდესმე გამოქვეყნებულა ამ დარგში და საერთოდ თითქმის ყველა სხვა დარგშიც. „მეოცე საუკუნის მითი"—ეს არის კრებული სიცრუისა და ყოვლად უაზრო თეორიული მანჭიაობისა, რასაც ნაცისტური ფილოსოფია ეწოდება. მაგრამ თვით ფიურერი ისე აღტაცებულია ამ ქმნილების ავტორის გამო, რომ მას მინდობილი აქვს ფაშისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის მთელი ხელმძღვანელობა.

საეჭვოა, რომ რომელიმე სხვა ნაცისტთაგანს ისე სძულდეს საბჭოთა კავშირი და თანაც ისე ეშინოდეს მისი, როგორც ალფრედ როზენბერგს. მისი თეორია „Drang nach Osten"—ნაცისტური რელიგიის აღიარებული დოგმაა. როზენბერგს ცხოვრებაში არაფერი ისე არა სწადია, როგორც ის, რომ გააგერმანელოს მთელი მოსახლეობა რუსეთის დასავლეთ საზღვარზე, უკრაინა შეუერთოს გერმანიას და შემდეგ გაძარცვოს საბჭოთა კავშირი. ალბად, კომუნიზმისადმი სიძულვილი როზენბერგის გულში ჯერ კიდევ იმ დღეებში ჩაისახა, როდესაც მან დაინახა, თუ რა არის ნამდვილი რევოლუცია. ყოველ შემთხვევაში 1919 წელს ლენინგრადიდან წასვლის შემდეგ მისი ტვინი უკვე გამალებით მუშაობდა იმისათვის, რომ ცხოვრებაში განეხორციელებინა შმაგური ოცნებანი ტევტონური დიდმშვენიერებისა და ბრძოლის ველზე მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ. ბოდვითი სიზმრებში მის წინაშე გადაშლილია თვალუწვდენელი გერმანიის იმპერია, რომელიც მთელი ევროპის და აზიის კონტინენტზედაც კი გადაჭიმულა. ახოვანი, ღონიერი, ქერა თმაგაშლილი გერმანელი გმირები, სვასტიკით შემკულ აბჯარებს რომ აელვარებენ; დიდმშვენიერი, წმინდა წყლის ბარბაროსები, რომლებიც თაყვანს სცემენ მამაცობის ღმერთს—ტორს, გრიგალივით გადაივლიან დედამიწის ზედაპირზე და სახელს გაუთქვამენ ახალ ღვთაებას—ჰიტლერს, გაფიქვინებულ, დუნე ადამიანს, რომელსაც პატარა ულვაშები და შემზარავი ხმა აქვს და შუბლზე შავი თმის ბღუჯა აყრია,—ამ უბედურ მღებავს, სასოწარკვეთილი რომ იქნევს ხელებს.

გარდა იმისა, რომ როზენბერგი აღმოსავლეთის დაპყრობაზე და ძველი გერმანიის რელიგიის აღორძინებაზე ოცნებობს, იგი ებრაელი ხალხის სრული მოსპობის მომხრეც არის. ყოველივე ეს გიჟის ბოდვაა, მაგრამ განა ნაცისტურ გერმანიაში შეიძლება ნორმალური ადამიანი შეშლილისაგან განასხვავოთ? მრავალი გერმანელი როზენბერგის ბოდვას სავსებით სერიოზულად ღებულობს. როზენბერგი სძულთ როგორც ფაშისტური პარტიის უკიდურესი მემარცხენე წრეებს, ისევე კონსერვატორებსა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის იდეებს ყოველდღე სთავაზობენ გერმანელ ხალხს და ისინი გაჰხმაურებას ნახულობენ ამ ხალხის ნაცისტურ ელემენტთა შორის. ყოველივე ამის ცოტად თუ ბევრად სერიოზულ ახსნას თუ შევეცდებით, მაშინ საჭირო იქნება ვაღიაროთ, რომ როზენბერგი საგიჟეთიდან გამოშვებული შეშლილია და, გარდა ამისა, ძველთაძველი ახლობელი მეგობარია ადოლფ ჰიტლერისა, რომელიც სავსებით ხელს აწერს ყველა მის თეორიას. კიდევ მეტი: ნაცისტები არა თუ კვალდაკვალ მისდევენ როზენბერგს მასობრივ და რელიგიურ საკითხებში, არამედ თავიანთ სამხედრო აკრესიასაც მის მიერ მითითებული მიმართულებით წარმართავენ. არმიის თვალი აღმოსავლეთისაკენ არის მიპყრობილი. თვით ჰიტლერს სრულიად აშკარად უჭირავს თვალი უკრაინაზე. „გერმანული რაინდობის" ლიგებით აიცსო ყველა

მოსაზღვრე რაიონი ბალტიისპირეთში. ბალტიისპირა ქვეყნებში ფართო ნაცისტური პროპაგანდა სწარმოებს. იქ აგებენ სამხედრო და საფრენოსნო ბაზებს, ფინეთიც კი მზად არის იმისათვის, რომ თავისი კუნძულები დაუთმოს ნაცისტებს დასაყრდენ სამხედრო-საჰაერო ბაზებად და დიდ სახელმწიფო პოსტს აძლევს ფაშისტ ბარონ მანერჰაიმს. ნაცისტური გერმანია პრაქტიკულად ახორციელებს იმას, რასაც როზენბერგი „იდეოლოგიურად“ ასაბუთებს.

ამ უცნაურ სუბიექტს ერთხელ საუზმეზე შევხვდი ინგლისის საელჩოში. როზენბერგი ელჩის მეუღლის გვერდით იჯდა. გაოცებულმა შევნიშნე, რომ იგი ჩუმად იყო და თითქმის არ იღებდა ხმას. ალბათ, მას მოაგონდა ის მარცხი, რომელიც ინგლისში უდროო დროს ვიზიტის ჟამს შეემთხვა. რადგან თავი პროპაგანდის სამინისტროს ერთგვარ სრულუფლებიან წარმომადგენლად მიაჩნდა, მან უწინარეს ყოვლისა გვირგვინით შეამკო მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლი. ინგლისმა მას ზურგი შეაქცია, და ისიც შინ დაბრუნდა რამდენადმე დანაღვლიანებული, მას შემდეგ კი უკვე აღარ გაუბედნია თავისი ახალი სამშობლოს—გერმანიის საზღვარზე ფეხის გადაბიჯება. ეს კაფანდარა ქერა კაცი, რომელიც თავის თავში იმდენად დაჯერებულია, რომ თითქმის უხეშად იქცევა, მოღუშული შესცქეროდა ყველას, ვინც საელჩოში მაგიდას უსხდნენ, და მე მეჩვენებოდა, რომ თუ ღიმილი უცბად გაბედავდა ამ გაქვავებულ სახეზე გამოჩენას, მისი სახე ამას ვერ აიტანდა და ნამსხვრევებად იქცეოდა. ისე გაბუტული, თითქოს ბავშვია, რომლისთვისაც კონფეტი წაურთმევიათო, როზენბერგი სრულებით არა ჰგავდა იმ მოელვარე აბჯრით შეჭურვილ რაინდს, იმ ბუმბერაზს—არიული სიმამაცის ნიმუშს, როგორადაც მას თავისი თავი გონებაში ეხატებოდა.

—.—

იოახიმ ფონ რიბენტროპს, საგარეო საქმეთა ახლანდელ მინისტრს, ცოლად ჰყავს შამპანურის უდიდესი ქარხნების მფლობელის ქალიშვილი. თავსართი „ფონ“ მან მემკვიდრეობად მიიღო უშვილო მამიდისაგან. ეს ღვინის ვაჭარი, რომელსაც არც არავითარი განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა და არც გარკვეული პროფესია, არაფრის მიმართ არ იჩენდა განსაკუთრებულ მიდრეკილებებს მანამდე, სანამ იგი ადოლფ ჰიტლერმა არ გამონახა. კარგი მანერები, ენების (ფრანგულისა და ინგლისურის) ცოდნა, სიმდიდრე და ერთგულება მას დაეხმარა დიპლომატიური გასაგზავნ-გამოსაგზავნი ბიჭის მაგვარი რაღაც გამხდარიყო ჰიტლერის ხელში. იგი ასრულებდა ფიურერის ყოველგვარ დავალებებს და არა ერთხელ დაამტკიცა, რომ სავსებით საიმედო კაცი იყო. 1935 წელს რიბენტროპი მეთაურობდა გერმანიის დელეგაციას, რომელიც ინგლისში გაიგზავნა ინგლის-გერმანიის საზღვაო პაქტის ხელმოსაწერად. მალე ამის შემდეგ რიბენტროპი, ალბათ დაჯილდოების ნიშნად, გერმანიის ელჩად დაინიშნა ინგლისში. იგი ლონდონში იმდენად უხეშად იქცეოდა, რომ ნაციზმის მრავალი მტერი ღმერთს ევედრებოდა იმ იმედით, რომ ახლო მომავალში რიბენტროპი ნაცისტური გერმანიის ოფიციალურ წარმომადგენლად ეხილათ ინგლისში. ყველაზე უხეში შეცდომა რიბენტროპმა ჩაიდინა მეფესთან დარბაზობის დროს—იგი მეფეს მიესალმა შეძახილით „ჰაილ ჰიტლერ!“ ინგლისელები, რომლებიც რიბენტროპს ბერლინიდან მიღებული ცნობებით იცნობდნენ, ისეთი ზიზღით მოეპყრნენ მას, რომ, შეიძლება ითქვას, თითქმის არ მიიღეს იგი საზოგადოებაში. რიბენტროპი ახლად გამდიდრებულ მატრაკვეცად და ფანატიკოსად ითვლებოდა,

ხოლო ქედმაღალ, დინჯ და არისტოკრატიულ ინგლისს ასეთი პირები სრულიადაც არ მოსწონს.

სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში მომხდარ დიდ გადაჯგუფებათა დროს რიბენტროპი ბერლინს გაიწვიეს და ფონ-ნეირატის ადგილას დასვეს. ამ ორ ნაცისტს შორის მუდამ იგრძნობოდა ქიშპობა, და დიპლომატიურ კორპუსში, აგრეთვე ჟურნალისტთა შორის, ნამდვილ ამბებამდე უკვე რამდენიმე წლით ადრე წინასწარმეტყველებდნენ, რომ რიბენტროპი გააძევებდა ნეირატს. რიბენტროპს სთვლიდნენ საშიშარ და ფანატიკოს ნაცისტად, რომლის საგარეო პოლიტიკა დაღუპვამდე მიიყვანს გერმანიას, თუ ჰიტლერი ორიენტაციას ამ პოლიტიკაზე აიღებს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ფონ-ნეირატი არ უყვარდათ, მაგრამ რიბენტროპთან მუშაობის პერსპექტივა იმდენად არასასიამოვნო იყო, რომ დიპლომატების უმრავლესობა, გარეგნულად მაინც, ნეირატს ურიგდებოდა. მახსოვს, როგორ ირწმუნებოდა მამაჩემი, გადავდგები, თუ რიბენტროპი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დაინიშნაო. მამას რიბენტროპთან რაიმე ურთიერთობაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. საბედნიეროდ, მამა ადრე გაიწვიეს და ამ აუცილებელი ნაბიჯის გადადგმა მას აღარ დასჭირებია.

რიბენტროპი გავიცანი საუზმეზე, რომელიც ჩვენმა საელჩომ გამართა. დანარჩენი სტუმრების საწინააღმდეგოდ, იგი ნაცისტურ ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდა. ნაცისტების უმრავლესობა, როგორც წესი, დიპლომატიურ დარბაზობებზე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა და ფორმას მხოლოდ დიდი ზეიმის შემთხვევაში იცვამდა. რიბენტროპის მისალმების მანერა რაღაც რთულ ცერემონიას ჰგავდა. იგი ხელს გამოგიწვდიდათ, ერთ ნაბიჯს უკან გადადგამდა ისე, რომ თქვენი ნები ხელში ეჭირა, შემდეგ თავის ხელს ნაკერავის გასწვრივ გასჭიმავდა, ერთბაშად სწრაფად ასწევდა ზევით და ნაცისტურად მოგესალმებოდათ, თანაც კინაღამ გაგკრავდათ ხელს ცხვირზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ისე დაჟინებით მისჩერებოდა იმას, ვისაც სალამს აძლევდა, თითქოს უნდა ჰიპნოზი გაუკეთესო. მთელ ამ რიტუალს რიბენტროპი სრულ სიჩუმეში ასრულებდა. ეს პროცედურა მე სრულ უაზრობად მეჩვენებოდა და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ გადამეხარხარა. თითოეული მიხვრა-მოხვრის ზეიმური ხასიათი და განზომილება, აფექტაცია, რომლითაც იგი ყოველივე ამას ასრულებდა, რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღებას აპყრობდა რიბენტროპისაკენ, ხოლო მას, ცხადია, მხოლოდ ეს ესაჭიროებოდა.

ფონ რიბენტროპი ნაცისტი, ექსტრემისტი და სნობია. რიბენტროპმა, რომელიც განირჩევა იმდენად არა ჭკუა-გონებით, რამდენადაც მელიასებური გაიძვერობით და მთლიანად და სავსებით პასუხისმგებელია ნაცისტური საგარეო პოლიტიკისათვის, ხელისუფლებისაკენ გაძრომა-გამოძრომისას თითქმის იმდენივე მტერი შეიძინა, რამდენიც თვით როზენბერგმა.

ჰიტლერული გერმანია ახალი შუასაუკუნეობრივი წყვდიადია

ვფიქრობ, რომ ამერიკის მოქალაქეთა უმრავლესობამ წაიკითხა ცნობები, რომლებიც ახასიათებენ ფაშიზმს საერთოდ და ფაშისტური გერმანიიდან მიღებულ ცნობებს კერძოდ, და, მაშასადამე, საკმაოდ კარგად იცის, რომ იქ არსებობს ისტორიაში უმაგალითო ტერორის სისტემა. დილსი ამაყობდა მის მიერ დაგებული ჯაშუშური ქსელით. ეს ქსელი მისგან მემკვიდრეობით გადაეცა ჰიმლერს. ჰიმლერის მარჯვენა ხელია ჰაიდრიხი. ერთმა ჟურნალისტმა ჩემთან საუბარში მას უწოდა ყველაზე საზიზღარი და გარყვნილი ადამიანი, როგორსაც კი

იგი ოდესმე შეხვედრია. თვით ჰიმლერი, როგორც ამბობს ავსტრალიელი რობერტსი, ავტორი წიგნისა „ჰიტლერის მიერ აგებული სახლი“,—გერმანიაში ჰქმნის ამინდს; რობერტსი იმასაც კი ამტკიცებს, რომ იმ ძალის მეოხებით, რასაც მას გესტაპოს მეთაურის მდგომარეობა ანიჭებს, ჰიმლერი ჰიტლერის ერთადერთი ლოგიკურად წარმოსადგენი მემკვიდრეაო. წინათ ჰიმლერი სრულიად უცნობი სკოლის მასწავლებელი იყო და ბინძური წარსულის პატრონია; ახლა იგი მოხერხებულად და ულმობლად იყენებს სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის ბერკეტებს. მაგრამ თითოეულისათვის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იგი, ანდა ნათლად წარმოუდგენია სიძულვილი, რომლითაც მას ეპყრობა გერმანელების უმრავლესობა, მათ შორის თვით ნაცისტებიც,—საკმაოდ ცხადია, რომ ჰიმლერი ვერასოდეს ვერ შესძლებდა ფიურერის ადგილის დაკავებას. იგი ტანად დაბალი, შავგვრემანი, პატარა შავულვაშიანი კაცია, რომლის სათვალის შუშის უკან დაფარულია გამჭვალავი გამოხედვა ქრცვინის ერთი ბეწო, მოუსვენარი თვალებისა. იგი დაჟინებით ადევნებს თვალყურს ამ ქვეყნის ყოველგვარ მტრულ ან უბრალო ოპოზიციურ მაჯისცემას.

ფაშისტურმა დიქტატურამ იმდენად დაიმორჩილა ყოფაცხოვრება, კულტურა, რელიგია, რომ ხალხს, შესაძლოა, რამდენიმე თაობა დასჭირდეს იმისათვის რომ საათის ისარი ისევ წინ გადასწიოს. ასეთი ისტორიაში გაუგონარი, ყოველისმომცველი და ულმობელი დიქტატურის დროს მას ვერცერთი სულიერი ვერ გაექცევა. ზედამხედველობა ხორციელდება შიშისა და ტერორის სისტემის საშუალებით, რასთან შედარებითაც ინკვიზიციის უაღრესად საზიზღარი მეთოდებიც კი უფერულად მოსჩანს. რამდენადაც ლაპარაკია ადამიანის თავი სუფლებაზე, პიროვნების უფლებებზე, გერმანია ახალ შუასაუკუნეობრივ წყვდიადს წარმოადგენს. გერმანიის სახელმწიფო და გერმანელი ხალხი პირველყოფილი ველურების კანონების მიხედვით ცხოვრობს. აღორძინდა „ყველაზე უფრო შეგუებულთა განდევნის“ პრინციპი. ძალმომრეობის, ბარბაროსობის, დევნისა და შევიწროების გზით გერმანიის მმართველებმა ეს ქვეყანა ჯუნგლების კანონს დაუბრუნეს. ყველაზე ქვენა და სისხლმწყურვალი ინსტინქტები სახელმწიფო კანონებად არის გამოცხადებული. ნაცისტმა მგლებმა შესჭამეს ეს ქვეყანა.

—.—

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კულტურული, ძვირფასი და ქვეყნისათვის საჭირო ადამიანების უმრავლესობამ დიდი ხანია სასწრაფოდ დასტოვა გერმანია. ნაცისტებმა „სოციალისტური“ ლოზუნგები გამოიყენეს და წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ როდესაც ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, პირველ რიგში თავისუფალი პროფკავშირები მოსპეს, რომელთა შიშის საფუძველიც ჰქონდათ. მათ ნაცვლად ნაცისტებმა მუშებს უბოძეს ნაციონალ-სოციალისტური „პროფკავშირები“, რომლებიც უფრო დაბალ დონეზე დგანან და უფრო ნაკლებად გამოჰხატავენ მასების ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ვიდრე ამერიკის მსხვილი კომპანიების კავშირები. მუშებს, რომლებიც აიძულეს ამ კავშირებში შესულიყვნენ, არავითარი ხმა არა ჰქონდათ მათი ორგანოების არჩევის დროს: ნაცისტები პირდაპირ თავისი ხალხიდან ნიშნავდნენ იმათ, ვინც სურდათ. თავისთავად ცხადია, რომ მუშებს აუკრძალეს ნაცისტების გაკრიტიკება და გაფიცვების მოწყობა ან თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რაიმე მოთხოვნების წაყენება. მუშებს საერთოდ ყოველგვარი ხმის უფლება წაართვეს და აიძულეს მორჩილად მიეღოთ დაბალი ხელფასი და ხანგრძლივი

სამუშაო დღე. დოქტორმა ლეიმ მოაწყო ჟურნალი „მუშათა ფრონტი“, რომელშიაც მუშებმა სავალდებულო წესით უნდა შეიტანონ გადასახადები. „მუშათა ფრონტი“ აწყობს ყოველწლიურ საგაზაფხულო მოგზაურობებს და მუშებს შეუძლიათ მათში მონაწილეობის მიღება, თუ მათ საკმარისი ფული აქვთ და საკმაოდ კარგ ურთიერთობაში არიან ნაცისტებთან. ეს მოგზაურობანი ძალზე ეშმაკური საშუალებაა ასობით და ზოგჯერ ათასობით ადამიანის გასაბრუებლად ნაცისტური იდეებით. „მუშათა ფრონტის“ მოხელეები, მათს ზრუნვაზე მინდობილ ადამიანებთან ერთად, დასეირნობენ ევროპაში და განუმარტავენ მათ, თუ რომელი ქვეყნები უნდა ეკუთვნოდეს უფლების მიხედვით გერმანიას, როგორ აქვთ ნაცისტებს განზრახული ამ ქვეყნების დაპყრობა და რატომ უნდა დაუჭირონ მხარი—აქედან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს—გერმანელებმა ყოველივე იმას, რასაც ჰიტლერი აკეთებს.

მუშებს გესტაპო განსაკუთრებით გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს. ნაცისტებმა საუცხოოდ იციან, რომ მუშათა უკმაყოფილებამ და წინააღმდეგობამ თუ ორგანიზებული ფორმებით იჩინა თავი, ჰიტლერიდან და მთელი მისი სისტემიდან აღარაფერი დარჩება. ათასობით ადამიანი—მუშათა კლასის ხელმძღვანელები ჰიტლერის გაბატონების პერიოდამდე—დააპატიმრეს, მოჰკლეს, საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. ნაცისტებმა დროებით მოახერხეს მუშათა მოძრაობის განადგურება. მუშების მხრივ წინააღმდეგობის გაწევის მცირეოდენ ცდებსაც კი, განსაკუთრებით სამხედრო ქარხნებში ან მათს მონათესავე საწარმოებში, განსაკუთრებული ულმობლობით ახშობენ. განუწყვეტლივ წაიკითხავთ, ნაცისტურ გაზეთებშიაც კი, იმ მუშების შესახებ, რომლებიც სიკვდილით დასჯეს სახელმწიფო ღალატისათვის, ხოლო ყოველგვარი უთანხმოება ჰიტლერთან, როგორც ცნობილია, ღალატად ითვლება. ნაცისტური მართლმსაჯულების მსხვერპლის ოჯახს, მის ნათესავებს, მის ამხანაგებს სამუშაოდან, თუ ისინი საკონცენტრაციო ბანაკში არ მოუთავსებიათ ან არ მოუკლავთ, ამიერიდან არც კერძო ცხოვრებაში და არც სამუშაოზე აღარ მოასვენებენ. ნაცისტები ფიქრობენ, რომ იმ მასობრივი ორგანიზაციების დარბევით, რომლებიც წინათ ერთგვარად უზრუნველჰყოფდნენ თავისი წევრების პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს, და ჯაშუშობისა და პოლიტიკური ძიების ფართო ქსელის შექმნით მათ ჩაახშეს თავისუფლებისადმი ყოველგვარი მისწრაფება, რაც ესოდენ ნათლად მჟღავნდებოდა გერმანიის მუშათა კლასის რიგებში მანამდე, სანამ ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოექცეოდა.

რასაკვირველია, თითოეული ნაცისტი ფაშისტია არა მხოლოდ თავისი იდეოლოგიით და საქმიანობის ხასიათით, არამედ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აგენტიცაა. მის მოვალეობაში შედის დასმენა, თუ იგი ანტიფაშისტურ განწყობილებებს შენიშნავს თავის ნაცნობთა შორის, იმ სახლებში, საჯაც იგი დადის. ამგვარი ჯაშუშობა მჭიდრო ოჯახურ წრეშიაც არაიშვიათი მოვლენაა. ერთი გერმანელი ინტელიგენტი მამაჩემს ეუბნებოდა, რომ მას შემდეგ, რაც მისი ვაჟი ნაცისტურ პარტიაში შევიდა, მთელი ოჯახი შეშფოთებულია. მშობლებს ეშინიათ გულახდილად ილაპარაკონ ვაჟისა და მისი მეგობრების თანდასწრებით, ეშინიათ, რომ მათმა პირადმა ნაცნობებმა, როცა მათთან არიან ხოლმე სახლში, რაიმე არა სთქვან ყმაწვილის თანდასწრებით. ასეთივე ურთიერთობაა მეგობრებს შორისაც, სულერთია, მამაკაცები არიან ისინი თუ ქალები.

გარდა მრავალი ნაცისტისა, რომლებსაც თავის მოვალეობად მიაჩნიათ ნა-

ცისტური პარტიის საიდუმლო აგენტები იყვნენ, თითოეულ სოფელში, თითოეულ საავარაკო ადგილას, თითოეულ ქალაქში გაშლილია გესტაპოს დაქირავებული აგენტების მთელი ქსელი. ყველა ეს აგენტები სადმე მუშაობენ და ფაშიზმის ფარული მტრების როლში გამოდიან. პატარა საფაბრიკო ქალაქში მუნიციპალიტეტის ერთმა მოსამსახურემ მუშებში ხმები გაავრცელა, თითქოს იგი ესპანეთის ხალხს თანაუგრძნობდა. რაღაც ერთი კვირის შემდეგ, როდესაც მუშათა სიმპატია დაიმსახურა და მათს ოჯახებშიც ფეხი შესდგა, მან საიდუმლო მოწოდება შეადგინა ესპანეთის მთავრობის სასარგებლოდ ფულის შესაგროვებლად. მან ორმოცდაათამდე ხელისმოწერის შეკრება მოასწრო, ვიდრე გამოამჟღავნებდნენ და მუშებს გააფრთხილებდნენ. მაგრამ ეს ორმოცდაათი გვარი ფაბრიკის სიებიდან გაჰქრა და ერთი საკონცენტრაციო ბანაკის სიებში გამოჩნდა.

გესტაპოს აგენტების რიცხვი, რასაკვირველია, მატულობს იქ, სადაც ადგილი აქვს აქტიურ წინააღმდეგობას. მაგალითად, მათ განსაკუთრებით ბევრი პროვოკატორი ჰყავთ დიდი ქარხნების მუშათა შორის, დიდ ქალაქებში და ზღვისპირა ნავსადგურების დოკების მუშათა შორის. ეს ხალხი არა მარტო განუწყვეტლივ ჩასციებია მუშებს პოლიტიკაზე ლაპარაკით, არამედ მათ შორის უთანხმოების გამოწვევასაც ცდილობს. თუ ქარხანაში მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები არიან, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ ამ პროვოკატორებისა და მათი ამხანაგების აღმოსაჩენად. პროვოკატორი, შესაძლოა, ჯაშუშობის ყველაზე ბოროტ იარაღს წარმოადგენს. მაგალითად, ქარხნის რიგითი მოსამსახურე ბუნებრივად უკმაყოფილოა ხანგრძლივი სამუშაო დღის, შრომის დაბალი ანაზღაურების, ცხოვრების სულ უფრო და უფრო გაძვირების გამო,—ფაშისტური ეკონომიკის პირობებში კი ეს გარდუვალია, ნებლეულით და ბუნებრივი სიმდიდრით სავსე რამდენი ტერიტორიაც არ უნდა დაიკავონ ნაცისტებმა. და თუ ვინმეს თავი ისე მოაქვს, თითქოს ამ მოსამსახურეს თანაუგრძნობს და ეთანხმება, მაშინ იგიც უნებლიედ უზიარებს მას თავის აზრებს და მომავლის გეგმებსაც კი. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს მოსამსახურე ტყობილობს, რომ ამგვარი თანამგრძნობნი—საშიში ხალხია. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ამ გზით იქმნება შიშისა და ეჭვიანობის დაძაბული ატმოსფერო, რომლის პირობებშიაც არ შეიძლება არსებობდეს არც ნორმალური ადამიანური ურთიერთობა, არც ნდობა და არც ლოიალობა. მთელი გერმანია შეპყრობილია ტერორის ფსიქოზით.

გესტაპოს აგენტები განსაკუთრებით აქტიური არიან არჩევნების დღეებში. მათ იციან, ვინ არ აძლევს სრულებით ან უხალისოდ აძლევს ხმას ამა და ამ ოლქში, ქალაქში ან დაბაში. აგენტი ყურს უგდებს არჩევნების დროს საარჩევნო ყუთებთან საუბარს, არჩევნების შემდეგ კი—რესტორნებსა და ლუდხანებში ლაპარაკს. იგი გულახდილ საუბარს გაუმართავს ხოლმე ადამიანებს და, თუ მოახერხა, ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ დამნაშავენი რაც შეიძლება მალე დაისაჯონ. ზოგჯერ „ბოროტმომქმედებს“ ნაცისტების ადგილობრივ შტაბში იბარებენ, ხანდახან იქვე აპატიმრებენ და ბანაკში აგზავნიან, ზოგჯერ კი ღამე ბინაში მიდიან და იქ იჭერენ.

გერმანიაში ცხოვრების დროს არაერთხელ გამიგონია მნახველებისაგან ნაცისტების ერთი ხერხის შესახებ: გესტაპოს აგენტი მიდის სოფელში, ტყობილობს, რომელი მცხოვრებია ყველაზე მეტად გაჭირვებული და აგვიანებს გადასახადებისა და პარტიული შესატანების გასტუმრებას, შემდეგ ერთერთ ასეთ ღარიბ კაცთან მიდის და ეუბნება, რომ მას გადასახადებს არ გადაახდევინებენ

და სხვა სავალო ვალდებულებათაგან გაათავისუფლებენ, თუ იგი ორი-სამი კვირის განმავლობაში მიაწვდის ცნობებს თავისი მეზობლის საქციელის შესახებ. სასოწარკვეთილი კაცი ამას თანხმდება, რადგანაც ფიქრობს, რომ შეიძლება აცნობოს რაღაც უმნიშვნელო რამ, რაც მის მეზობელს ზიანს არ მიაყენებს, და გესტაპოც დაიჯერებს, რომ მან ამის მეტი არაფერი იცის. ორი-სამი კვირის შემდეგ მასთან ცხადდება აგენტი, ცნობებს მოისმენს და ეუბნება, რომ მისი ყველა გადასახადი შეტანილია, და ისევ ისეთსავე დავალებას აძლევს. საწყალი კაცი უარს აცხადებს, ეუბნება, რომ ეს პირობებში არ შედიოდა, რომ იგი წინათაც მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა, რომ გადასახადები გაუსტუმრებელი ჰქონდა.

თუ იგი გადაჭრით უარს ამბობს, აგენტი ემუქრება, რომ თანასოფლელებს შორის გასთქვამს, გაამჟღავნებს როგორც გესტაპოს ჯაშუშს და დაღუპავს. რასაკვირველია, ეს მხოლოდ ერთი იმ ფანდთაგანია, რომლებსაც გესტაპო იყენებს უდანაშაულო ადამიანების მახეში გასაბმელად. თუ მთელი დეპარტამენტი გართულია უკმაყოფილების წვრილმანი ნიშნების აღმოჩენით, ხოლო ნაცისტური პარტია ამისათვის დიდ სახსრებს ხარჯავს და უზარმაზარ აპარატს ინახავს, მაშინ გასაკვირველი არ არის, რომ ყოველივე ამის შედეგად ასათასობით ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში ხვდება. მეთვალყურე შეიძლება მხოლოდ იმან გააკვირვოს, რომ მოსახლეობის ყველა ფენაში მაინც არსებობს უკმაყოფილება და ოპოზიცია როგორც ორგანიზებული ფორმებით, ისე სტიქიურად.

მაღალ კლასებსაც გესტაპო ისევე გულმოდგინედ და ულმობლად ადევნებს თვალყურს, როგორც მუშებს, თუმცა ეს, შესაძლოა, უფრო მოქნილი ფორმებით ხდება. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სადაც არ უნდა აღმოჩნდეს ნამდვილი ოპოზიცია, გესტაპოს მასთან ანგარიშის გასწორების მუდამ ერთი და იგივე საშუალება აქვს: ლიკვიდაცია. ეგრეთწოდებულ შეძლებელ კლასებში მეტი რაოდენობითაც კი არიან პროვოკატორები. პროფესორებს, მხატვრებს, მეცნიერებს, ინტელიგენტებს უკვე აღარ შეუძლიათ თავისუფლად გაუზიარონ ერთიმეორეს თავისი აზრები. წვრილ ვაჭრებსა და ბურჟუაზიას საერთოდ მუდამ უნდა ჰქონდეთ ეჭვისა და ცრუ დასმენების შიში, უნდა აშინებდეთ თავისი საქონლის მიყიდვა ებრაელებისათვის და ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც სულიან-ხორციანად ერთგული არ არიან ჰიტლერისა. ჰოჰენცოლერნების ოჯახის წევრებიც კი აღარ ენდობიან ძველ და სანდო მსახურებს და თვალს ადევნებენ ახალ მსახურების თითოეულ ნაბიჯს.

ჩვენი ოჯახის გამოცდილება ტელეფონებისა და დიქტაფონების დარგში, შეიძლება გამოდგეს იმ მოქნილი თვალთვალის მაგალითად, რაც ყოველთვის და ყველგან სწარმოებს, დიპლომატიური კორპუსის წევრთა შორისაც კი. ჩვენს მსახურთა შორის არცერთი არ იყო ისეთი, რომლის თანდასწრებითაც თავისუფლად ლაპარაკი შეგვძლებოდა. გერმანიაში ჩვენი ჩასვლის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში, საიდუმლო პოლიციის მუშაობის შესახებ გავრცელებული ხმები ჩვენ ერთობ გაზვიადებული გვეგონა. მაგრამ დროთა ვითარებაში დავრწმუნდით, რომ ცნობები ჩვენი კერძო ცხოვრების შესახებ შეიძლებოდა მხოლოდ ჩვენი სახლიდან გასულიყო. ჩვენს წერილებს მოურიდებლად ხსნიდნენ საზღვარზე იმ საბაბით, რომ მათში შეიძლება ფული იყოსო. საელჩოს ტვიფრიან წერილებსაც კი ხსნიდნენ და აგვიანებდნენ. როდესაც მამაჩემმა პროტესტი განაცხადა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უპასუხა, რომ ეს სრულიად

შემთხვევითი ამბავი იყოო, და დამნაშავის დასჯას დაპირდა. შემდგომში ჩვენ თვითონ დავინახეთ, რომ ეს „სრულიად შემთხვევითი ამბავი იყო“—წერილებს გაცილებით უფრო მოხერხებულად, თითქმის შეუმჩნეველად ხსნიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია რამდენადმე გულახდილი წერილების გაგზავნა სხვა გზით, თუ არა დიპლომატიური შიკრიკის ხელით. თუნდაც ამ წერილებზე საელჩოს ტვიფრი ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს გზაც კი მთლად საიმედო არ იყო. სისწრაფისათვის ჩვენი წერილები გერმანიის გემით იგზავნებოდა. მამამ ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმეჯერ აგრძნობინა, რომ დიპლომატიური ფოსტის პერლუსტაცია ხდებოდა, და ურჩია ეს ფოსტა უფრო საიმედო გემით ეგზავნათ. რამდენადაც ვიცი, მის რჩევას ყური არ ათხოვეს. ჩემმა ნაცნობმა, რომელიც უცხოეთის საელჩოში მსახურობდა, მიამბო, რა შეემთხვა ორ დიპლომატიურ შიკრიკს. ერთი მათგანი გერმანელი იყო, მეორე უცხოელი, ორივე ერთი მიმართულებით მგზავრობდნენ და ძალიან მნიშვნელოვანი ფოსტა მიჰქონდათ. როდესაც ვაგზალში მატარებელს ელოდებოდნენ, გერმანელმა უცხოელს უთხრა, წადით, ისაუდილეთ, მე კი ამ ხნის განმავლობაში ორივე ჩანთას მივხედავო! ერთმა გერმანელმა ქალმა დედაჩემს ჰკითხა, ხომ არ იცით, როგორ სჯობს საიდუმლო წერილი გავუგზავნო ქალიშვილს ამერიკაშიო. დედამ ურჩია წერილი უცხოეთის რომელიმე საელჩოს საშუალებით გაეგზავნა. იმ ქალმა გაიცინა და სთქვა, ეს არ ივარგებს, მე უფრო საიმედო გზა მჭირდებაო.

ტირჰარტენს, ბერლინის ცენტრში მდებარე ამ ლამაზ ძველთაძველ პარკს, იყენებდნენ არა მარტო ცხენით სასეირნოდ, ტანსაცმლისა და მორთულობის საჩვენებლად, საკვირაო არიფანებისა და სეირნობათა მოსაწყობად, როდესაც ძაღლებიც თან დაჰყავდათ ხოლმე, არამედ იმ დიპლომატებისა და მოხელეების საიდუმლო მოლაპარაკებისთვისაც, რომლებსაც შინ ან სამსახურში მოლაპარაკება უხერხულად მიაჩნდათ. მამაჩემი იქ სხვა ელჩებთან ერთად დასეირნობდა ხოლმე მანამდე, სანამ მათ ეჭვი არ აიღეს, რომ ამ საუცხოო რომანტიკულ გარემოშიც კი მათ თვალყურს ადევნებდნენ.

რა თქმა უნდა, რუსეთისა და საფრანგეთის საელჩოებს არანაკლებ გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს, ვიდრე ამერიკისა და ინგლისის საელჩოებს. მე მეუბნებოდნენ, რომ ჯაშუშები დაყენებული არიან საელჩოს შენობის წინ ქუჩაში და შიგ სახლშიც იმისათვის, რომ ყველა მომსვლელ-წამსვლელის, მანქანების რაოდენობის, ვიზიტების ხანგრძლივობის შესახებაც ისევე აცნობონ, როგორც სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეების შესახებო. რამდენიმეჯერ მეც თვალყურს მადევნებდნენ, როდესაც საელჩოდან გავდიოდი, და მე დიდი კმაყოფილებით დავატარებდი ხოლმე ჩემს „ჩრდილს“ ყოველად უინტერესო და უაზრო ადგილებში.

მე და ჩემი ძმა, საერთოდ, ასეთ მდგომარეობას საკმაოდ სერიოზულად ვეკიდებოდით. მაგრამ ხანდახან ჩვენი დიდი ხნის წინათ დაკარგული იუმორის გრძნობა თავს აიწყვეტდა ხოლმე და ვიწყებდით მეგობრებთან (რასაკვირველია არა გერმანელებთან) საუბარს აჯამურ ენაზე, რომელიც ძალიან მკაცრად გაისმის. ვიცოდით, რომ ჩვენს თითოეულ სიტყვას გულმოდგინედ იწერდნენ ფირფიტებზე, და ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი „საუბრების“ განშიფრვა დიდძალ ოფლს დააღვრევინებდა ნაცისტებს. უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი დამოკიდებულება მეტად არასერიოზულია, მაგრამ იგი გვეხმარებოდა იმ საშინელი ტანჯვის გადატანაში, რომლის შეჩვევა ჩვენ არაფრით არ შეგვეძლო.

როდესაც ჩემი ნაცნობი, რომელსაც ნაცისტურ წრეებთან ჰქონდა კავშირ-ურთიერთობა, ტელეფონით მირეკავდა, იგი ყოველთვის სხვის გვარს მეუბნებოდა, და ჩვენ წინასწარ შევიმუშავებდით პირობითს ენას იმისათვის, რომ ჩვენი ლაპარაკი შეხვედრის ადგილისა და დროის შესახებ ტელეფონით სხვას ვერ მოესმინა. ჩვენ ორივემ ვიცოდით, რომ ყველა საელჩოზე ეპვი ჰქონდათ, რომ განსაკუთრებით გულმოდგინეთ თვალყურს ადევნებდნენ ამერიკის საელჩოს, რადგან ცნობილი იყო მამაჩემის უარყოფითი დამოკიდებულება ფაშისტური დიქტატურისადმი.

თუმცა ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენს სახლში დადგმული იყო დიქტაფონები,—შესაძლოა, ჩვენს ჩამოსვლამდე ან მაშინ, როდესაც ჩვენ შინ არ ვიყავით,—მაგრამ ზოგჯერ ჩვენ იმ ოთახებში ვლაპარაკობდით ხოლმე, სადაც ტელეფონი არ იყო. ერთი ჩემი ნაცნობი უარს ამბობდა ელაპარაკა ტერასაზედაც კი, თუმცა იგი მთლიანად შუშისა და კრამიტისაგან იყო გაკეთებული და მავთულების დასამალავი ადგილიც კი არ მოიპოვებოდა.

ყოველად შეუძლებელია ქალაქდზე გადმოიცეს ის, თუ სადამდე მიჰყავდა ადამიანი ჯაშუშობის ამ სისტემას. თუმცა ჩვენ ექსტერიტორიალობის პრივილეგიით ვსარგებლობდით და ვიცოდით, რომ გერმანელები ჩვენთვის განსაკუთრებული უსიამოვნობის მოყენებას ვერ გაბედავდნენ, რაც არ უნდა გველაპარაკნა ჩვენ, მაგრამ მაინც ჩვენი ოჯახური საუბრები ისეთ დაძაბულ და შევიწროვებულ ხასიათს ატარებდა, რომ უკვე სრულებით აღარ ვგავდით ნორმალურ ამერიკულ ოჯახს. როდესაც რაიმეს თქმა გვინდოდა, თავდაპირველად ყველა კუთხეს მოვათვალიერებდით, კარშიც გავიხედავდით და მერმე ვჩურჩულებდით, რადგან დიქტაფონს ვერიდებოდით. ერთერთ ჩემს მეგობარ გერმანელ ქალს, ძალიან საყვარელ ადამიანს, რომელსაც ნაცისტური ტერორი ჰირივით სძულდა, ზოგჯერ საიდუმლოდ გავყავდი სააბაზანო ოთახში,—სადაც მავთულების დამალვა ასევე ძნელია,—და ოდნავ გასაგონი ჩურჩულით მიყვებოდა რაიმე სენსაციურ ახალ ამბავს. ამრიგად, საშუალო ამერიკული ოჯახი იძულებული იყო ასე ეცხოვრა ოთხ წელიწადს ფაშისტური დიქტატურის პირობებში!

ჩვენ ვშიშობდით არა მარტო ჩვენს გამო,—რადგან, გონივრულია ეს თუ არა, ჩვენ საკუთარ სიცოცხლესაც ვუფრთხილდებოდით, არამედ იმ ადამიანების გამოც, რომლებსაც შინ ვღებულობდით, აგრეთვე იმათ გამო, რომლებიც ჩვენთვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდნენ.

და თუ მსოფლიოს ერთერთი ყველაზე თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენლის სახლში ასეთი ატმოსფერო სუფევდა, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა აუტანელი ტანჯვა-წამებით აღსავსე ცხოვრება იყო თავისუფლებისმოყვარე რომელიმე გერმანელის სახლში. ახლაც კი, გერმანიიდან გამგზავრების რამდენიმე წლის შემდეგ, ვერაფრით ვერ გადავჩვევივარ წინანდელ ჩვეულებებს, ხშირად შეუცნობლად თვალყურს ვადევნებ მსახურებს და ხმას დავუდაბლებ ხოლმე, თუ გულახდილ ლაპარაკს ვაპირებ. ეპვიანობამ და მოშიშრობამ იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენში და ნერვიულმა სისტემამ ისეთი დაძაბვა გადაიტანა, რომ მრავალი წელიწადი იქნება საჭირო ამ მტანჯველი განცდების დასავიწყებლად.

— . —

უეჭველია, გერმანიის ხალხში არსებობს ოპოზიციის ორგანიზებული ფორმები, და ეს მოწმობს, რომ ადამიანის გამბედაობა და საკუთარი სიმართლის რწმენა ასეთ განსაცდელსაც უვნებლად იტანს.

კომუნისტური პარტია, რომელმაც დაახლოებით ექვსი მილიონი ხმა მიიღო მაშინ, როდესაც ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოექცა, ახლა სავსებით რეორგანიზებულია. რასაკვირველია, ყველა ეს ექვსი მილიონი კომუნისტი როდია, მაგრამ მაინც ეს მეტად ძლიერი პარტიაა. ყველა ბელადები, რომლებმაც დამალვა ვერ მოასწრეს, ჰიტლერმა დახვრიტა ან ციხეში არიან. ძველი ხელმძღვანელობა მოსპობილია, და მისი ადგილი დაიკავა ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელიც იძულებულია ძალიან ფრთხილად იმოქმედოს. კომპარტიის უჯრედები არის გერმანიის თითოეულ ქარხანაში, გერმანიის თითოეულ ქალაქში; ისინი წარმოადგენენ ყველაზე აქტიურ, ორგანიზებულ და მებრძოლ პოლიტიკურ ოპოზიციას, რომელსაც გარკვეული პროგრამა აქვს.

ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს გაფიცვების შესახებ—მათზე გერმანულ გაზეთებში არასოდეს არა სწერენ. ზოგჯერ ეს გაფიცვები გამარჯვებით მთავრდება, და ნაცისტური პროფკავშირების მეთაურები იძულებული არიან დააკმაყოფილონ მუშათა მოთხოვნები, მაგრამ უფრო ხშირად გაფიცვებს დასაწყისშივე ახშობენ და გაფიცულებს სასტიკად უსწორდებიან იქვე, ადგილზევე. ფაშიზმისადმი მტრულად განწყობილი ყველა პოლიტიკური დაჯგუფების საერთო ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ნაცისტების რიგებში შეიჭრნან, და, თუ შესაძლებელია, ისინი მიიმხრონ, ანდა მიაღწიონ მნიშვნელოვან პოსტებზე ისეთი გამოცდილი და გაბედული ადამიანების დანიშვნას, რომელთა ერთგულების იმედიც აქვთ. მე მრავალ სამინისტროში ვიცნობ მოხელეებს, რომლებიც ნაცისტური მთავრობისადმი მტრულად არიან განწყობილნი. იგივე შეეხება მუშათა მოსახლეობასაც.

— . —

ჯერ კიდევ გერმანიაში მესმოდა ლაპარაკი ორი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ანტიფაშისტურ პროპაგანდას ეწეოდნენ ლიტერატურის გავრცელების გზით. ეს ლიტერატურა ფარულად ჩასმულია უწყინარ გარეკანში, მათ სათაურებად გამოყენებულია ახალი ფაშისტური რომანები და ტრაქტატები და რამდენიმე პირველი გვერდიც კი სათაურს შეესაბამება. შუაში სდებენ სხვა ნაბეჭდ მასალას, რომელიც წვრილი შრიფტით არის აწყობილი. ფორმატი ძალიან მცირე და მოხერხებულია, გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ერთი ეგზემპლარის წაკითხვა ათმა — ოცმა მუშამ შესძლოს. ათასობით ასეთი წიგნაკი, ბროშურები და ფურცლები ვრცელდება მთელს გერმანიაში; ისინი იგზავნება საზღვარგარეთიდან, მაგრამ ბევრი არალეგალურად გამოდის თვით გერმანიაშიც. იმათ, ვისაც ასეთ ლიტერატურას უნახავენ, ძალიან მკაცრად სჯიან, და შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენი თავგანწირვა და მგზნებარე ენერგიაა საჭირო ამ წიგნების წასაკითხავად და გასავრცელებლად.

— . —

ერთი თუ ორი წლის განმავლობაში გერმანიაში მუშაობდა არალეგალური რადიოსადგური. როდესაც ნაცისტებმა ბოლოსდაბოლოს მიაგნეს მას, ყველა რადისტი დახვრიტეს. ამის შემდეგ მალე რადიოსადგურმა თავისი მუშაობა განაახლა. ლაპარაკობდნენ, სადგური სატვირთო მანქანაზეა მოთავსებული. გერმანიაში ხალხს შეეძლო მისი გადაცემების მოსმენა და ძალიან ბევრი უსმენდა კიდეც, მაგრამ ამისათვის აპატიმრებდნენ და ციხეში ათავსებდნენ. გერმანელებს აკრძალული ჰქონდათ გადაცემების მოსმენა რუსეთიდან, და ნაცისტები ყოველ-

ნაირად ცდილობდნენ ამ გადაცემების ჩახშობას. მაგრამ, თუ კარგი მიმღები ჰქონდა, კაცს შეეძლო საკმაოდ გარკვევით დაეჭირა ეს გადაცემები და მოკლე ტალღით მიეღო ისინი. თუმცა რისკი ძალიან დიდი იყო, მაგრამ მე ვიცი, რომ მრავალი გერმანელი—რიგითი ობივატელებიც და დიდი პირებიც—თავის მიმღებ აპარატებს მუდამ მართავდნენ ხოლმე მოსკოვის მოსასმენად, ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობის გამო, ნაწილობრივ კი თანაგრძნობის გამო, რაც სულ უფრო და უფრო მატულობდა. ასეთი მიმღები აპარატები ძალიან ძვირი ღირდა, და ამიტომ მუშებს არ შეეძლოთ მოსკოვის მოსმენა. მაგრამ იმ გერმანელებმა, რომლებსაც ძვირფასიანი მიმღები აპარატების ყიდვა არ შეეძლოთ, თავისი საკუთარი აპარატების გაკეთება დაიწყეს; თუმცა ეს აპარატები იაფი და პატარა იყო, მაგრამ ამ გერმანელებს ეხმარებოდა გარეშე მსოფლიოსთან ურთიერთობის დამყარებაში.

გარეშე მსოფლიოდან მოსული ყოველი ამბავი სასურველია, როგორც თავისუფლების სიოს ქროლვა, და მრავალი ადამიანი მზად არის ყოველგვარი რისკი გასწიოს და დიდი მსხვერპლიც გაიღოს, ოღონდ კი თუნდაც სიმართლის ნატამალი შეიტყოს.

ხმების გავრცელება—ნაცადი ხერხია, რომელსაც ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოქცევის მომენტიდან ყველა შემთხვევაში იყენებენ ჰიტლერის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სადისკრედიტოზაციოდ და მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ზოგჯერ ეს ხმები ანეგდოტის ფორმას ღებულობს, ზოგჯერ პირდაპირ ფაქტებია, ისე გადმოცემული, როგორც ნამდვილად მომხდარა ხოლმე, და ისინი უპირისპირდება ეგრეთწოდებულ ჰიტლერის „სიმართლეს".

ღერძი ბერლინი—რომი არასოდეს პოპულარობით არ სარგებლობდა გერმანელ ხალხში. ადამიანებს ვერ გაეგოთ, რატომ განადიდებდა ჰიტლერი მუსოლინის და იტალიელებს, რომლებიც, ჯერ ერთი, გერმანიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მსოფლიო ომში და, მეორეც, უეჭველად დაბალ რასას მიეკუთვნებიან, თანახმად ჰიტლერის ფანტასტიკური რასობრივი თეორიისა. ამ თემაზე არსებობს როგორც გასართობი ანეგდოტები (რომლებშიაც კალამბური აგებულია სიტყვა „ღერძზე"—დაჟანგებული, ჭრიალა ან გატეხილი), ისე სერიოზულიც.

ეს ხმები და ანეგდოტები, რომლებიც დამღუპველია ჰიტლერისათვის და ამჟღავნებენ ისეთ „საქველმოქმედო" წამოწყებებს, როგორიცაა, „საზამთრო დახმარება" (ფონდი, რომელიც გაურკვეველია რისთვის იხარჯება), რომლებიც დასცინიან ჰერინგსა და ჰებელსს და საშიმშილო ულუფისა და გერმანიაში არსებული სხვა ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო უკმაყოფილობას სთესენ,—მთელ ამ ქვეყანაში ვრცელდება, ქვედა ფენებიდან ვიდრე ზედა ფენებამდე, ისინი ერთი ადამიანის პირიდან მეორის პირში გადადის და მთელი გერმანია გახვეულია მათში, როგორც ხანძარში.

—.—

დიქტატურისა და ტერორის რეჟიმის შედეგები იმდენად გამანადგურებელი აღმოჩნდა, რომ გერმანული ხელოვნებიდან და მეცნიერებიდან აღარაფერი დარჩენილა. ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის წინახანებში მრავალი მწერალი ოჯახიანად გარბოდა გერმანიიდან და მთელ თავის ქონებას სტოვებდა. უფრო მოგვიანებით ისინი, ვინც თავის დაღწევა ვერ მოასწრო, ციხეებში ჩაჰყარეს, ბევრი სასიკვდილოდ აწამეს, როგორც, მაგალითად, ერიხ მიუზამი, ან საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. მათ შორის იყვნენ პაცი-

ფისტი მწერლები, ლიბერალები და მარქსისტები, ანდა ისეთი ადამიანები, რომლებიც ასე თუ ისე მტრულად უყურებდნენ ურჯუკი ჰიტლერის მართვა-გამგეობას. და ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ გერმანიაში არ დარჩენილა არცერთი დიდი მწერალი, გარდა საკმაოდ ნიჭიერი ფალადასი და მოხუც ჰაუპტმანისა. ისინი, ვინც რაღაც სასწაულით გადაურჩნენ ჰიტლერის მძიმე მუშტს, იძულებული არიან ჩუმად იყვნენ ან ისეთი წიგნები სწერონ, რომლებიც ცენზურას აკმაყოფილებს და პროპაგანდის სამინისტროს მოწონებას იმსახურებს.

თეატრი და კინო, რომლებმაც ყველა თავისი ნიჭიერი ებრაელი მოღვაწე დაჰკარგეს, თავის წინანდელ ბრწყინვალებასთან შედარებით, რაღაც მეტად საშუალო რამედ იქცნენ. თავისთავად ცხადია, რომ ყველა მსახიობი მამაკაცი და ქალი ნაცისტების გემოვნებას უნდა აკმაყოფილებდეს. ისინი არიელები უნდა იყვნენ და ნაცისტურ იდეალებს შეესაბამებოდნენ. ისინი უნდა გამოდიოდნენ ისეთ პიესებში, რომლებიც მოწონებულია ან დაწერილია—თუ ეს თანამედროვე პიესებია—ნაცისტების მიერ, ხოლო თეატრს სათანადო პირები უნდა ხელმძღვანელობდნენ. დროდადრო სცენაზე გაცოცხლდება ხოლმე ზოგ-ზოგი ძველი პიესები—არიელების მიერ დაწერილი გერმანული კლასიკური პიესები, რომლებიც ხოტბას ასხამენ გერმანიის ისტორიას, და ზოგჯერ შექსპირი. ერთერთი ასეთი პიესა ბერლინში აკრძალეს იმიტომ, რომ აუდიტორია მჭუხარე ტაშით შეხვდა მონოლოგის წაკითხვას, რომელიც ხოტბას ასხამს ადამიანის თავისუფლებას მეტწილად თეატრალური სეზონი ბერლინში იმდენად ღარიბია, რომ ხალხი თითოეულ პრემიერას სასტიკად დასცინის. თანამედროვე გერმანულ თეატრში კვალიც კი არ დარჩენილა იმ ბრწყინვალებისა და სიახლისა, რაც მას რაინჰარდტის დღეებში ახასიათებდა.

კინოში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა, თუ ეს საზოგადოდ შესაძლებელია. გერმანული კინოკომედია—უკეთეს შემთხვევაში მძიმე, სენტიმენტალური, ძნელად ასატანი შეთითხნილი რამ არის. იუმორის გრძნობა არასოდეს არ წარმოადგენდა გერმანელების განმასხვავებელ ნიშანს, ხოლო ნაციზმის დროს, რომელიც იუმორის ოდნავ გამოკრთომასაც კი სდევნის, ეს განსაკუთრებით საგრძნობია. უფრო სერიოზული ხასიათის კინოფილმებიც ისე მოსაწყენია და ნაციზმისა და გერმანელ ნაციონალურ სიქველეთა იმდენად გადაჭარბებულ ქება-დიდებას შეიცავს, რომ ერთი მათგანის ნახვაც კი საკმარისია, რათა აუტანელი მოწყენილობის გრძნობით განიმსჭვალოთ. ეს ჰეშმარიტად ტრაგიკული მოვლენაა, თუ გავიხსენებთ, რომ გერმანული კინო ჰიტლერამდე მთელ მსოფლიოში განთქმული იყო თავისი გაბედული ძიებითა და მხატვრული შესრულებით.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნაცისტები ჩაუფიქრდებოდნენ თავისი კინოსურათების დაბალ ხარისხს და თეატრის დაქვეითებას და შეეცდებოდნენ კარგი საზღვარგარეთული სურათების შეტანას. მაგრამ, პირიქით, ყველა სურათზე იგივე წესები და მოთხოვნები ვრცელდება. ჩარლი ჩაპლინი გერმანიაში აკრძალულია იმიტომ, რომ ებრაელია; ასეთსავე მდგომარეობაში არიან ძმები მარქსები და მრავალი სხვა როგორც კომიკური, ისე დრამატიული ამერიკელი კინოვარსკვლავები. ოდესღაც გერმანელები სილვია სიდნეის ელოლიავებოდნენ. მისი გამოსახულების რეკლამებით აჭრელებული იყო კურფიურსტენდამი, მისი ფოტოგრაფიები იბეჭდებოდა ყველა გაზეთში. საუბედუროდ ვიღაც ცნობისმოყვარე ყმაწვილმა კაცმა გამოარკვია, რომ იგი ებრაელია, და ამ დღიდან სილვია სიდნეის გერმანიაში ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. გერმანიის ცენზურა იმპორტს ზღუდავს არა მარტო მსახიობთა ეროვნების თვალსაზრისით, არამედ სურათე-

ბის ხასიათის თვალსაზრისითაც. მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როდესაც რომელიმე საზღვარგარეთული სურათი ეკრანზე მოხვდება ხოლმე, იგი ჩვეულებრივად მთელი კვირაობით და ხანდახან თვეობითაც კი მეტხანს სძლებს, ვიდრე ადგილობრივი პროდუქცია.

გერმანიის დიდი დირიჟორებისა და კომპოზიტორების უმრავლესობა გერმანიიდან გაძევებულია ან თავისი სურვილით წავიდა.

თავისუფლების მოსპობამ გერმანელი ხალხის როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, გერმანია გადააქცია ისეთ ქვეყნად, სადაც ცხოვრება შეუძლიათ მხოლოდ ფანატიკოსებს ან იმ ადამიანებს, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ კაცობრიობის გადაგვარება. მრავალი წიგნი დაიწერა საკონცენტრაციო ბანაკების ცხოვრებაზე, ებრაელი ხალხის განადგურებაზე, ყველა იმათ დაუნდობელ დევნა-შევიწროებაზე, ვინც ჰიტლერისადმი სრულს თანაგრძნობას არ გამოხატავს. მაგრამ ადამიანი გულმავიწყია, და ჩვენ, როგორც სჩანს, თანდათან ვეჩვევით და ვურიგდებით არა მხოლოდ მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირებათა საშინელებებსა და თანამედროვე ომის ავაზაკურ საშუალებებს, არამედ ადამიანთა სიცოცხლის საზარელ, წარმოუდგენელ მსხვერპლად შეწირვასაც ჰიტლერული კაცთმძულვარების მდუღარე ქვაბისათვის. ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმას, რაც ვიცი გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, რადგანაც გერმანიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც არაერთხელ შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც მრავალი თვის ან წლის განმავლობაში საშინელ წამებას და ჯოჯოხეთურ სატანჯველს იტანდნენ ამ აშმორებულ ორმოებში. როდესაც თითქმის ყოველდღე ვკითხულობ გაზეთებში ახალი სიკვდილით დასჯის, ახალი დაპატიმრებების, ახალი ძალმომრეობის, საიდუმლო პოლიციაში ახალი დაკითხვების შესახებ, ყოველთვის კვლავ განვიცდი ძრწოლას, სატანჯველს, სიბრალულს და აუტანელი აღშფოთების გრძნობას.

თუმცა ყველამ კარგად იცის, რას განიცდიან პატიმრები საკონცენტრაციო ბანაკებში, მაგრამ მაინც ბევრს ჰგონია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამის შესახებ გვიამბობენ, ცდილობენ რეჟიმისადმი სიძულვილი ჩაგვაგონონ ან შთაბეჭდილება მოახდინონო. მე ვიცი, რომ ეს ნაამბობი მართალია. მე მიცხოვრია იმ ადამიანებთან, რომლებსაც სალხინებელში ყოფნის ყავლი გაუვიდათ და უნახავთ, როგორ იტანდნენ სხვები ამ სასჯელს. ზოგიერთმა მოახერხა გაქცევა, ზოგიერთი გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც ისინი სულიერად და ფიზიკურად გასტეხეს. მრავალი იყო იმის მოწმე, თუ როგორ სასიკვდილოდ აწამეს ან მოჰკლეს მათი მეგობრები. ის ადამიანები, რომლებთანაც მომიხდა ლაპარაკი, სოციალისტები იყვნენ,—მხატვრები, მწერლები,—აბსოლუტურად უდანაშაულონი იმ ბოროტმოქმედებებში, რასაც მათ აბრალებდნენ. მკითხველი უნდა მიხვდეს, რომ მე ძალიან ფრთხილი უნდა ვიყო, როცა ამის შესახებ ვლაპარაკობ, რომ მე საშუალება არა მაქვს რაიმე წყაროები მოვიყვანო, რადგან ზოგიერთები ამ ადამიანთაგან, მათი მეგობრები და ნათესავები ამჟამადაც ცხოვრობენ გერმანიაში.

ბერლინში და შემდეგ ევროპაში შევხვდი ერთ ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ახლა ემიგრაციაშია საზღვარგარეთ. ეს იყო მწერალი, რომელიც იმედებს იძლეოდა, საკმაოდ გესლიანი სატირიკოსი, პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად უვნებელი, ნიჭიერი და მიმზიდველი ადამიანი. ერთ ღამეს მის ბინაში შეიჭრა საიდუმლო პოლიცია, მოახდინა ჩხრეკა და მას უპოვნა „ჰიტლერული ტერორის მიხაკისფერი წიგნი“, რომელიც მის მეგობარს დარჩენოდა

მასთან წინადღეს. იგი მოათავსეს კოლუმბიის ციხეში, გერმანიის ყველაზე საშინელ პოლიტიკურ ციხეში. აქ იგი რამდენიმე თვე ჰყავდათ, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკში გადაგზავნიდნენ. დანაშაულისათვის, რაშიაც მას ბრალი არ მიუძღოდა, მას ფეხებზე ურტყამდნენ ლურსმნებიან კეტს. მას ფეხები დაუსივდა, განგრენული ანთება დაეწყო და ძლივს გადაურჩა ამპუტაციას. ახლაც, ორი წლის შემდეგ, იგი ხეიბარივით დადის და ხანგამოშვებით იძულებულია საავადმყოფოში დაწვეს, რადგან ფეხები უსივდება და საჭირო ხდება ჩირქის გამოღება. როდესაც პირველ ციხეში ჰყავდათ, იგი სხვა პატიმრებთან ერთად მწკრივში ჩააყენეს გასასინჯად და ციხის მოსამსახურეები აბუჩად იგდებდნენ მათ. მას აძლევდნენ შეკითხვებს, და იგი ცდილობდა დამშვიდებით გაეცა პასუხი. ციხის მოსამსახურენი მას სახეში აფურთხებდნენ. მაშინ გადაწყვიტა სრულებით არ ეპასუხნა. ამ „თავხედური“ სიჩუმის შედეგი ის იყო, რომ მას ხახაში ატენიდნენ ცეცხლმოკიდებულ პაპიროსებს. იგი მიამბობდა, რომ პატიმრებს ჩვეულებრივ ასე ექცევიანო. იგი იმასაც ამბობდა, რომ იგი და სხვა მისი პატიმარი ამხანაგები აიძულეს დაჩოქილიყვნენ და პირი დაეღოთ, და დარაჯები იმათ პირში აშარდავდნენ.

ერთ სტუდენტზე, რომელსაც ბერლინში ცხოვრების პირველ წელიწადს ვხვდებოდი, ეჭვი ჰქონდათ მიტანილი—მას უპოვეს აკრძალული ლიტერატურა. იგი საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს, სადაც საშინელებათა და ტანჯვა-წამების ყველა სტადია განვლო. მას ყოველდღე თავში ურტყამდნენ კეტებს, სცემდნენ რეზინის ჯოხს, ჰკვეთავს. იგი მთლად დასისხლიანებული იყო და ჭრილობების ჰდეები სამუდამოდ შერჩა. ნაცისტები მას იმით მკურნალობდნენ, რომ ღია ჭრილობებში იოდს ასხამდნენ. მას და მის კამერის ამხანაგებს პატიმრობის პირველი კვირების განმავლობაში ღამე ყოველი ათი წუთის შემდეგ აღვიძებდნენ, აიძულებდნენ გაჭიმულნი მდგარიყვნენ და თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს გასინჯვას აწარმოებდნენ. როდესაც ეს კვირეები გავიდა, ისინი ფიზიკურ და ფსიქიკურ ხეიბრებად იქცნენ, ღამე ძილის უნარი დაჰკარგეს, დღისით კი აუტანელ სამუშაოზე მიერეკებოდნენ. ერთხელ დარაჯებმა—მათ ჩვეულებრივად არჩევდნენ იმ მოიერიშეთაგან, რომლებმაც რეპუტაცია მოიპოვეს მძვინვარებით, ფაშიზმის ერთგულებითა და სადიზმით—იგი აიძულეს ამდგარიყო, ცარცით შემოხაზეს ის ადგილი, რომელზედაც იგი იდგა, და ასე გააჩერეს ორი თუ სამი დღე. როდესაც იგი ცდილობდა შემოხაზულ ადგილს მოცილებოდა, მას ულმობლად სცემდნენ. ამ ხნის დასასრულს მას ფეხები ისე დაუსივდა, რომ არც ფეხის დადგმა შეეძლო და არც სიარული.

ერთი ცნობილი პოეტი, ხანშიშესული ებრაელი, რომელსაც პაციფისტის სახელი ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკური პარტიები და მოძრაობანი სრულებით არ აინტერესებდა, ციხეში მოათავსეს თავის მეგობართან ერთდროულად. ეს მეგობარი მიყვებოდა საშინელ ამბებს იმ სადისტური წამების შესახებ, რასაც ეს ავადმყოფი, უწყინარი მოხუცი განიცდიდა. ერთ ღამეს იგი, სხვა პატიმრების თანდასწრებით, აიძულეს გაშიშვლებულიყო. ციხის მოსამსახურეებმა მის ტანზე ბალანს ცეცხლი წაუკიდეს. როდესაც მან ტკივილების გამო ძალიან ხმამაღლა ყვირილი ასტეხა, მას ვედროთი გადაასხეს შარდი ცეცხლის ჩასაქრობად. მეორეხელ იგი კვლავ აიძულეს გაშიშვლებულიყო და ეცეკვა მაგიდაზე, რომელიც ანთებულ სანთლებსა და ადამიანის განავლით სავსე ვედროებს შუა იდგა, თანაც რაღაც უშვერ საცეკვაო მოტივს ამღერებდნენ. ამ დამამცირებელი წარმოდგენის რამდენიმე საათის შემდეგ იგი მოიჭანცა, დაეცა, ვედრო კი დაპირქვავდა და განავალი ტანზე გადაესხა. ეს მამაცი ადამიანი თავის მეგობარს ეუბნებოდა, რომ ბოლომდე აიტანდა ამ ტანჯვა-წამებას, რომ არ შეასრულებდა

ნაცისტების სურვილს, რომლებსაც მისი სიკვდილი სწადდათ. თუ იგი მოკვდება, დაე მისმა ოჯახმა და მეგობრებმა იცოდნენ, რომ იგი ნაცისტებმა მოჰკლეს. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, კამერაში თოკზე ჩამოკიდებული ნახეს მისი დაჩეხილი, დაწყლულებული, დალიბრული სხეული. ნაცისტებმა გამოაცხადეს, რომ მან თავი მოიკლაო.

პატიმრების უმრავლესობას, მამაკაცებსა და ქალებს, აიძულებენ ფეხისადგილები შიშველი ხელით გასწმინდონ, თანაც ეუბნებიან, თუ გინდათ საჭმელი სუფთა ხელებით სჭამოთ, შეგიძლიათ ხელი ენით გაილოკოთო. ერთ ახალგაზრდა ანტიფაშისტ პროფესორს არაერთხელ აიძულებდნენ გავარვარებულ ღუმელს მიკროდა სხეულით. აურაცხელია ის ტანჯვა-წამება, რასაც ყოველდღე განიცდიან პატიმრები. ამ ტანჯვა-წამების შესახებ მოთხრობა ძრწოლას და გულისრევას იწვევს. სისხლის სამართლის დამნაშავეები არ განიცდიან ამგვარ აბუჩად აგდებას, ეს პოლიტიკური პატიმრების ხვედრია, მათ გარშემო თავს იყრის ფაშისტების მთელი ღვარძლიანი შურისგება და სადისტური წარყვნილება. მრავალი ასეული ათასი — ეს მოძველებული ციფრია — გერმანელი მამაკაცი და ქალი, რომლებიც ამ საკონცენტრაციო ბანაკებში ცხოვრობდნენ ან ჯერ კიდევ „ცხოვრობენ“ იქ, მთელ თავის სიცოცხლეში დაიძახსოვრებენ ყოველივე ამას. მათ უმრავლესობას სიმამაცე არ დაუკარგავს, თუმცა, შესაძლოა, ისინი ფიზიკურად გატეხილი იყვნენ. ისინი იბრძვიან, საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრებად მყოფნი, იტანენ ტანჯვა-წამებას, რომელსაც ვერარა შეედრება; ისინი ბრძოლას ეწევიან ახლაც, მდუმარენი და გაერთიანებულნი. ისინი წარმოადგენენ იმ სიძულვილითა და შურისგებით ანთებული ადამიანების არმიას, რომელიც სანაცვლოს მიგების დღეს ელის.

თუმცა, როგორც წინათ ვამბობდი, განგებ გავურბოდი ფაშისტური ტერორის ამ სფეროსათვის ხაზგასმას, მაგრამ მე მთელ ცივილიზებულ მსოფლიოსთან ერთად ვინაწილებ აღშფოთების იმ გრძნობას, რომელსაც მით უფრო ღრმად და მწვავედ განვიცდი, რომ ამ საზიზღარი სისასტიკის მრავალ მსხვერპლს შევხვედრივარ. შემთხვევები, რომლებიც აქ ავწერე, ეს ის არის, რაც თვით დაზარალებულებმა მიამბეს. თითქმის ყოველდღე შესმის და ვკითხულობ ფაშისტური ძალადობის შესახებ, იმ ადამიანთა დევნის შესახებ, რომლებიც ნაცისტებს თუნდაც ოდნავ წინააღმდეგობას უწევენ. ევროპისა და ამერიკის ყოველ გაზეთში გერმანიის ფარგლებს გარეთ, თქვენ ნახავთ დაწვრილებითსა და ნამდვილს მოთხრობებს საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, ცოცხლად დამარხვის შესახებ, რაც პატიმრების წილხვედრია. ყოველი ეროვნების, ყოველგვარი რწმენისა და რელიგიის ადამიანებს იმდენად აწამებენ, რომ ისინი ადამიანურ სახეს ჰკარგავენ. მამაკაცებსა და ქალებს სისიკვდილოდ სცემენ, ხვრეტენ „გაქცევის ცდის დროს“, თვითმკვლელობამდე მიჰყავთ ისინი; ზოგჯერ კი ყალბ ცნობებს იძლევიან იმის შესახებ, რომ მათ თავი მოიკლეს; ისე გაუგონრად აწამებენ მათ, რომ ადამიანის გონება ასეთ ტანჯვა-წამებას ვერც მოიგონებს და ვერც დაიჯერებს. ციხის მოსამსახურენი საკონცენტრაციო ბანაკებში სჩადიან უაღრესად საშინელ სქესობრივ ბოროტმოქმედებებს. ყველაზე მდაბალი, ყველაზე სადისტური და გამანადგურებელი ინსტინქტები ცამდეა აყვანილი ამ ქვეყანაში, რომელმაც ჰიტლერის გაბატონების დღიდან დაჰკარგა ცივილიზებულ ხალხთა რიგებში ყოფნის უფლება. ვფიქრობ, რომ ჰიტლერული რეჟიმის საშინელება შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ყველაზე ველური ტომების შორეულ ბნელ პირველყოფილობას და ტორკვემადოს დროინდელი ინკვიზიციის ყველაზე შემზარავ წლებს.

აკად. ე. ტარლე—1812 წლის სამამულო ომი და ნაპოლეონის იმპერიის განადგურება

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში კიდევ უფრო გაიზარდა მასების ინტერესი ჩვენი ხალხის გმირული წარსულის შესწავლისადმი.

ჩვენს პატრიოტ ადამიანებს დღეს განსაკუთრებით აინტერესებთ ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ რუსი ხალხის 1812 წლის სამამულო ომის ისტორია. ამიტომ სრულიად დროულია აკადემიკოს ე. ტარლეს წიგნის: „1812 წლის სამამულო ომი და ნაპოლეონის იმპერიის განადგურება“ გამოცემა ჯერ რუსულ და შემდეგ კი ქართულ ენაზე.

აკადემიკოსი ე. ტარლე სარეცენზიო ნაშრომში ეყრდნობა რა მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმძღვანელო იდეებს მეცნიერული სიზუსტით ასახავს რუსი ხალხის გმირულ ბრძოლას სასტიკი დამპყრობის, ნაპოლეონის წინააღმდეგ.

*
* *

რევოლუციური საფრანგეთის, მისი არმიის წინაშე ევროპის მონარქები შიშით ცახცახებდნენ. ნაპოლეონის დიდი არმია უძლეველ არმიად ითვლებოდა; ის პროგრესიულობის მედროშე იყო, სანამ იგი იცავდა რევოლუციის მონაპოვარს, იცავდა თავს რეაქციული ევროპისაგან. ეს იყო ეპოქა, როცა „მთელი ხალხი და განსაკუთრებით ექსპლუატირებული კლასები იყვნენ აღფრთოვანნი უსაზღვრო რევოლუციური ენტუზიაზმით, ომს ყველა სამართლიან ომად სთვლიდა, თავდაცვითი ომად სთვლიდნენ და ის იყო სწორედ ასეთი“ (ვ. ლენინი). მაგრამ შემდეგ, როცა საფრანგეთში გაიმარჯვა რეაქციამ, მისი თავდაცვითი ომები ამიერიდან დაპყრობით ომებად იქცნენ.

ნაპოლეონის წინაშე ისახებოდა მსოფლიოს დაპყრობის გრანდიოზული გეგმები. ამ გეგმების განხორციელება რუსეთისა და ინგლისის დამორჩილების გარეშე მისთვის შეუძლებელი იყო.

1812 წლის დასაწყისში ნაპოლეონმა აიძულა პრუსია და ავსტრია დაედოთ მასთან ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ამგვარად შექმნა მან იმ დროისათვის უდიდესი არმია დაახლოებით 600 ათასი კაცისაგან შემდგარი 1400-მდე ზარბაზნით და 180 ათასამდე ცხენითურთ.

ნაპოლეონს რუსეთის კამპანიის დამთავრება ნავარაუდევი ჰქონდა ზამთრის დადგომამდე, მას მეტად გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა თავისა და მის მოკავშირეთა ძალებზე. ანგარიშს არ უწევდა ის დიდი რუსი ხალხის უშრეტ ნაციონალურ ენერგიას და პატრიოტიზმს.

„ჯერ კიდევ თავისი პირველი დიდი ომის დროიდან—1796 წელს იტალიის დაპყრობიდან—ნაპოლეონი, თავისივე თქმით, „გადაეჩვია მორჩილებას“—ადამიანთა მორჩილებას. მაგრამ 1807 წლიდან, ტილზიტის დროიდან მან თანდათან დაჰკარგა უნარი აგრეთვე გარემოების მორჩილებისა, გარემოებისათვის ანგარიშის გაწევისა. „ახლა მე ყველაფერი შემიძლია“—უთხრა მან თავის ძმას ლიუსიენს ტილზიტის შემდეგ“ (ე. ტარლე).

1812 წლის 23 ივნისს ღამით ნაპოლეონმა გასცა ბრძანება ნემანის გადალახვისა და ომის გამოცხადების გარეშე რუსეთის საზღვრებში შეჭრის შესახებ. 23 ივნისს ღამის 12 საათის შემდეგ დაიწყო ნაპოლეონის არმიის მიერ რუსეთის საზღვრის გადმოლახვა. ალექსანდრე I შეეცადა ნაპოლეონთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გამართვას, მაგრამ ამაოდ. ეს არ ისურვა დიდი არმიის მხედართმთავარმა. ომი გადაწყდა საბოლოოდ. რუსეთის არმია არ ჩაება აქტიურ საბრძოლო მოქმედებაში, ის ჯერ ერთი, გაფანტული იყო 800 ვერსის სივრცეზე და მეორეც, „ნაპოლეონის იმ ჯარების რაოდენობა,—როგორც აკადემიკოსი ტარლე სწერს,—რომლებიც რუსეთში იქნა შემოყვანილი, გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთის შეჯაბსა და მეფის კარს ეგონა. გადაწყდა უკანდახევა". რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიის პირველმა დანაკარგმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ორივე სატახტო ქალაქის თავადაზნაურობა და არმიის ზოგიერთი გენერლებიც კი. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გადასვლას კონტრიერიშზე. ეს უდაოდ ხელის შეწყობა იქნებოდა ნაპოლეონის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის. ნაპოლეონი მთელი თავისი სტრატეგიული გეგმის წარმატებას აფუძნებდა, საზღვართან ახლოს, რუსეთის არმიისათვის გენერალური ბრძოლის მიცემაზე.

უკან იხევდა რა რუსეთის ორივე არმია (ბარკლაი დე-ტოლისა და ბაგრატიონის) მათ შეერთება მოახერხეს სმოლენსკთან და ამით ნაპოლეონს ცალ-ცალკე მათი განადგურების შესაძლებლობა წაერთვა. ნაპოლეონმა გადასწყვიტა სმოლენსკთან მიეცა გადამწყვეტი ბრძოლა. რუსები სმოლენსკს გმირულად იცავდნენ 16-დან 18 აგვისტომდე. სმოლენსკის ბრძოლა მხოლოდ საფარს წარმოადგენდა დევნის რამდენიმედ შესაჩერებლად.

რუსეთის არმია კვლავ „ლომისებურად უკან იხევდა".

ორივე სატახტო ქალაქის თავადაზნაურობა და მთელი საზოგადოებრიობა აღშფოთებული იყო ბარკლაი დე-ტოლის უკან დახევის ტაქტიკით. არმიის მთელი ძირითადი მასაც წინააღმდეგი იყო უკანდახევის ტაქტიკის. ყოველივე ამან აიძულა იმპერატორი გადაეყენებინა ბარკლაი დე-ტოლი. რუსეთის არმიის მთავარსარდლად 17 (29) აგვისტოს დანიშნულ იქნა მიხეილ ილარიონის-ძე კუტუზოვი, სუვოროვის ღირსეული მოწაფე. გაიგო რა ნაპოლეონმა კუტუზოვის დანიშვნა რუსეთის არმიის მთავარსარდლად, ისტერიულად წამოიძახა „ბებერი მელა", ამის გამო კუტუზოვმა სთქვა: „ვეცდები დავარწმუნო დიდი მხედართმთავარი, რომ ის მართალია".

კუტუზოვი აგრძელებდა უკანდახევის ტაქტიკას. მაგრამ ის კარგად გრძნობდა ჯარისა და ხალხის მისწრაფებას შეტევითი ბრძოლისაკენ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სტრატეგიულად თუ არა პოლიტიკურად მაინც აუცილებელია ძლიერი, მაგრამ არა გენერალური ბრძოლის მიცემაო.

ასეთი ბრძოლაც გაიმართა ბოროდინოში.

7 სექტემბერს ნაპოლეონის ჯარმა მიიტანა იერიშები ბოროდინოს სიმაგრეებზე. მარცხენა ფრთაზე იბრძოდა ბაგრატიონის ჯარის ნაწილები და ნაპოლეონს მთავარი იერიში მის წინააღმდეგ მიჰქონდა. ბაგრატიონი ჯარისკაცებს პირადი მამაცობით ამხნევებდა; ის იყო იქ, სადაც ყველაზე მეტი საფრთხე იქმნებოდა, როცა ის მძიმედ დაიჭრა არ მიატოვა ბრძოლის ველი და განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას სანამ გრძნობა არ დაჰკარგა. ოცი ლაშქრობისა და ასორმოცდაათი ბრძოლის გმირი, ბოროდინოს ველზე სამშობლოს მსხვერპლად შეეწირა.

ხალხი არ ივიწყებს თავის ჰეშმარიტ გმირებს, ბაგრატიონის სახელი გმირობისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა პატრიოტებს...

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის გმირმა მებრძოლებმა ბოროდინოდან მოსკოვისაკენ დაიხიეს, საბოლოო ანგარიშით ბოროდინო რუსი ხალხის სახელოვანი გამარჯვება აღმოჩნდა დიდ-მხედართმთავარზე, ამას თვით ნაპოლეონიც კარგად ხედავდა, მაგრამ ამის აშკარა აღიარებისაგან თავს იკავებდა, როცა ამბობდა: „ყველა ჩემ ბრძოლათაგან ყველაზე საშინელი ის ბრძოლა იყო, რომელიც მე მოსკოვთან გავმართე. ფრანგებმა ამ ბრძოლაში გვიჩვენეს, რომ ღირსნი არიან გამარჯვებისა, ხოლო რუსები აღმოჩნდნენ ღირსნი იმისა, რომ იყვნენ უძლეველნი“. როგორც აკადემიკოსი ე. ტარლე სწერს „სწორედ ბოროდინოს ველზე იქნა დაწყებული ნაპოლეონის დამარცხების ის განუზომლად ძნელი საქმე, რომელიც სამი წლის შემდეგ დამთავრდა“ (ე. ტარლე).

ნაპოლეონი ოცნებობდა რა მოსკოვის ხელში ჩაგდებაზე, არავითარ შემთხვევაში ეს არ სურდა მას გადამწყვეტი ბრძოლის მიუცემლად, რუსეთის სამხედრო სიძლიერის გაუტეხავად.

მოსკოვისაკენ უკან დახეულ ფელდმარშლის წინაშე წამოიჭრა საკითხი, განეგრძო უკან დახევა და უბრძოლველად დაეტოვებინა მოსკოვი თუ გაემართა ნაპოლეონისათვის გადამწყვეტი ბრძოლა. ამ საკითხის გადასაწყვეტად 1812 წლის 13 სექტემბერში კუტუზოვმა მოიწვია გენერალიტეტის სამხედრო თათბირი სოფელ ფილიაში, გლეხი ანდრია სევასტიანოვის ქოხში. თათბირზე ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას. ბოლოს კუტუზოვმა განაცხადა: „ბატონებო, მე მესმოდა თქვენი აზრი... მოსკოვის დაკარგვით რუსეთი არ გვეკარგება. პირველი ვალდებულებაა შევინარჩუნოთ არმია და დავუახლოვდეთ ჯარის იმ ნაწილებს, რომლებიც ჩვენს დასახმარებლად მოდიან. თვით მოსკოვის დათმობით ჩვენ ვამზადებთ მტრის განადგურებას. ვიცი რომ მთელი პასუხისმგებლობა მაწვება მე, მაგრამ სამშობლოს სიკეთეს შევეწირო მსხვერპლად.

ვბრძანებ უკან დახევას!“.

დიდმა მხედართმთავრებმა მიხეილ კუტუზოვმა და ნაპოლეონ ბონაპარტემ კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის მიერ მოსკოვის დაკარგვა არმიის შენარჩუნების შემთხვევაში, რუსეთის დამოუკიდებლობისათვის არ წარმოადგენდა საფრთხეს. აქედან გამომდინარეობდა ორივე მხედართმთავართა სამხედრო ტაქტიკაც.

14 სექტემბერს დილიდანვე რუსეთის არმია უკან იხევდა დედაქალაქის გავლით, როცა რუსის ჯარის უკანასკნელი ნაწილები სტოვებდნენ ქალაქს, მოსკოვში შემოდიოდა საფრანგეთის კავალერია დოროგომილოვის ბასტავის მხრიდან.

მოსკოვის დაკავებისთანავე ნაპოლეონის არმიამ შემთხვევით ქალაქში დარჩენილ მოსახლეობის აწიოკება და ევაკუირებულთა ბინების ძარცვა-გლეჯა დაიწყო... „ფრანგები შედიოდნენ სახლებში, სჩადიოდნენ დიდ უწესოებას,— სწერს ერთ-ერთი ობიექტური მოწმე—ართმევდნენ პატრონებს არა მარტო ფულს, ოქროსა და ვერცხლს, არამედ ჩექმებსა და თეთრეულსაც კი, და, რაც სასაცილოა, ანაფორებს, ქალის ქურქებსა და სალოფებს. ისინი ამ ქურქებში გამოხვეულნი იდგნენ საგუშაგოზე... ხშირად ქუჩაში გამვლელებს საცვლებს გარდა ყველაფერს ხდიდნენ... თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა, მას სცემდნენ და ზოგჯერ სიკვდილის პირამდის მიჰყავდათ... ვისაც ხელში ჩაიგდებდნენ, ძალად ამუშავებდნენ, აიძულებდნენ ეზიდნათ ნაძარცვი საგნებით სავსე ტომრები, ღვინით სავსე კასრები“... და სხვ.

კუტუზოვმა დასტოვა რა მოსკოვი, 2 ოქტომბერს მივიდა სოფელ ტარუტინოში. აქ კუტუზოვმა ნაპოლეონს გზა მოუჭრა პურით მდიდარ სამხრეთის რაიონებისაკენ.

ნაპოლეონი თავის არმიას მაშინვე არ შეყოლია მოსკოვში, ის პაკლონი მთაზე ელოდებოდა მოსკოვის მოქალაქეთა დელეგაციას, რომლებსაც უნდა ჩაებარებინათ მისთვის ქალაქის გასაღები, მაგრამ დიდი მხედართმთავარი ამაოდ იცდიდა. მოსკოველები სულ სხვა სულისა და ნებისყოფის ადამიანები იყვნენ, ვიდრე ბერლინელები. მოსკოველები დედა-ქალაქის გასაღებს ასე ადვილად როდი უთმობდნენ მტრებს...

ნაპოლეონი მწარე სინამდვილემ ჩააფიქრა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსი ხალხის ამაყი ქედი არ მოითმენდა მტარვალის უღელს. ნაპოლეონი იძულებული გახდა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე შესულიყო მოსკოვში.

მოსკოველი პატრიოტები მოქმედებდნენ ლოზუნგით: „დეე, ყოველივე დაიღუპოს, ოღონდ მტერს არ დარჩესო“... მოესპო ნაპოლეონს მოსკოვში გამოზამთრების და არმიის მომარაგების იმედი.

ნაპოლეონი კუტუზოვთან სოფელ ტარუტინოში და ალექსანდრესთან პეტროგრადში ერთიმეორეზე მიყოლებით აგზავნიდა კაცებს და აჩქარებდა დაზავებას, მაგრამ არცერთისაგან პასუხი არ მოსდიოდა. რუსი ხალხი ნაპოლეონის საბოლოო განადგურებას ამზადებდა. 20 და 21 ოქტომბერს ნაპოლეონის ჯარები გადიან მოსკოვიდან, მათ სურდათ უკან დაბრუნება სამხრეთის რაიონებით, ამით ცდილობდა ნაპოლეონი თავის არმიის საბოლოო დაღუპვისაგან ხსნას, მაგრამ რუსეთის ჯარების მიერ სამხრეთის რაიონებისაკენ ყველა გზები გადაჭრილი იყო. ნაპოლეონი ამის გამო ძველი გაპარტახებული გზით ბრუნდებოდა სმოლენსკისაკენ.

რეგულარული ჯარისა და პარტიზანების გამუდმებული იერიშები, გამანადგურებელი დარტყმები, ბოლოს უღებდნენ დიდ არმიას.

ნაპოლეონის შემოჯრის დღიდანვე პატრიოტულად ამოძრავდა გლეხობის ფართო მასები. ყმა გლეხობამ, მიუხედავად თავიანთი უფლებრივად და ეკონომიურად დაბეჩავებულ მდგომარეობისა, გამოიჩინა აშკარად ჰეშმარიტი პატრიოტიზმი. ისინი გმირულად იცავდნენ თავიანთ სამშობლოს, ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

„1812 წლის ომმა— როგორც დეკაბრისტი ი. იაკუშკინი სწერდა — რუსი ხალხი გააღვიძა სიცოცხლისათვის. ეს ომი შეადგენს რუსი ხალხის პოლიტიკური არსებობის მნიშვნელოვან პერიოდს. მთავრობის ყველა განკარგულება და ღონისძიება უშედეგო იქნებოდა რუსეთში შემოჭრილ გალებისა და მათთან ერთად მრავალ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მტრის გასარეკად, რომ ხალხი წინანდებურად ხელფეხშეკრული და გარინდებული დარჩენილიყო...“ რუსის დიდმა ხალხმა გამოიჩინა ჰეშმარიტი თავგანწირული პატრიოტიზმი, როგორც დეკაბრისტი პ. კახოვსკი სწერს: „ხალხს სიხარულით მიჰქონდა მსხვერპლად ყველაფერი სამშობლოს გადასარჩენად“.

გლეხი პარტიზანების ერმოლაი ჩეტვერტაკოვის, თედორე პოტაპოვის, ვასილისა კოჟინას, სტეფანე ერემენკოს და სხვ. პარტიზანულმა რაზმებმა დიდად გაითქვეს სახელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი საზრიანი, სწრაფი და გამანადგურებელი დარტყმები ბოლოს უღებდნენ დიდი მხედართმთავრის უძლეველად ცნობილ არმიას.

გლეხ პარტიზანულ რაზმების გვერდით შეიქმნა არმიის პარტიზანული რაზმებიც. პოეტ პოდპოლკოვნიკ დენის დავიდოვის, კაპიტან ფიგნერის, კაპიტან სესლოვინის, პოლკოვნიკ კუდაშევის და სხვათა პარტიზანულმა რაზმებმა უკვნობი სახელი მოიპოვეს ოკუპანტებთან ბრძოლაში.

რუსი ხალხის გმირული წარსულის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა აგრეთვე სახალხო მოლაშქრეთა რაზმებმა, რომლებიც შეიქმნა მოსკოვში, ტულაში, რიაზანში, ვლადიმირსკში, სმოლენსკში, პეტროგრადში და სხვაგან.

დიდმა რუსმა ხალხმა ერთიანი ნებისყოფით—სამშობლოს დაცვისა და ვერაგი მტრის განადგურების მტკიცე გადაწყვეტილებით შეკავშირებულმა გააცამტვერა ოკუპანტები და იხსნა სამშობლო განსაცდელისაგან.

ვერაგი მტრის გახრწნილი ნარჩენები რუსმა დევგმირებმა დეკემბრის პირველ რიცხვებში ნემანს გაღმა გადარეკა; რითაც დამთავრდა რუსეთის ლაშქრობაც.

რუსი ხალხის სახელოვანმა გამარჯვებამ გაფანტა რწმენა ნაპოლეონის არმიის უძლეველობის შესახებ. აღსდგა ევროპის ჩაგრული ხალხები დამპყრობის წინააღმდეგ. „მოსკოვიდან უკან დახევისას ნაპოლეონის დიდი არმიის განადგურება გახდა სიგნალი საყოველთაო აჯანყებისა ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ დასავლეთში“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, გვ. 20).

დიდმა რუსმა ხალხმა XIX საუკუნის დასაწყისს ევროპის ხალხები იხსნა ტირანისაგან, მისცა მათ დამოუკიდებელი არსებობისა, თავიანთი ნაციონალური კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აღორძინების შესაძლებლობა.

დღესაც, 130 წლის შემდეგ ევროპის ხალხები დიდი რუსი ხალხისაგან მოელის მეოცე საუკუნის ტირანის—ჰიტლერისაგან ხსნას.

რუსეთის დიდმა ხალხმა მრავალჯერ გაამართლა სახელოვანი გამარჯვებებით, მისი დიდი წინაპრის ალექსანდრე ნეველის სიტყვები: „Если кто с мечом к нам войдет—от меча и погибнет. На том стоит и стоять будет русская земля“.

დღეს, როდესაც ჰიტლერის ავაზაკური ბანდები ვერაგულად თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, მთელი ჩვენი ხალხი აღსდგა გამარჯვების მტკიცე რწმენით და საზიზღარ ოკუპანტებს დიდი სამამულო ომი გაუმართა.

შორს არ არის ის დღე, როდესაც საბჭოთა დევგმირები ძირ-ფესვიანად ამოსწვავენ ფაშიზმს, კაცობრიობის ამ სამარცხვინო ხორცმეტს.

ჩვენი ხალხი და ჩვენი არმია დიდი სტალინის მხედართმთავრობით ღირსეულად შეასრულებს ამ მსოფლიო ისტორიულ მისიას.

ი. კაჭარავა

სარედაქციო კოლეგია: ი. თავაძე (პ/მგ. რედაქტორი), კ. ბარიგიანი, ა. ჟუთელია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟორესის ქ. № 5, ტელ. № 3-73-05

ტირაჟი—8.000. ხელმოწ. დასაბ. 27/VII-42 წ. უე 9270. ანაწყ. ზომა 7×12=56.000. სასტამბო ფორმ. რაოდ. 6,5. საავტორო ფორმა 9. სტ. შეკვ. № 728. გამომც. № 43.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ფასი 2 მან.

ბ 838
1942

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 5—6 Май—Июнь 1942 г.